

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მარიამ მორგოშია

„ბანალური ნაციონალიზმის“ გამოვლენის ფორმები აფხაზეთში
და მისი გავლენა ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე

კულტურის და მედიის სოციოლოგია

ნაშრომი შესრულებულია სოციალური და კულტურული კვლევების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი:
ლია წულაძე - სოციოლოგიის მეცნ. დოქტორი, თსუ ასოცირებული
პროფესორი

თბილისი
2018

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Mariam Morgoshia

Forms of Expression of “Banal Nationalism” in Abkhazia and their
Impact on Georgian-Abkhazian Relations

Sociology of Culture and Media

A Thesis Submitted in Partial Fulfillment of the Requirements for the Degree of
Master in Social and Cultural Studies

Thesis supervisor: Lia Tsuladze,

PhD in Sociology, Associate Professor at Tbilisi State University

Tbilisi

2018

ანოტაცია

ეროვნული იდენტობა, როგორც მოდერნული ეპოქის პროდუქტი, დაახლოებით მე-19 საუკუნიდან ჩნდება მთელ მსოფლიოში და ქვეყნის მოსახლეობისათვის პოლიტიკური და სოციალური ქმედებების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ხდება. იდენტობა გვცემს პასუხს კითხვებზე თუ ვინ არის სუბიექტი, ის უზრუნველყოფს რეპრეზენტაციას გარემოსა და საკუთარი თავის წინაშე. იდენტობა განსაზღვრავს სრულფასოვანი ადაპტაციის შესაძლებლობას, რადგან ის ადგენს სოციალურ ინტერაქციაში ჩართული სუბიექტების როლებს. აღნიშნული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იმის ჩვენება, თუ როგორ ვლინდება აფხაზური ეროვნული იდენტობის საფუძველზე ფორმირებული აფხაზური ნაციონალიზმი ყოველდღიურ ცხოვრებაში და რა გავლენა აქვს მისი გამოვლენის ფორმებს ამჟამად აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებსა და აფხაზებს შორის არსებულ ურთიერთობებზე.

ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ აფხაზები ეროვნული იდენტობის რეპრეზენტაციას ახდენენ ისტორიაზე, ტრადიციებზე აპელირებით, რაც აძლევს მათ საერთო სალაპარაკო მასალას, საზიარო შინაარსებს, რომლებსაც გადასცემენ მომდევნო თაობებს და რომლითაც განისაზღვრება აფხაზური ეროვნული იდენტობა. კოლექტიური წარსულის შესახებ წარმოდგენები კი ჯგუფის შედუღებას უწყობს ხელს.

ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ აფხაზური ნაციონალიზმი წარმოადგენს „ცხელი“ ნაციონალიზმის ფორმას და აფხაზების ყოველდღიურ ცხოვრებაში მას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. მიუხედავად იმისა, რომ დაკმაყოფილდა აფხაზი ნაციონალისტების მისწრაფებები და აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოს ჩამოშორდა, ნაციონალისტური სენტიმენტები არ განელეებულა. პირიქით, ადგილი აქვს აფხაზური ნაციონალიზმის გაღვივებას.

რაც შეეხება, ყოველდღიურ ურთიერთობებს ქართველებსა და აფხაზებს შორის, მათ ამბივალენტური ხასიათი აქვთ. აფხაზების მკვეთრად გამოხატული ეროვნული სენტიმენტებით ითრგუნება ქართული ეროვნული სენტიმენტები, რაც ქართველებში ნაციონალიზმის გაღვივებას იწვევს. ერთ ერიტორიაზე კი მკვეთრად გამოხატული ანტაგონისტური ნაციონალისტური განწყობები მუდმივი დამაბულობის მიზეზი ხდება.

Annotation

National identity, as a product of modern age, appeared around nineteenth century, and became important determinant of political and social actions for public. Identity answers the question about who is the subject, actor; it provides the representation of the surroundings and the person itself. Identity determines the possibility of full adaptation, as it establishes the role of subjects involved in social interaction. This thesis aims to demonstrate how Abkhazian nationalism, formed on the basis of Abkhazian national identity, is revealed in everyday life and what is its impact on the existing relations between Georgians and Abkhazians living in Abkhazia.

The study revealed that Abkhazians represent their national identity relying on history and traditions. This gives them the common content and shared ideas that are passed on to the next generation and which determines Abkhazian national identity. Representations about collective past contribute to the unification of the group.

According to the analysis, we can say that Abkhazian nationalism is a form of “hot” nationalism and plays important role in the everyday life of Abkhazians. Despite the fact, that the aspirations of Abkhazian nationalists were achieved and Abkhazia was separated from Georgia, their national sentiments still haven't faded. On the contrary, it was intensified.

As for the everyday relations between Georgians and Abkhazians, it carries an ambivalent character: Georgian national sentiments are repressed by Abkhazian national sentiments and this in turn causes its intensification. As a result, these antagonistic national sentiments cause constant tension in this land.

სარჩევი

შესავალი -----	6
თავი 1. ეროვნული იდენტობის ცნება	
1.1. ეროვნული იდენტობა-----	9
1.2. ეროვნული იდენტობის ეთნიკური საფუძვლები-----	13
თავი II. ნაციონალიზმი და არსებული ძირითადი კონცეფციები	
2.1. ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია-----	17
2.2. ნაციონალიზმის ტიპები.-----	21
2.3. ნაციონალიზმი მმართველი ფენის ხედვით-----	26
2.4 ეთნიკური სეპარატიზმი-----	32
2.5 ნაციონალიზმის შესახებ არსებული მიზეზები დამცდარი შეხედულებები -----	36
თავი III.	
3.1. ბანალური ნაციონალიზმი და ეროვნული იდენტობა-----	39
3.2. კულტურის ინტიმურობა: სოციალური პოეტიკა ერ-სახელმწიფოში-----	42
3.3. ტრადიციის გამოგონება-----	46
თავი IV. აფხაზური ეროვნული იდენტობის ძირითადი მარკერები-----	48
4.1. აფხაზური ეროვნული იდენტობის სიმბოლოები-----	57
4.2. აფხაზების დამოკიდებულება აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან.-----	61
4.3. რუსეთის გავლენა აფხაზური ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესზე--	63
თავი V	
აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ნარატივები აფხაზური იდენტობის შესახებ.-----	68
დასკვნა-----	77

შესავალი

პრობლემის აქტუალობა

აფხაზეთის ომის დაწყებიდან 26 წელი გავიდა. 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიარაღებული ძალების აფხაზეთში შესვლა 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით დასრულდა. მას შემდეგ აფხაზეთი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიად ითვლება. ომმა, რომელიც 13 თვესა და 13 დღეს გაგრძელდა ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და 300000 ადამიანი დღემდე დევნილობაშია. სეპარატისტები და მათი თანამებრძოლები სასტიკად გაუსწორდნენ აფხაზეთის მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას. ეთნიკური წმენდა და მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურების ფაქტები დაფიქსირებულია სოხუმის, ოჩამჩირის და გალის მუნიციპალიტეტებში. მძიმე დანაკარგები განიცადა აფხაზმა ხალხმაც. მათ 3000 თანამოქალაქე დაკარგეს.

კონფლიქტის მოგვარება საქართველოს სახელმწიფოს და საზოგადოების უმთავრეს გამოწვევად რჩება. მთავარი დისკურსი, რომელიც საქართველოში კონფლიქტთან დაკავშირებით არსებობს არის ის, რომ ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად უნდა აღდგეს „მშვიდობის გზით, ურთიერთპატივისცემის, ნდობისა და თანამშრომლობის ვითარებაში“ (მარგველაშვილი, გ. 2015). ქართული საზოგადოება თვლის, რომ ამ ტრაგედიაში ერთმანეთის მტერებად აქცია მეგობრები, ნათესავები. ადამიანები, რომლებიც ერთად გაიზარდნენ და ეს არის ტრაგედია როგორც ქართველი ხალხისთვის, ასევე აფხაზებისთვის.

დღეს-დღეობით აფხაზეთში მცხოვრები აფხაზი მოსახლეობა თვლის, რომ ისინი წარმოადგენენ სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეებს. აფხაზეთი არის საპრეზიდენტო რესპუბლიკა, რომელსაც გააჩნია აგერბი, დროშა, ჰიმნი და 1994 წელს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კონსტიტუცია. სახელმწიფო ენას წარმოადგენს აფხაზური ენა. ქვეყნის მოსახლეობა შეადგენს 250000 ადამიანს. თუმცა აფხაზებთან ერთად აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები: ქართველები, სომხები, რუსები.

აფხაზები თვლიან, რომ აფხაზეთის სუვერენული რესპუბლიკა დაფუძნებულია

აფხაზურ ნაციონალურ იდენტობაზე. მათ მიაჩნიათ, რომ აფხაზური ნაციონალური იდენტობა შედგება ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისაგან. ესენია: ეთნიკური, კულტურული, ტერიტორიული, ეკონომიკური და სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტები. აფხაზური ნაციონალური იდენტობა და ეროვნულობა გულისხმობს აფხაზ მოსახლეობას შორის ისეთი კავშირების არსებობას, როგორცაა საერთო წარსული, მითები, ტრადიციები, რაც აისახება აფხაზეთის სახელმწიფოს იერსახეში. აფხაზეთში არსებული ოფიციალური დისკურსის თანახმად, ისინი წარმოადგენენ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთობას, რადგან მათ აქვთ მკაფიოდ განსაზღვრული ტერიტორია, რომელიც აფხაზების მიწა-წყალს, სამშობლოს წარმოადგენს. სადაც დაცულია მოქალაქეთა სამართლებრივი და პოლიტიკური თანასწორობა და აფხაზური იდენტობა შეიგრძნობა ღირებულების და ტრადიციების წყალობით.

კვლევის მიზანი, ამოცანები და ჰიპოთეზა

მიზანი: როგორ ხდება, აფხაზების მიერ ყოველდღიური ანუ „ბანალური“ ნაციონალიზმის რეპრეზენტაცია და რა გავლენა აქვს მას აფხაზი და ქართველი მოსახლეობის ყოველდღიურ ურთიერთობებზე.

დასახული მიზნის შესაბამისად დასმულია შემდეგი ამოცანები:

- ✓ როგორ და რაში ვლინდება აფხაზი ხალხის ნაციონალისტური ხედვები ყოველდღიურ ცხოვრებაში.
- ✓ როგორ აისახება აფხაზეთში მცხოვრები ქართველებისა და აფხაზების ყოველდღიურ ურთიერთობებზე აფხაზური ნაციონალიზმის გამოვლინებები.

ჰიპოთეზა: აფხაზებისა და ქართველების ურთიერთობებზე უარყოფითი ზეგავლენა აქვს აფხაზების „ბანალური“ ნაციონალიზმის რეპრეზენტაციას. რადგან ქართველები აფხაზებთან ურთიერთობების დროს იძულებულნი არიან საკუთარი ნაციონალისტური შეხედულებები დამალაონ და დათრგუნონ, რომ აფხაზებთან კონფლიქტი აირიდონ თავიდან. რაც ყოველდღიურ ურთიერთობებს არაგულწრფელს და დამბულს ხდის. რის გამოც ქართული მოსახლეობა მუდმივ სტრესსა და შიშში ცხოვრობს, ხოლო აფხაზები ქართველების მიმართ უნდობლობას იჩენენ.

კვლევის მეთოდი.

კვლევა ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდს. ფოკუს ჯგუფისა და სიღრმისეული ინტერვიუს სახით. „თვისებრივი მეთოდების გამოყენების შედეგად მკვლევარებს ეძლევათ საშუალება შენიშნონ, დააფიქსირონ და ახსნან ადამიანების ქცევის ისეთი ნიუანსები, რომლებიც შეიძლება შეუმჩნეველი დარჩეს რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებისას” (ზურაბიშვილი. თ. 2006).

„ფოკუს ჯგუფს ის უპირატესობა აქვს, რომ რამდენიმე ადამიანისაგან შემდგარ ჯგუფში ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე ადამიანი, რომელიც სხვებთან შედარებით უფრო გულახდილია და მისი გულახდილობა, როგორც წესი ჯგუფის სხვა წევრების გულახდილობას იწვევს.” (ზურაბიშვილი, თ. 2006). ფოკუს ჯგუფი იძლევა საშუალებას არამარტო ღრმად იქნას შესწავლილი საკითხი, არამედ ნათელი გახდეს საკითხთან მიმართებაში არსებული განსხვავებული აზრები. ასევე, მკვლევარს ფოკუს ჯგუფი საშუალება აძლევს, თვალი ადევნოს მონაწილეებს შორის ინტექცაციის პროცესს, რომლის ფარგლებში ხდება იდეების გენერირება და გაცვლა.

სიღრმისეული ინტერვიუს საშუალებით შესაძლებელია რესპონდენტისგან სიღრმისეული, თანმიმდევრული ინფორმაციის მიღება. სიღრმისეული ინტერვიუს მიზანია, გავიგოთ რესპონდენტების მაქსიმალურად დეტალური მოსაზრებები შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით.

ასევე ჩემი კვლევისათვის სჭირო მონაცემები მოვიპოვე აფხაზური Facebook გვერდებიდან: „Лучшие Посты Абхазского Фейсбука”, „абаза(апсуа)-адыгский(черкесский)мир”, „За Ратификацию 20 Статьи И Конкурсный Подбор Кадров” „Медиа-клуб «Апсны.иахъა”. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შერჩევის კრიტერიუმად გამოვიყენე ამ Facebook გვერდების „მიმდევართა“ და „მომწონებელთა“ რაოდენობა, (ათეულობით ათასი), წარმართული დისკუსიების თემატიკის აქტუალობა, რომელიც ეხება აფხაზურ ეროვნულ იდენტობას, აფხაზური ნაციონალიზმის გამოვლენის ფორმებს და აფხაზების დამოკიდებულებებს სხვა ეროვნული იდენტობების მიმართ და ასევე აფხაზეთში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს.

სულ ჩატარდა ერთი ფოკუს ჯგუფი ოჩამჩირის რაიონში და ცხრა ჩაღრმავებული

ინტერვიუ - ექვსი გალის და სამი სოხუმის მუნიციპალიტეტებში.

ფოკუს ჯგუფში მონაწილეებს წარმოადგენენ სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი აფხაზები. სამიზნე პოპულაციიდან რესპონდენტების შერჩევა მოხდა არალბათური შერჩევის ტიპის „თოვლის გუნდას“ გამოყენებით. ფოკუს ჯგუფი მოიცავდა 29 დან 75 წლამდე რესპონდენტებს. აქედან 6 მამრობითი სქესის და 2 მდედრობითი სქესის.

სიღმისეული ინტერვიუს ნაირსახეობიდან გამოყენებული იქნა „ცხოვრების ისტორია“. რესპონდენტები შეირჩნენ ალბათური შერჩევის ტიპით. რაც ნიშნავს, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს და აფხაზებს თანაბარი შანსი ჰქონდათ მოხვედრილიყვნენ შერჩეულ ერთობლიობაში. სულ შეირჩა ექვსი ქართველი და სამი აფხაზი რესპონდენტი.

კვლევის შეზღუდვები

აღნიშნული კვლევა არის მცირე მასშტაბის და არ არის რეპრეზენტატული, ვინაიდან ანალიზი მოიცავს ერთ ფოკუს ჯგუფს და ექვს ჩაღრმავებულ ინტერვიუს. ეს რაოდენობა თვისებრივი კვლევისთვის ძალიან მცირეა.

აფხაზეთში გადასვლის და მის ტერიტორიაზე გართულებული გადაადგილების გამო ვერ მოხერხდა რამდენიმე ფოკუს ჯგუფის ორგანიზება; ასევე აფხაზეთის სოფლებში მცხოვრები აფხაზები და ქართველები თავს არიდებენ კვლევაში მონაწილეობას.

ნაშრომის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა

კვლევის შედეგები საინტერესო იქნება იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც აინტერესებთ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზების ხედვები, მათი შეხედულებები აფხაზურ ნაციონალიზმზე. კვლევის შედეგები საინტერესო იქნება, ასევე სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების წარმომადგენლებისათვის. ნაშრომი შესაძლოა გამოყენებულ იქნას აფხაზებთან კომუნიკაციის დაწყების გზების დასახვისთვის, რათა ომის შემდეგ ხალხებს შორის არსებული გაუცხოვების დაძლევის პერსპექტივებზე დაიწყოს მუშაობა, დაიგეგმოს შემდგომი კვლევები. კვლევებზე დაყრდნობით პოლიტიკოსებს ექნებათ საშუალება დაგეგმონ და განახორციელონ ღონისძიებები, რომლებიც კონფლიქტის მოგვარების კუთხით შეიძლება წინ გადადგმული ნაბიჯი გახდეს.

თეორიული ნაწილი

თავი 1. ეროვნული იდენტობის ცნება

1.1. ეროვნული იდენტობა

ეროვნული იდენტობა ცალკეული ელემენტებისგან ყალიბდება. ეს ელემენტები გაზიარებულია იმ ინდივიდების მიერ, რომლებიც თავს მიაკუთვნებენ კონკრეტულ ერს. იმისათვის, რომ ადამიანთა ესა თუ ის ერთობა ერად ჩაითვალოს, მას უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ტერიტორია, საერთო კულტურა, წარსული და მომავლის ერთიანი ხედვა. საერთო ინსტიტუციები და ერის ყველა წევრისთვის უფლებათა და მოვალეობათა ერთიანი სისტემა(სმიტი,2008).

ერი, უპირველს ყოვლისა, განსაზღვრავს გარკვეულ სოციალურ სივრცეს, რომლის ფარგლებშიც უნდა იცხოვრონ მისმა წევრებმა. იმავდროულად, ის შემოსაზღვრავს ისტორიულ ტერიტორიას, რომელიც საზოგადოებრივ ერთობას დროსა და სივრცეში მიუჩენს ადგილს. ერი ადამიანებს უქმნის საკრალურ ცენტრებს,ღირებულებებს. გელნერის აზრით ერი არის ადამიანების რწმენის, ლოიალობის და სოლიდარობის პროდუქტი.

ფასეულობები, რწმენები, წეს-ჩვეულებები, ქცევის ნორმები, ქმნიან საზოგადოების საერთო კულტურულ სისტემას. ინდივიდთა მიერ სოციალიზაციის გზით მათი შეთვისება მნიშვნელოვნად განაპირობებს მათი ერთსადაიმავე ერისადმი კუთვნილებას. ერზე,როგორც კულტურულ ერთობაზე, საუბრისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საზოგადოების წევრთა შორის კომუნიკაციის ხანგრძლივ პროცესს, რომელიც განაპირობებს მის სტაბილურობას და ერთიანი კულტურის შექმნას. სწორედ საერთო ენობრივი და კულტურული სივრცე განსაზღვრავს ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებას.

სმითის მიხედვით, ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი ნიშან-თვისება ისტორიული მეხსიერება და ისტორიული ტერიტორია ანუ სამშობლოა (სმიტი, 2008). ერიარის ადამიანთა ერთობა, რომელიც საერთო წარსულის და ისტორიული ბედის იდეას ეფუძნება. ნაკლები მნიშვნელობა აქვს ფაქტობრივ, რეალურ ისტორიას. მთავარია,

ისტორიისადმი დამოკიდებულება და მისი სუბიექტური განცდა. აგრეთვე, ერსაქვს მისთვის განსაზღვრული ტერიტორია, „ისტორიული“ მიწა-წყალი, სამშობლო. სამშობლო ხდება ისტორიული მეხსიერებისა და ასოციაციების საცავი, სადაც წინაპრები და გმირები ცხოვრობდნენ.

ერი არსებობს იმისთვის, რომ სხვადასხვა განზომილებაში მყოფი ორი რეალობა-ერთი მხრივ, სამოქალაქო და ტერიტორიული, მეორე მხრივ, ეთნიკური და გენეალოგიური ერთმანეთს დაუკავშიროს. სწორედ ეს მრავალგანზომილებიანობა ანიჭებს ეროვნულ იდენტობას იმგვარ მოქნილებას, რომ შეინარჩუნოს მდგარადობა მოდერნული ცხოვრებისა და პოლიტიკის ფარგლებში (სმითი, 2008).

ეროვნული იდენტობა ეფუძნება ერის წევრთა მიერ ერთიანობის და სიახლოვის განცდას. როგორც წესი, მსგავსი განცდა ლატენტურია. იგი მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში (ძირითადად, ომის ან გარედან მომდინარე საფრთხის არსებობისას) აქტიურდება და ხელს უწყობს საზოგადოების კონსოლიდაციას. სწორედ ამ განცდის შედეგია, რომ ხშირად ადამიანები საკუთარი ერისთვის უყოყმანოდ სწირავენ სიცოცხლეს. ეროვნული იდენტობა უზრუნველყოფს როგორც ინდივიდებს, ასევე ინდივიდსა და ერს შორის ემოციურ კავშირებს. კონორის შეხედულებით, ერი არის ყველაზე დიდი ჯგუფი, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს ადამიანის მისდამი, როგორც დიდი ოჯახისადმი, უპირობო ლოიალურობა. ერის წევრთა ასეთი ემოციური კავშირი ლიდერების მხრიდან ხშირად პოლიტიკური მიზნებით გამოიყენება. როდესაც რეალური ან წარმოსახვითი საფრთხე ემუქრება საზოგადოებას, მის საკუთრებას, ტრადიციებს, კულტურას, ტერიტორიას ან სუვერენიტეტს. ხალხი ეროვნული ლიდერის გარშემო ერთიანდება. ამ დროს მოწოდებები კონკრეტული ქმედებისკენ ადამიანებს სრულებით ავიწყებს ყოველდღიური ცხოვრების რუტინას და უჩენს განცდას, რომ მათ მიერ გადადგმული ნაბიჯი შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს სახელმწიფოს არსებობისა და შემდგომი განვითარებისთვის.

პოლიტიკური თვალსაზრისით, ეროვნული იდენტობა ფუძეს უმაგრებს სახელმწიფოსა და მის ორგანოებს. პოლიტიკური პერსონალის შერჩევა, პოლიტიკური ქცევის რეგულაცია და ხელისუფლების შერჩევა ეროვნული კრიტერიუმებზეა დაფუძნებული.

ითვლება, რომ ეროვნული ინტერესი გამოხატავს მასში შემავალი მთელი ხალხის ეროვნულ ნებასა და იდენტობას (სმითი, 2008).

ეკონომიკური თვალსაზრისით, ერი იძლევა ტერიტორიულ რესურსებზე, მათ შორის ადამიანის სამუშაო ძალაზე, კონტროლის დამყარების გარანტიას. ისშიემუშავებს შრომის დანაწილების ერთიან სისტემას; ასევე, ხელს უწყობს როგორც შრომით საქმიანობასა და საქონელბრუნვას, ისე მის წევრებს შორის რესურსების განაწილებას მშობლიური ტერიტორიის ფარგლებში.

ეროვნული იდენტობის ყველაზე არსებითი ფუნქცია არის იმ საერთო კანონიერ უფლება-მოვალეობათა ლეგიტიმაცია, რომლებიც ერის სპეციფიკურ ღირებულებებს, ხასიათს განსაზღვრავენ და საუკუნოვან წეს-ჩვეულებებს გამოხატავენ. ეროვნული იდენტობა სოციალური წესრიგისა და სოლიდარობის დასამყარებელ აუცილებელ პირობად იქცა(სმითი, 2008).

ეროვნული იდენტობები კონკრეტული კულტურის იმ მახასიათებლების ლეგიტიმაციას ახდენენ, რომლებიც მხოლოდ ამ კულტურის მატარებელი აქტორებისთვის არის ცნობილი, მიღებული და მხოლოდ ამ კონკრეტული კულტურის წარმომადგენლებს შეუძლიათ გაიგონ. ეროვნული იდენტობები „კულტურული ინტიმურობის” (Herzfeld, 2005, გვ. 3) ფორმებთან თანაარსებობენ და ასრულებენ ინტიმურ, შინაგან ფუნქციას ერთობის წევრი ინდივიდებისთვის.ამათგან ყველაზე თვალსაჩინოა წევრების, როგორც „ნაციონალების” და „მოქალაქეების” სოციალიზაცია. დღეს ეს მიიღწევა სავალდებულო, სტანდარტიზებული, საზოგადოებრივი, საყოველთაო განათლების სისტემის მეშვეობით, რომლის წყალობითაც სახელმწიფოს მესვეურნი იმედოვნებენ ეროვნული ერთგულებისა და თვითმყოფი, ჰომოგენური კულტურის დანერგვას. მსგავსი საქმიანობისთვის მნიშვნელოვან ენერგიას ხარჯავს სახელმწიფოთა უმეტესობა კულტურული თვითმყოფადობისა და ერთიანობის ნაციონალისტური იდეალების ზემოქმედებით(სმითი,2008).

ერი ასევე მოწოდებულია, საერთო ღირებულებების,ტრადიციების, სიმბოლოები საშუალებით გააღვივოს ეროვნული იდენტობა. სიმბოლოების: დროშების, ფულის ნიშნების, ჰიმნების, უნიფორმების, მონუმენტებისა და ცერემონიების მეშვეობით,

რომლებიც წევრებს შეახსენებს მათ საერთო მემკვიდრეობას, კულტურულ ნათესაობას; აღვივებენ და ამძაფრებენ მათ გრძნობებს საერთო იდენტობისა და საერთო კუთვნილების გათავისებით(სმიტი, 2008).

ეროვნული იდენტობის შეგნება კოლექტიური მეობისა და მისი თვითმყოფი კულტურის ქრილში ინდივიდუალური მე-ს თვითგანსაზღვრისა და ადგილის პოვნის მძლავრ მექანიზმს წარმოადგენს. სწორედ გაზიარებული, უნიკალური კულტურის მეშვეობით ვაცნობიერებთ, „ვინ ვართ“ თანამედროვე სამყაროში.

1.2. ეროვნული იდენტობის ეთნიკური საფუძვლები

ახალი დროის ყველაზე პოპულარულ და ფეხმოკიდებულ „მითს“ ნაციონალიზმი წარმოადგენს. ამ „მითის“ იდეა მდგომარეობს იმაში, რომ ერები უხსოვარი დროიდან არსებობდნენ და ნაციონალისტებმა უნდა გამოაფხიზლონ ისინი ხანგრძლივი თვლემისგან, რათა მათ დაიკავონ საკადრისი ადგილი ერებისგან შემდგარ მსოფლიოში. ნაციონალიზმის ძალაგანუზომლად იზრდება ცოცხალი ტრადიციების წყალობით, რომელიც საზოგადოებრივი გაერთიანების ცხოვრებაში განასახიერებს ბევრად უფრო ადრეული ხანის ხსოვნას, სიმბოლოებს, მითებს, ღირებულებებს. სწორედ ამიტომ ეროვნულ იდენტობებზე დისკურსის შემთხვევაში, პირველ რიგში, პრემოდერნული ეთნიკური იდენტობები და ტრადიციები უნდა განვიხილოთ.

ზოგიერთისთვის „ეთნიკურობის“ ცნება „პრიმორდიალური“ (პირველყოფილი) ხასიათისაა. ის არსებობს ბუნებაში და დროის მიღმა. მეორე თვალსაზრისის თანახმად, ეთნიკურობა განიხილება, როგორც „სიტუაციური“ მოვლენა, რაც იმას ნიშნავს, რომ ეთნიკური ჯგუფისადმი კუთვნილება დამოკიდებულებების, აღქმისა და სენტიმენტების სფეროს მოიცავს, ცვალებადია და სიტუაციებსა და პიროვნებებს ეგუება. მრავალწახნაგოვანი იდენტობასახეს შეიცვლის იმის მიხედვით, თუ რა აღმოჩნდება იმ ინდივიდებისათვის ხელსაყრელი, რომლებიც მას თავს მიაკუთვნებენ. ამიტომაც ეთნიკურობა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც „ინსტრუმენტი“ ინდივიდის ან კოლექტივის ინტერესების სასარგებლოდ. ეთნიკურობა შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც იარაღი ელიტარული ჯგუფების მიერ, რომელთაც ძალაუფლებისათვის ბრძოლაში მხარდამჭერთა ჯგუფის მობილიზება სჭირდებათ. ამ

ბრძოლაში ეთნიკურობა ძალზე სასარგებლო იარაღად იქცევა(სმითი,2008).

ზემოთ განხილულ ორ მოსაზრებას შორის მოქცეულია ის მოსაზრებანი, რომლებიც ეთნიკური იდენტობების ისტორიულსა და სიმბოლურ ხასითს უსვამენ ხაზს...ეთნიკური ჯგუფი კულტურული ერთობლიობის ის სახეობაა, რომელიც ხაზს უსვამს წარმომავლობის შესახებ მითებისა და ისტორიული მეხსიერების როლს და რომელიც ერთი ან მეტი კულტურული განმასხვავებელი ნიშნით ამოიცნობა” (სმითი,2008, გვ.26). ეს ნიშნები შეიძლება იყოს რელიგია, წეს-ჩვეულებები, ენა ან ინსტიტუციები. ისტორიული მეხსიერება მათი არსებობის გაგრძელების წინა პირობაა და ყოველი ეთნიკური ჯგუფი ისტორიული ძალების არსებობითაა განპირობებული და ვერც ისტორიული ცვლილებებს გაექცევა.

ეთნიკური ერთობა შეიძლება განისაზღვოს მისთვისთვის დამახასიათებელი ისეთი ატრიბუტებით, როგორებიცაა: მითი საერთო წარმომავლობაზე, ზიარი ისტორიული მეხსიერება, სოლიდარობის შეგნება. ეთნიკური ერთობის მთავარი მახასიათებლებია:

1. კოლექტიური საკუთარი სახელი;
2. საერთო წინაპრის მითი;
3. ზიარი ისტორიული მეხსიერება;
4. საერთო კულტურის ერთი ან მეტი განმასხვავებელი ელემენტი;
5. განსაკუთრებულ მშობლიურ მიწა-წყალთან ასოცირება;
6. სოლიდარობის გრძნობა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში(სმითი, 2008).

ჩამოთვლილი ეთნიკური მახასიათებლები ცხადყოფს არა მარტო მათ ისტორიულ შინაარსს, არამედ მკაცრად სუბიექტურ კომპონენტებსაც. ყველაზე მნიშვნელოვანია საერთო წარმომავლობის მითი. ეთნიკური იდენტიფიკაციისთვის გადამწყვეტია არა წინაპრის არსებობის ნებისმიერი ფაქტი, არამედ მხოლოდ ფიქციური წარმომავლობა და სავარაუდო წინაპარი. ჰოროვიცმა ეთნიკური ჯგუფების წარმომავლობა „სუპეროჯახებს” შეადარა, რადგან მისი წევრები ეთნოსს განიხილავენ, როგორც საერთო წინაპრისა დანათესავების მითიური კავშირებით შეკრულ ერთ უზარმაზარ ოჯახს. ასეთი სიახლოვე ოჯახსა და ერს შორისჩნდება ნაციონალისტურ იდეოლოგიაში,

რაც ეთნიკურობის ამ ატრიბუტის მნიშვნელობაზე მეტყველებს. „შეგნება იმისა, თუ „საიდან მოვდივართ“ მნიშვნელოვანწილად განაპირობებს იმის განსაზღვარს, თუ „ვინა ვართ“ (სმიტი, 2008, გვ. 28).

მითის შეიძლება სახე მიიღოს იმან, რასაც ისტორიულ მეხსიერებას ვუწოდებთ. ბევრი წინა-მოდერნული ხალხისთვის საზღვარი მითსა და ისტორიას შორის ხშირად წაშლილია ან საერთოდ არ არსებობს. არსებობს დრამატული ამბები წარსულზე, რომელიც აწმყოსა და მომავლის მიზნებს ეხმიანება. გარდა ამისა, მითები ისეთ მოვლენებზე, როგორცაა პოლიტიკური დაფუძნება, თავისუფლების მოპოვება, მიგრაცია, არჩევნები, სათავეს იღებენ რომელიმე ისტორიული მოვლენიდან, რათა შემდგომ ინტერპრეტირებული, გადამუშავებული ვარიანტით გამოჩნდეს. ისტორიულ ფაქტებთან ამგვარი მიმართება აკისრებს მითებს სოციალური თუ პოლიტიკური კოსმოლოგიის ფუნქციას. სწორედ ეს ასოციაციებია უფრო მნიშვნელოვანი ეთნიკური იდენტიფიკაციისთვის, ვიდრე განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოვრება ან მისი განკარგვა. ტერიტორია - ეს არის საკრალური მიწა, მამა-პაპათა, რჯულმდებელთა, ბრძენკაცთა, პოეტთა, და ამიტომ არის ის სამშობლო. სამშობლოს საკრალური ცენტრი კი თავს უყრის ეთნის წევრებს (სმიტი, 2010).

ეთნოსის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით არსებული მოდელები ორ ძირითად სახეობას მოიცავენ: შერწყმა და დანაწევრება. ერთიმხრივ, ეთნიკური ფორმირება შესაძლებელია სხვადასხვა ერთეულების გაერთიანების გზით მიმდინარეობდეს. ეს გაერთიანებაც ორგვარი პროცესის სახეს იღებს: ცალკეული ერთეულები, როგორც ქალაქ-სახელმწიფოების გაერთიანება, ან ერთი საზოგადოების მიერ მეორეს შთანთქმა. მეორე მხრივ, ეთნოსების გახლეჩვა სხვადასხვა შემადგენელ ნაწილად (სმიტი, 2008).

ამგვარი პროცესები ცხადყოფს ეთნიკური ადგილმონაცვლეობისა და მისი წევრების კულტურული იდენტობის ცვალებადობის ჩარჩოებს. შესაძლებელია, ადამიანებს ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდეთ არა მარტო თავიანთი სოფლების, კასტების, სახელმწიფოების, რელიგიური ერთობებისადმი, არამედ კლასობრივი და გენდერული იდენტიფიკაციისადმი. ასევე შესაძლებელია ეკონომიკურ, პოლიტიკურ, დემოგრაფიულ მიზეზთა გამო ერთობების დანაწევრება ან, პირიქით, გაერთიანება.

თუმცა ეს გარემოება ეთნიკური ერთობების პირველყოფილ ბუნებას ეწინააღმდეგება. ეთნოსის ჩამოსაყალიბებლად და თავისთავადობის შესანარჩუნებლად პოლიტიკური ქმედების მნიშვნელობის შესახებ საუბრობს ვებერი: „უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური ერთობა, რაგინდ ხელოვნურადაც იყოს ორგანიზებული, იწვევს საერთო ეთნიკურობის რწმენის ჩამოყალიბებას” (სმითი, 2008, გვ.33). არსებობს საფრთხე სახელმწიფოს როლის გაზვიადებისა ეთნიკურ კრისტალიზაციაში. თუმცა აშკარაა, რომ ერთიანი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, როგორც ეს მოხდა ძველ ეგვიპტეში, ისრაელში, რომში, რომ აღარაფერი ვთქვათ საფრანგეთზე, ესპანეთსა და ინგლისზე, უზარმაზარ როლს თამაშობს ერთ მუშტად შეკრული ერების ჩამოყალიბებაზე.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ომი. ომი ქმნის არა მარტო სახელმწიფოს, არამედ ეთნიკურ ერთობებსაც, და არა მხოლოდ დაპირისპირებულ მხარეთაგან, არამედ იმ მესამემხარისგანაც, რომლის ტერიტორიაზე ხშირად ატარებენ ასეთ ომებს. ომი ზემოქმედებს ეთნიკურ განწყობებისა და ნაციონალური ცნობიერების მობილიზაციაზე, რომელიც ერთობის ცხოვრებაში და მომავალი თაობებისთვის მითებისა და მოგონებების წყარო ხდება. სწორედ ეს უკანასკნელი ფუნქცია ომისა ტოვებს ყველაზე ღრმა კვალს (სმითი, 2008).

ეთნიკური მდგრადობის განმტკიცების პროცესში არსებობს ეთნიკური გადაშენების საფრთხე. არსებობს ეთნიკური გადაშენების ორი მთავარი სახეობა: გენოციდი და ეთნოციდი. გენოციდი გულისხმობს კულტურული ჯგუფების მასობრივ მოსპობას, რომელიც წინასწარ არის გააზრებული. ხოლო გენოციდის მიზეზი ამ კონკრეტული კულტურული ჯგუფის წევრობაა. სწორედ ამგვარ პოლიტიკას ატარებდნენ ნაცისტები ებრაელებთან და ნაწილობრივ ბოშებთან მიმართებაში. სხვა შემთხვევებში, პოლიტიკა და ქმედება გენოციდურია უფრო მისი შედეგებიდან, ვიდრე მიზნებიდან გამომდინარე. გენოციდური აქციები იშვიათად აღწევენ მიზანს. ფაქტობრივად, შეიძლება პირიქით მოხდეს და გენოციდებმა გაამძაფროს ეთნიკური ცნობიერება, გაამყაროს ერთსულოვნება და ხელი შეუწყოს ცნობიერების კრისტალიზაციას (სმითი, 2008)

რაც შეეხება ეთნიკური გაქრობის ფორმას კულტურული შერწყმისა და ეთნიკური შერევის გზით, ეთნოციდის შემთხვევას წარმოადგენს. ამგვარ შემთხვევებში მიზანი

უფრო კულტურული მოსპობაა, ვიდრე თვითონ იმ ჯგუფის, რომელიც ამ კულტურას წარმოადგენს.

ეთნიკური გადარჩენის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს ეთნიკური რჩეულობის მითი. ეთნიკური თვითგანახლების ყველაზე მნიშვნელოვანი ეთნიკური რჩეულობის იდეაა. ეთნიკური გადარჩენის სულისკვეთებით განმსჭვალული მითები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ეთნიკური თვითგანახლებისძლიერ მექანიზმს ქმნის.

თავი II. ნაციონალიზმი და არსებული ძირითადი კონცეფციები

2.1. ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია

წინა თავში ერების შექმნის და ფორმირების პროცესები განვიხილეთ, სადაც ცხადი გახდა, რომ წინამოდერნული ეთნიკური იდენტობა წარმოადგენს საფუძველს, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია მსჯელობა იმაზე, თუ რატომ და როგორ წარმოიშვნენ ერები. ერების მოდერნისტულ ხედვაში ნაციონალიზმი ქმნის ეროვნულ იდენტობას. გელნერი აცხადებს, რომ „ნაციონალიზმი არის ერების თვითშეგნების გამოღვიძება; ის თავად იგონებს ერებს, როცა ისინი არ არსებობენ” (სმიტი, 2008, გვ. 88). ნაციონალიზმი მიიჩნევა „გამოგონილ დოქტრინად,” რომელიც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ევროპაში შეიქმნა. როგორ უნდა ავხსნათ ეს გამოგონება? რატომ ქმნის ან იგონებს ნაციონალიზმი ერებს „იქ, სადაც ისინი არ არსებობენ”?

ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია და ენა, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს გამოჩნდა, მაგრამ ერები და ნაციონალიზმი იმაზე მეტად „გამოგონილი” როდია, სხვა რომელიმე სოციალური ორგანიზაცია თუ იდეოლოგია (ჰობსბაუმი, 2012) ნაციონალიზმი არის „ეპოქის სულის” ნაწილი და დამოკიდებულია უფრო ადრეულ ხედვებსა და იდეალებზე, რადგან, რასაც ნაციონალიზმს ვუწოდებთ, სხვადასხვა დონეზე ავლენს თავს და შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც კულტურის ფორმა, როგორც პოლიტიკური იდეოლოგიის ნაირსახეობა და როგორც სოციალური მოძრაობა. საჭიროა ნაციონალიზმი თავდაპირველად განვიხილოთ, როგორც კულტურისა და იდენტობის ფორმა, ხოლო შემდეგში შევუდგეთ მისი პოლიტიკური გავლენების საკითხის განხილვას.

ნაციონალიზმი, როგორც იდეოლოგია, ენა, განწყობა.

ტერმინი ნაციონალიზმი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ის შეიძლება აღნიშნავდეს:

1. ერებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება-შენარჩუნების პროცესს;
2. ერისადმი კუთვნილების გაცნობიერებას და მისი უსაფრთხოებისაკენ მიმართულ განწყობებს;
3. ერის ენასა და სიმბოლიებს;
4. იდეოლოგიას ერისნებისა და კულტურული დოქტრინის თაობაზე;
5. სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც ერის მიზნების და ნების რეალიზაციას ემსახურება (სმითი,2008).

ნაციონალიზმი, როგორც ენა და სიმბოლიზმი, იწყება როგორც ელიტური ფენომენი და არ უნდა გავაიგივოთ არც ნაციონალისტურ მოძრაობასთან და არც ნაციონალისტურ თვითშეგნებასთან. ნაციონალისტური ენა და სიმბოლიზმი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე იდეოლოგიური მოძრაობა. იგი იდეოლოგიას მოსახლეობის ფართო მასების განწყობებს უკავშირებს და ამას ლოზუნგების, ცერემონიების, იდეების, სიმბოლოების მეშვეობით ახერხებს. ნაციონალისტურ ენასა და სიმბოლიზმში ურთერთდაკავშირებულია, როგორც კოგნიტური, ასევე ექსპრესიული განზომილება და, ამავე დროს, ის ელიტისა და ფართო მასების გაგებას ეხმარება (სმითი 2008).

ნაციონალიზმი, როგორც სოციალური და პოლიტიკური მნიშვნელობა, მჭიდროდ არის დაკავშირებული ნაციონალისტურ იდეოლოგიასთან. ერთი წარმოუდგენელიამეორეს გარეშე, ამიტომ მათ ერთად განვიხილავთ. ამ შემთხვევაში კი ნაციონალიზმი წარმოადგენს „იდეოლოგიურ მოძრაობას იმ მოსახლეობის დამოუკიდებლობის, ერთობისა და იდენტობის მისაღწევად და შესანარჩუნებლად, რომელიც მოსახლეობის მიერ მოიზრება არსებულ თუ პოტენციურ ერად(სმითი, 2008, გვ. 91).

ნაციონალიზმის იდეოლოგიის არსებითი დოქტრინა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. მსოფლიო დაყოფილია ერებად, რომელთაგანაც თითოეულს აქვს საკუთარი ინდივიდუალობა და ისტორიული ბედ-იღბალი.

2. ერის არის ყოველგვარი სოციალური, პოლიტიკური ძალის წყარო და მისდამი ერთგულება ყველა სხვა სახის ერთგულებას აღემატება.
3. ადამიანებს თუ სურთ იყვნენ თავისუფალნი, თავი უნდა გააიგივონ ერთან.
4. ერები უნდა იყვნენ თავისუფალნი და დაცულნი, რომ მსოფლიოში იყოს მშვიდობა და სამართლიანობა (სმითი,2008).

ნაციონალიზმის ძირეული დოქტრინის ამ ჩამონათვალში გამოტოვებულია სახელმწიფო. იგი იგულისხმება მეორე და მეოთხე მუხლებში. საზოგადოდ, ნაციონალიზმი არის ერის და არა სახელმწიფოს იდეოლოგია. მისი უმთავრესი საზრუნავი არის, მისი სამყარო, მითითებები გარკვეული კოლექტიური ქმედებისაკენ და ეს ეხება მხოლოდ ერსა და მის წევრებს. ის აზრი, რომ ერები თავისუფალნი არიან მხოლოდ მაშინ, როცა აქვთ სუვერენული სახელმწიფო, არც უეჭველია და არც უნივერსალური.

თეზისი, რომ ყველა ერს ჰქონდეს სახელმწიფო, ნაციონალიზმის ძირითადი დოქტრინიდან გამომდინარე, ზოგადი, მაგრამ არცთუ აუცილებელი პირობაა. იგი გვეუბნება, რომ ნაციონალიზმი არის, უპირველეს ყოვლისა, კულტურული დოქტრინა ან „უფრო ზუსტად, პოლიტიკური იდეოლოგია, რომლის ღერძიცაა კულტურული დოქტრინა“ (სმითი, 2008, გვ.92).

ნაციონალიზმი არის იდეოლოგიური მოძრაობა ერის ავტონომიის, იდენტობის და ერთობის მოსაპოვებლად. ეს იდეა მომდინარეობს ახალი ფილოსოფიური, ისტორიული და ანთროპოლოგიური დისკურსიდან. მაგალითად, ასეთია „იდენტობის,” როგორც „იგივეობის,” ცნების პირდაპირი აღქმა: რომელიმე ერთი ჯგუფის წევრები მსგავსნი არიან იმ თვალსაზრისით, რომლითაც განსხვავდებიან იმათგან, ვინც არ არის ამ ჯგუფში. წევრები იცვამენ, ჭამენ, ლაპარაკობენ ერთნაირად. მსგავსება-განსხვავების ეს მოდელი ერთ-ერთ მნიშვნელოვანთაგანი ეროვნული იდენტობისა.

რაც შეეხებაერთიანობის იდეას, „ერთიანობა” ნიშნავს სოციალურ ერთსულოვნებას, ერის ყველა წევრის ძმობას. ერთობის ნაციონალისტურმა იდეამ შორსმიმავალი შედეგები გამოიღო. მან ბიძგი მისცა ერისიდეას და კულტურული და პოლიტიკური

ჰომოგენურობის ინტერესებიდან გამომდინარე, გამართლება მოუნახა ყველა შუალედური რგოლისა და ლოკალური თავისებურების ამოძირკვას. ეს პროცესები პოლიტიკური ხასითის პროცესებში გადაიზარდა, რომლებიც ემსახურებოდნენ მასების მობილიზაციას სოციალური და პოლიტიკური ინტეგრაციის მიზნით. ამ დროს სახელმწიფო ხდება მამოძრავებელი ძალა იმისა, რაც ერთად უნდა იქცეს და თავად ქმნის პოლიტიკურ და კულტურულ ერთობას. აქ ერთიანობის ნაციონალისტური იდეა უბრუნდება ეთნიკურ ფესვებს და ეძებს ერთსახოვნებას, რათა მომავალ ერს განსხვავებულობები ჩამოაშოროს (სმითი, 2008).

ერების თავისუფლების, ავტონომიის იდეას კანტისეული „თვითგანსაზღვრის“ სამყაროში შევყავართ, რაც იმას ნიშნავს, რომ კანტის კვალდაკვალ თავისუფლება იქცა მორალურ პარადიგმად, ეთიკურ იმპერატივად, ინდივიდისთვის მისი ყოფიერების საზრისად და არა მარტო პოლიტიკურ იდეად, რომელიც საშიშროების ჟამს უნდა გამძაფრებულიყო. გერმანელმა რომანტიკოსებმა თავისუფლების ეს იდეალი არა მარტო ინდივიდებს, არამედ ჯგუფებსაც მიუსადაგეს, რამაც დასაბამი მისცა ეროვნულ თვითგამორკვევას და ერთობლივ ბრძოლას ნაციონალური ნების რეალიზებისთვის. შესაბამისად, ნაციონალიზმი გულისხმობს ერების წევრების მის ნამდვილ „კოლექტიურ მესთან“ დაბრუნებას.

დამოუკიდებლობა, იდენტობა, ეროვნული გენია, ავთენტურობა, ერთობა, ძმობა აყალიბებს შინაგან კავშირში მყოფ ენასა და დისკურსს, რომელიც გამოვლინდება ცერემონიებისა და სიმბოლოების სახით. ეს უკანასკნელნი კი იმდენად იქცნენ ჩვენი სამყაროს ნაწილად, რომ, უმეტეს შემთხვევაში, მათ თავისთავად არსებულ რეალობებად აღვიქვამთ. ამ სიმბოლოებსა და ცერემონიებში მოიაზრება ერების აშკარა ატრიბუტები- დროშა, ჰიმნი, აღლუმი, ფულის ნიშნები, დედაქალაქები, ფიცი, ხალხური წეს-ჩვეულებანი, ფოლკლორის მუზეუმები, საბრძოლო მემორიალები, ეროვნული საგმირო სააქმებისადმი მიძღვნილი ცერემონიები, არქიტექტურის სტილი, ეტიკეტი, ხელოვნება, საგანმანათლებლო პრაქტიკები- ანუ ყველა ის განსხვავებული წეს-ჩვეულებები, ღირებულებები, სტილის, მოქმედების და გრძნობის თავისებურება, რომელიც აერთიანებს ისტორიული კულტურის მქონე საზოგადოების წევრებს.

ბევრი თვალსაზრისით, ეროვნული სიმბოლოები, წეს-ჩვეულებები და ცერემონიები ნაციონალიზმის ყველაზე მძაფრი და მდგრადი ასპექტებია, რადგან მათში განსხვავებულია ნაციონალიზმის ძირითადი იდეები და მათი მეშვეობით ეს იდეები ხორცშესხმული და თვალხილული ხდება ერის ყველა წევრისთვის. ამ ყველასთვის გასაგები სიმბოლური ენით გამოხატული ნაციონალიზმის აბსტრაქტული იდეები საზოგადოებაში მძლავრ ემოციურ მუხტს იწვევს. როგორც დიურკემმა აღწერა, სიმბოლოები და ცერემონიები ყოველთვის მძლავრად, ემოციურად მოქმედებენ კოლექტივზე და ეს მოვლენა არსად ისე კარგად არ ჩანს, როგორც ეროვნული სიმბოლოებისა და ცერემონიების მაგალითზე.

ძირეული ემოციები და მისწრაფებები, რომლებსაც ეროვნული იდეოლოგია და ენა-სიმბოლოები აღვივებს, სამ ძირითად მაჩვენებელსუკავშირდება: ტერიტორიას, ისტორიას და საზოგადოებას. ამ ემოციების და მისწრაფებების გაღვივებას ცდილობს ინტელიგენცია, ახორცილებს სახალხო მობილიზაციას და ქმნის საყოველთაოდ მისაბამ, შთამბეჭდავი მითების საფუძვლებს. ამ მიზნის განსახორციელებლად იყენებს ორ ძირითად სტრატეგიას. ესენია: პეიზაჟისა და ბუნების პოეტური წარმოსახვა და ერის ისტორიისა და მისი ოქროს ხანის მოშველიება. (სმიტი, 2008). ამ სტრატეგიას ღრმად აქვს ფესვები გამდგარი ცნობილ შეხედულებებში დროისა და სივრცის შესახებ და კერისა და მამა-პაპისადმი მათ დამოკიდებულებაში. ეს უძველესი რწმენა-წარმოდგენები და ვალდებულებანი წინაპართა მშობლიური მიწის, მამათა თაობის წინაშე, ნაციონალური იდენტობის შესაქმნელად გამოიყენეს ნაციონალისტებმა (სმიტი, 2008).

2.2. ნაციონალიზმის ტიპები.

ნაციონალიზმის შესწავლის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ამოცანას ნაციონალისტური იდეოლოგიებისა და მოძრაობების ტიპოლოგია წარმოადგენს. ყველაზე გავლენიანი ტიპოლოგია ჰანს კოენს ეკუთვნის. ის განასხვავებს „დასავლურ“ რაციონალურსა და შემაკავშირებელ ვერსიას, ორგანიკული და მისტიკური „აღმოსავლურისაგან.

დასავლური ანუ „სამოქალაქო“ მოდელი უპირველეს ყოვლისა არის სივრცული/ტერიტორიული კონცეფცია. დასავლური კონცეფციამისეული მოდელის

განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს მზარდ პოლიტიკურ და სამართლებრივ ცნობიერებას, რომელსაც მოსდევს საზოგადოებაში ერთობის წევრთა შორის სამართლებრივი თანასწორობის ცნება. მისი სრული გამოვლინებაა სხვადასხვა სახე „მოქალაქეობისა“- ისეთი როგორცაა სამოქალაქო და სამართლებრივი თუ პოლიტიკური უფლებები, მოვალეობები. აგრეთვე სოციალ-ეკონომიკური უფლებები. რაც გულისხმობს იმ პრინციპის არსებობას, რომ ერის ყველა წევრი თანასწორია კანონის წინაშე და მდიდარი, ძლიერი მამულის კანონებით არის შეზღუდული.

არადასავლური, „ეთნიკურ“ კონცეფციის განმასხვავებელი ნიშნებია: განსაკუთრებული აქცენტი წარმომავლობასა და მშობლიურ კულტურაზე. წარმომავლობას უფრო მეტი ყურადღება ექცევა ვიდრე ტერიტორიას. ერი განიხილება, როგორც ერთგვარი „ზეოჯახი“, რომელიც ამაყობს თავისი გენეალოგიით.

ენტონი სმითის შეხედულებით ნაციონალიზმის მსგავსი დაყოფა განაპირობა დასავლეთში არსებულმა კლასობროვმა დაყოფამ. მისი აზრით დასავლეთში ძლიერმა და თავის თავში დარწმუნებულმა ბურჟუაზიამ შეძლო აემუნებინა სამოქალაქო სულისკვეთების მქონე მოქალაქეთა ერი (სმითი, 2004, 70).

აღმოსავლეთ ევროპამ კი ვერ წარმოშვა საშუალო კლასი. ამის სანაცვლოდ, ინტელიგენცია ჩაუდგა სათავეში ნაციონალისტურ მოძრაობას. რადგან ინტელიგენცია მცირერიცხოვანი და ძალაუფლებას მოკლებული იყო, ნაციონალიზმის მისეული ვერსია მკვეთრი და ავტორიტარული აღმოჩნდა. ინტელიგენცია ერს უყურებდა, როგორც მონოლითურ წარმონაქმნს, ორგანული ერთიანობის მისტიკური სულითა და მისიით.

კოენის მტკიცებით, ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ამერიკაში წარმოიშვა ერის რაციონალური ცნება. კოენიერს განმარტავს, როგორც ადამიანთა ისეთ გაერთიანებას, რომელიც საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობს და რომელსაც საერთო მთავრობა და კანონმდებლობა განაგებს.

ნაციონალიზმის ტიპოლოგიას გვთავაზობს პლამენაცი, რომელმაც ერთმანეთისაგან გამიჯნა კულტურულად გაცილებით უფრო განვითარებული იტალიური და გერმანული ნაციონალიზმი და შედარებით ნაკლებად განვითარებული ბალკანური და აღმოსავლეთევროპული ნაციონალიზმი. ეს უკანასკნელი კულტურული და საგანმანათლებლო რესურსების ნაკლებობას განიცდის და ეს განასხვავებს პირველისაგან. ეს განსხვავებულობა კი არის მიზეზი იმისა, რომ აღმოსავლეთევროპული და ბალკანური ნაციონალიზმი არის უფროს სუსტი, მაგრამ მკვეთრი მოძრაობა.

ერის სამოქალაქო და ტერიტორიული მოდელები წარმოშობენ გარკვეული ტიპის ნაციონალისტურ მოძრაობებს: „ანტიკოლონიურს“ დამოუკიდებლობის მიღწევამდე და „ინტეგრაციულს“ დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ (სმითი, 2008). ერისეთნიკური და გენეოლოგიური მოდელი კი, თავის მხრივ, წარმოშობს მიდრეკილებებს სეცესიონისტური (გამოყოფისკენ სწრაფვა) და დიასპორული მოძრაობებისკენ დამოუკიდებლობის მიღწევამდე და ირედენტისტული (გამოხსნის) და „პან“ მოძრაობებისკენ დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ. ამ სქემის საფუძველზე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ნაციონალიზმის ტიპოლოგია, რომელიც შეეხება განსხვავებას ეთნიკურ და ტერიტორიულ ნაციონალიზმებს შორის. ამ სახის ტიპოლოგია მოიცავს სურათს, რომლის შიგნითაც კონკრეტული ერთობები ავლენენ საკუთარ თავს, როგორც დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, ისე დამოუკიდებლობის შემდეგ. სწორედ ეს გარემოებები განსაზღვრავს ნაციონალიზმის პოლიტიკურ მიზნებს ტიპოლოგიას ასეთი სახე აქვს:

1. ტერიტორიული ნაციონალიზმები

დამოუკიდებლობამდელი მოძრაობები, რომელთა ერის ცნება სამოქალაქო და ტერიტორიული ხასიათისაა. ისინი ესწრაფვიან უცხო მმართველის განდევნას და ძველი კოლონიის ახალ ერი-სახელმწიფოდ შეცვლად. მათ ანტიკოლონიურ ნაციონალიზმს უწოდებენ.

დამოუკიდებლობის შემდგომი მოძრაობები, რომელთა ერის ცნება სამოქალაქო და ტერიტორიული ხასიათისაა. ისინი ესწრაფვიან ხშირად განსხვავებული

ეთნიკური პოპულაციების გაერთიანებას და მათ ახალ პოლიტიკურ ერთობაში ინტეგრაციას, რათა ძველი კოლონიური სახელმწიფოსაგან შექმნან ახალი ტერიტორიული ერთი. ესენია ინტეგრაციული ნაციონალიზმები (სმითი, 2008).

2. ეთნიკური ნაციონალიზმები

დამოუკიდებლობამდე მოძრაობები, რომელთა ერის ცნება ეთნიკური და გენეალოგიურია. ისინი ესწრაფვიან უფრო დიდი პოლიტიკური ერთობიდან გამოყოფას (ან გამოყოფას და მონიშნულ ეთნიკურ სამშობლოში თავმოყრას) და ახალი პოლიტიკური „ეთნოერის“ შექმნას. ესენია სეცესიური და დიასპორული ნაციონალიზმები.

დამოუკიდებლობის შემდგომი მოძრაობები, რომელთა ერის ცნება ეთნიკური და გენეალოგიურია. ისინი ესწრაფვიან გავრცობა-გაფართოებას იმის წყალობით, რომ მონათესავე ერის საზღვრებს მიღმა მონათესავე ეთნიკური ჯგუფი და მათი საცხოვრებელი მიწები შეიერთონ ან შექმნან გაცილებით უფრო ვრცელი „ეთნონაციონალური“ სახელმწიფო შეკავშირების გზით. ესენია ირედენტისტული და „პან“ ნაციონალიზმები (სმითი, 2008)

ასეთი ბაზისური ტიპოლოგია ხელს უწყობს ნაციონალიზმის სახეობების შედარებას და მათთვის განკუთვნილი ადგილის მიჩენას. ამით არ ხდება ნაციონალიზმის კონკრეტული სპეციფიკური მახასიათებლების უარყოფა, პირიქით, ნაციონალიზმის ძირეული დოქტრინების, ძირითადი ცნების და სიმბოლოების შემოხაზვა, ყოველი ცალკეული ნაციონალიზმის უნიკალური ნიშან-თვისებების აღიარება. ეს სპეციფიკური დოქტრინები, ცნებები განმსაზღვრელ როლს თამაშობენ, რადგან სწორედ სპეციფიკური დოქტრინები და იდეები ამარაგებენ იმ სიმბოლიზმს და ცერემონიებს, რომელიც ხალხის ყველაზე ღრმა და ემოციურ მისწრაფებებს აღვივებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი გადახლართულნი არიან უფრო ძველ სიმბოლოებთან და ცერემონიებთან (სმითი, 2008).

„ასევე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გვიანდელი პერიოდის ნაციონალიზმს სახალხო, პირველადი ნაციონალური ლინგვისტური ფესვები აქვს“ (ჰობსბაუმი, 2012, გვ.73). მაგ.: ალბანელები. პირველი ალბანელი ნაციონალისტები, ჰობსბაუმის აზრით, საკუთარ

კულტურ იდენტობას სწორედ ენაში ეძებდნენ, რადგან რელიგია და ყველა სხვა დანარჩენი კრიტერიუმი გამყოფი უფრო იყო და არა დამაკავშირებელი. „პიონერი ნაციონალისტები“ (ჰობსბაუმი, 2012, გვ.76) სოლიდარობის სხვა უფრო დამაჯერებელ არგუმენტებს იყენებენ: ერთი ტომის, ერთი ოჯახის წევრობას, ერთი სისხლის იდეას.

ისეთ ტერიტორიებზე, სადაც მხოლოდ ერთი ენა არსებობდა, იგი ჩვეულებრივ ჯგუფური კუთვნილების კრიტერიუმი იყო, მაგრამ იქ, სადაც რამოდენიმე ენა ერთდროულად არსებობდა, „მულტილინგუალიზმი“ ჩვეულებრივი მოვლენა იყო, რაც რომელიმე ამ ენასთან მიკუთვნილების თვითნებურ საშუალებას იძლეოდა. გარკვეულ ენასთან იდენტიფიკაცია არა მის ცოდნაზე, არამედ სხვა ფაქტორებზე იყო დამოკიდებული.

არსებულ ნაციონალისტურ თეორიებში ენა მთავარ კრიტერიუმებს შორისაა, ჰერდერისეული გაგებით, ენა ნაციონალიზმის ფორმირებაში აუცილებლად რელევანტურია, მაგრამ არა ცენტრალური ელემენტი, ნაციონალიზმის თანამედროვე განსაზღვრებებშიც ენამ ცენტრალური ადგილი დაიკავა, რადგან იქ, სადაც ელიტების ლიტერატურული ენა არსებობს, რაც არ უნდა მცირე ყოფილიყო ამ ენის გამომყენებელთა რაოდენობა, ნაციონალიზმის შექმნაში იგი უმიშვნელოვანესია.

ნაციონალიზმის ფორმირებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრება რელიგიას, ნაციონალიზმისა და რელიგიის კავშირი ძალზე მჭიდროა და ეს კავშირი შეიძლება კიდევ უფრო გაძლიერდეს მას შემდეგ, რაც ნაციონალიზმი უმცირესობის იდეოლოგიიდან და აქტივისტთა მოძრაობიდან მასობრივ მოვლენად გადაიქცევა. მაგ.: არაბული ნაციონალიზმი დღეს ისე მჭიდროდ არის დაკავშირებული ისლამთან, რომ მის მტრებსა და მომხრეებსაც უჭირთ ქრისტიანული უმცირესობებისთვის - კოპტების, მარონიტებისა და ბერძნებისთვის ადგილის მოძებნა მაშინ, როდესაც ეს უმცირესობები ეგვიპტისა და სირიის თურქულ ნაწილში არაბული ნაციონალიზმის პიონერებად ითვლებიან.

რელიგიისა და ნაციონალიზმის მზარდი იდენტიფიკაცია არ არის გასაკვირი. რელიგია ადამიანთა დიდი ერთობების ჩამოყალიბების, ადათ- წესების, გარკვეული საერთო ნიშან-თვისებების ხალხთა ჯგუფების გაერთიანების ძველი და კარგად აპრობირებული

მეთოდია. მიხედვად იმისა, რომ მსოფლიო რელიგიები უნივერსალურები არიან და ამგვარად ენობრივ, პოლიტიკურ და სხვა განსხვავებებს ფარავენ. უნივერსალური ჭეშმარიტებები ხშირად კონკურირებენ ერთმანეთს და ხალხებს ეთიკურ ნიშნად სხვა ჭეშმარიტებები შეუძლიათ აიღონ.

გელნერი ასკვნის, რომ ხალხის ჯგუფისდიდ კულტურასთან დაკავშირება, ხშირად მსოფლიო რელიგიის რომელიმე ვარიანტის მიღებითაა გამოწვეული, რაც ეთნიკურ ჯგუფს საშუალებას მისცემს, მოითხოვოს ის უპირატესობები, რომელიც შემდგომში დაეხმარება ერთად ჩამოყალიბებაში.

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიანაციონალიზმისაუცილებელი დამახასიათებელი ნიშანი არ არის, წმინდა ხატები მისი მნიშვნელოვანი კომპონენტია, ისევე როგორც თანამედროვე ნაციონალიზმისთვის, „ისინი გამოხატავენ სიმბოლოებს, რიტუალებს და საერთო კოლექტიურ წეს-ჩვეულებებს, რომელიც წარმოსახვით საზოგადოებას ხელშესახებ რეალობას ანიჭებენ” (ჰობსბაუმი, 2012, გვ. 98).

ხანგრძლივი პოლიტიკური მიკუთვნილების გამომხატველი, ნაციონალიზმის ყველაზე ძლიერი შემკავშირებელი არის „ისტორიული ერი.” განსაკუთრებით მაშინ, როცა სახელმწიფო მომავალი ერის ჩარჩოებს საზღვრავს. წარსულში ან აწყმომი ისტორიული სახელმწიფოსადმი მიკუთვნილებამ შესაძლებელია უბრალო ხალხის ცნობიერებაზე იმოქმედოს და თანამედროვე პატრიოტიზმის მსგავსი ფენომენი ჩამოაყალიბოს. აშკარაა, რომ უბრალო ხალხში არსებული სახელმწიფო ტრადიციებისადმი სწრაფვა თანამედროვე ნაციონალიზმს ასაზრდოებს. ზოგი ასეთი სახელმწიფოს მისწრაფება იქამდე მიდის, რომ შესაფერის ეროვნულ სახელმწიფოს მეხსიერების მიღმა ღრმა წარსულს ეძებს.

2.3. ნაციონალიზმი მმართველი ფენის ხედვით

სახელმწიფოსა და საზოგადოების მმართველები, ერებისა და ნაციონალიზმის პრობლემების განხილვას საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ იწყებენ. თანამედროვე სახელმწიფო, რომელმაც თავისი სისტემური ფორმა საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ მიიღო, განისაზღვრებოდა, როგორც ტერიტორია, რომლის მთლიან მოსახლეობასაც იგი

მართავდა და სხვა ამგვარი ტერიტორიებისაგან მკაცრად დადგენილი საზღვრებით იმიჯნებოდა. სახელმწიფო ყველა საშუალებით ცდილობდა, მოეძებნა გზები, რომ რევოლუციის ხანის შემდგომი პერიოდის ინსტიტუციური და ადმინისტრაციული სისტემა და კანონებიმთელ თავის ტერიტორიაზე დაეწესებინა და უარი ეთქვა რელიგიური ან სეკულარული იდეოლოგიის შექმნილ სისტემებზე. სახელმწიფო ცდილობდა, სულ უფრო და უფრო გაეთვალისწინებინა ხალხის, მოქალაქეების აზრი, რადგან მათი ხმა განსაზღვრავდა პოლიტიკური ძალაუფლების ფლობას. სახელმწიფოს მოქალაქეებთან მჭიდრო, აქტიური თანამშრომლობა სჭირდებოდა. რადგან „მართავდა ტერიტორიულად განსაზღვრულ ‚ხალხს‘, როგორც თავისი ტერიტორიის მართვის უმაღლესი ‚ნაციონალური ორგანო“ (ჰობსბაუმი, 2012, გვ.110).

სახელმწიფო და მოქალაქე ყოველდღიური ურთიერთობებით დაუკავშირდნენ ერთმანეთს. სახალხო აღწერებით ხდებოდა მოქალაქეთა აღრიცხვა დაბადების, ქორწინების და სიკვდილის რეგისტრირების სისტემით. XIX საუკუნის განმავლობაში ასეთი ინტერვენციები საყოველთაო ხასათის გახდა. სახელმწიფოს მხრიდან ინტერვენციები ხორციელდებოდა საყოველთაო აღწერებით, დაწყებით სკოლაში სავალდებულო თეორიული დასწრებისა და სავალდებულო სამხედრო სამსახურების საშუალებით. სატრანსპორტო და საკომუნიკაციო რევოლუციებმა, რომელთა ნიშანი რკინიგზა და ტელეგრაფი იყო, სახელმწიფოში ცენტრალური მმართველობა სულ უფრო მჭიდროდ დააკავშირა შორეულ ტერიტორიებთანაც.

ამ ტრანსფორმაციებმა ძალზე სენსიტიური, პოლიტიკური საკითხი წამოსწია, კერძოდ, მოქალაქეთა ლოიალობა სახელმწიფოსა და მმართველი სისტემებისადმი და მასთან იდენტიფიკაცია. ამ დრომდე მოქალაქეები და სეკულარიზებული ეროვნული მმართველები უშუალოდ დგებოდნენ ერთმანეთის წინაშე. მოქალაქეებს სახელმწიფოსადმი ლოიალობა და მასთან იდენტიფიკაცია არ მოეთხოვებოდათ. მათ გააჩნდათ ავტონომიური, შუამავალი ყველა ინსტიტუცია, რელიგიითა და სოციალური იერარქიით, რომელიც თავისთავში გულისხმობდა არსებული მმართველობის ლეგიტიმაციას. მაგრამ რევოლიციათა ხანამ შეზღუდა ან აღკვეთა ისინი. ვითარება, როდესაც მოქალაქეები უმაღლესი მმართველების ქვეშევრდომები იყვნენ და ეს ძალიან ჰგავდა ბავშვების ლოიალობას მშობლების მიმართ, რომლებიც მათი სახელით

მოქმედებდნენ, შეიცვალა (ჰობსბაუმი, 2012).

XIX საუკუნის ბოლო მესამედში ნათელი გახდა, რომ უწყვეტი დემოკრატიზაცია ან უკანასკნელ შემთხვევაში, პოლიტიკის შეუქცევადი ელექტორიზაცია, აუცილებელი მოვლენა იყო. აშკარა გახდა, რომ უბრალო კაცი, როგორც მოქალაქე, რომელსაც პოლიტიკაში მონაწილეობის უფლება ჰქონდა, აღარ იყო ვალდებული, ლოიალური ყოფილიყო თავისი ზემდგომების ან სახელმწიფოს მიმართ. განსაკუთრებით მაშინ, როცა კლასი, რომელსაც ეს კაცი მიეკუთვნებოდა, ისტორიულ სიახლეს წარმოადგენდა და ამის გამოსაგანთა წესრიგში თავისი ტრადიციული ადგილი არ გააჩნდა.

როგორც ომებმა ცხადყო, სახელმწიფო ინტერესები წარმოუდგენლად დიდი მასშტაბით გახდა დამოკიდებული მოქალაქეთა თანამონაწილეობაზე. იმის მიუხედავად, არმია გაწვეული ჯარისკაცებისგან შედგებოდა თუ მოხალისეებისგან, კაცების სურვილი, ემსახურათ ჯარში, მთავრობის გათვლებში მნიშვნელოვანი ცვლადი გახდა.

მოქალაქეთა, კერძოდ, მუშახელის პოლიტიკური დამოკიდებულებები, მუშათა და სოციალისტური მოძრაობების გავლენით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გახდა სახელმწიფოსთვის. „პოლიტიკის დემოკრატიზაციამ ანუ, ერთი მხრივ, კაცთა საარჩევნო უფლებების მზარდმა გაფართოებამ, მეორე მხრივ კი, თანამედროვე, ადმინისტრაციული, მოქალაქეთა დამრაზმელი და მათზე გავლენის მქონე სახელმწიფოს შექმნამ, პოლიტიკური დღის წესრიგის სათავეში დააყენა ერთად დაკავშირებული საკითხები, მოქალაქეთა გრძნობები და დამოკიდებულებები იმის მიმართ, რასაც ისინი თავიანთ ერად, ეროვნებად ან ლოიალობის სხვა რაიმე ცენტრად თვლიდნენ” (ჰობსბაუმი, 2012, გვ.114).

ამგვარად, მმართველი ფენის ლეგიტიმაციის პრობლემის ყველაზე მოსახერხებელ გზას წარმოადგენდა იდენტიფიკაცია ხალხთან ან ერთან, რაგვარადაც არ უნდა ყოფილიყო განმარტებული, უფრო მეტიც, ის იყო ერთადერთი გზა იმ სახელმწიფოებში, რომლებიც ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპს ეფუძნებოდნენ. როგორ უნდა მოეხდინათ ისეთ სახელმწიფოთა მონარქებს ლეგიტიმაცია, როგორებიც იყო იტალია, საბერძნეთი, რომლებიც აქამდე, როგორც ასეთები, არ არსებობდნენ, ან ისეთ სახელმწიფოებს, რომელთა არსებობა ყველა ისტორიულ პრეცედენტს არღვევდა. ადაპტაციის

მოთხოვნილება დიდი ხნის წინ არსებულ რეჟიმებში გაჩნდა, რადგან ლოიალობის ისეთი გარანტიები, როგორც იყვნენ დინასტიური ლეგიტიმაცია, ლთიკურთხეულობა, ისტორიული უფლებები და მმართველობის მუდმივობა, საგრძნობლად შესუსტდა(პობსზაუმი, 2012).

მონარქიების შემთხვევაში, ეს ტენდენცია განსაკუთრებით თვალსაჩინოა. ამ ინსტიტუციისთვის დამატებით „ეროვნული“ ფუნდამენტის შექმნის მოთხოვნა ისეთ ქვეყნებშიც კი გაჩნდა, რომლებიც დაცულნი იყვნენ ამგვარი რევოლუციებისგან.

ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც ლეგიტიმურობის ჩამოშლის და სახელმწიფოს რღვევის საფრთხე არ არსებობდა, ძველი სოციალურ-პოლიტიკური კავშირების უბრალო შესუსტებამ აუცილებელი გახადა სამოქალაქო ლოიალობის ახალი ფორმები დანერგილიყო. ლოიალობის ახალ ფორმები, რომელთაც რუსო „სამოქალაქო რელიგიას“ უწოდებდა, იყო პატრიოტიზმი და სახელმწიფო, რომელიც რევოლუციების, ლიბერალიზმის, ნაციონალიზმის, დემოკრატიზაციის და მუშათა კლასის აღზევების ხანაში, თავი უსაფრთხოდ რომ ეგრძნო, სულ უფრო მეტად მოითხოვდა „სამოქალაქო რელიგიას“.

საფრანგეთის რევოლუცია პატრიოტებად თვლიდა მათ, ვინც ქვეყნის სიყვარულის ნიშნად, გამოთქვამდნენ მზაობას რეფორმებისა და რევოლუციის გზით განეახლებინათ იგი. პატრიოტიზმის თავდაპირველი რევოლუციურ-სახალხო იდეა უფრო მეტად იყო დაფუძნებული სახელმწიფოზე, ვიდრე ნაციონალისტური, რადგან იგი სუვერენულ ხალხს უკავშირდებოდა და ძალაუფლებას მისი სახელით ახორციელებდა. ეთნიკურობა და ისტორიული უწყვეტობის სხვა ელემენტები ამ სახის „ერისთვის“ არარელევანტური იყო, ხოლო ენა, მხოლოდ პრაგმატული მიზეზით, რელევანტური.

პრეისტორიულად არსებული, ეგზისტენციალური მმართველი ერთეულის საპირისპიროდ ჩამოყალიბებული ერი, მისი წევრების პოლიტიკური არჩევანის შედეგი იყო, რომელმაც მათი ყოფილი ლოიალობის ობიექტები დაანგრია ან შეასუსტა. 1789 წლის 19 ნოემბერს ლანგედოკის, დოფინის, პროვანსის გვარდიებმა შეფიცეს, რომ ამერიდან იქნებოდნენ არა დოფინელები, პროვანსელები ან ლანგედოკები, არამედფრანგები. იგივე გააკეთეს 1790 წელს, საფრანგეთის მიერ ერთი საუკუნის წინ

დაპრობილმა პროვინციის მცხოვრებლებმა. ერის ამგვარი პოლიტიკური კონცეფცია მისი მოქალაქეების გააზრებული გადაწყვეტილებით იქმნება. „ფრანგული ეროვნება იყო საფრანგეთის მოქალაქეობა: ეთნიკურობას, ისტორიას, ენას ან სახლში სალაპარაკო კილოვას ერის დეფინიციასთან საერთო არაფერი ჰქონდა” (ჰობსბაუმი, 2012, გვ.120).

ამ აზრით გაგებული ერი არის მოქალაქეთა ერთობლიობა, რომელთა უფლებები მათ სახელმწიფოსთვის ზრუნვას ავალებდა და ამგვარად, ამ სახელმწიფოს, გარკვეული აზრით, მათ საკუთარს ხდიდა. ერის ამგვარი გაგება არ იყო მხოლოდ რევოლუციური, დემოკრატიული რეჟიმების ფენომენი. თუმცა, ანტირევოლუციური რეჟიმები, სადაც მდორედ მიმდინარეობდა დემოკრატიული პროცესები, ამას ძალიან ნელა აცნობიერებდნენ.

პოლიტიკის დემოკრატიზაციის აქტი ნიშნავს, სუბიექტის მოქალაქედ ტრანსფორმირებას. მოქალაქეებს კლასობრივი ცნობიერების განვითარების შემდეგ გაუჩნდათ პრეტენზია უფლებებზე, მასობრივმა პოლიტიკურმა ცნობიერებამ ან კლასობრივმა ცნობიერებამ დანერგა სამშობლოს ცნება, ამ პროცესებს მოსდევდა პოპულისტური ცნობიერების განვითარება, რომელიც გარკვეულ შემთხვევაში ძნელად გაირჩევა ეროვნული და შოვინისტური პატრიოტიზმისგან.

პატრიოტიზმის განვითარება ჰობსბაუმის აზრით მთავრობებისა და მართველი კლასების მიერ მოხდა. მთავრობები, სამხედრო დახმარებას მოითხოვდნენ არა უბრალოდ ღრმა პატრიოტიზმის ან ჰეროიკული გრძნობების იმედად, არამედ მოქალაქეებზე გათვლილი პროპაგანდით, ომს ისე ასალებდნენ, როგორც თავდაცვას. რადგან გარეშე მტერი საფრთხეს უქმნიდა მოქალაქეთა უფლებებს. ომის წარმოჩენა ხდებოდა, როგორც ქვეყნის სოციალური ტრანსფორმაციის შესაძლებლობა, ყველაზე დაბალი სოციალური ფენების საკეთილდღეოდ, ამიტომაც არსებობს გმირთა სახელები და მათ სადიდებლად შექმნილი პროგრამები (ჰობსბაუმი, 2014)

დემოკრატიზაციამ შეემლო, რეჟიმთა ლეგიტიმაცია მოეხდინა მოქალაქეთა გონებაში, თუნდაც ისინი უკმაყოფილო ყოფილიყვნენ. იგი აძლიერებდა და ქმნიდა სახელმწიფო პატრიოტიზმს, რომელიც იყო მობილიზაციის საშუალება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას გარკვეული ალტერნატიული ძალები დაუპირისპირდებოდნენ. ეს ალტერნატიული

ძალა, რომელიც იზიდავდა ლოიალობას ჰობსაბუმის შეხედულებით სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ნაციონალიზმი შეიძლებოდა ყოფილიყო. სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ ნაციონალიზმს შეეძლო მართველი ელიტის, მთავრობის წინააღმდეგ საზოგადოების მობილიზება, ასევე სახელმწიფოს შიგნით არსებული ეთნიკური უმცირესობების მობილიზება სახელმწიფოსგან გამოყოფის მოთხოვნით, რაც საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფოს დაეკრვა ლოიალობა, რომლის ერთადერთ ლეგიტიმურ მატარებლად თავს მიიჩნევდა. ამიტომაც სახელმწიფომ მოახერხა ნაციონალიზმის სახელმწიფო პატრიოტიზმთან ინტეგრაცია და იგი მისი ცენტრალური ემოციური კომპონენტი გახდა, ეს მთავრობას ძალიან დიდ ძალას აძლევდა (ჰობსბაუმი, 2012)

სახელმწიფო პატრიოტიზმისა და ნაციონალიზმის ინტეგრაცია შესაძლებელი იყო „ადამიანის „პატარა სამშობლოსთან“ ჭეშმარიტი, ეგზისტენციალური იდენტიფიკაციის სენტიმენტების უფრო დიდ სამშობლოზე უბრალო პროეცირებით” (ჰობსბაუმი, 2012, გვ.123). ქვეყნის მოქალაქეები, უბრალო ხალხად გარდაქმნით, ქმნიდნენ წარმოსახვით, მაგრამ გარკვეული სახის კომუნას, სადაც ეძიებდნენ და ჰპოვებდნენ კიდევსაერთო მახასიათებლებს, საერთო ქცევის წესებს, პერსონაჟებს, მოგონებებს, ნიშნებს, სიმბოლოებს. სხადასხვა ადგილების, სექციების, ადგილობრივი დასახლების მემკვიდრეობები ჩამოყალიბდა საყოველთაო ეროვნულ მემკვიდრეობებად.

ყველა ეროვნულ სახელმწიფოს უნდა გადაეწყვიტა, როგორ იყო შესაძლებელი დედამიწის ზედაპირის რაღაც ფრაგმენტი ჯერ პოლიტიკურ სახელმწიფოდ გამოეცხადებინა, ხოლო საბოლოოდ, სამშობლოდ ჩამოყალიბებულიყო. სახელმწიფოს და მმართველ რეჟიმებს ყველა მიზეზი ჰქონდათ საიმისოდ, რომ სახელმწიფო პატრიოტიზმი გაეძლიერებინათ, წარმოსახვითი საზოგადოების სენტიმენტებით და სიმბოლოებით, მოხდა ისე, რომ პოლიტიკურმა დემოკრატიზაციამ ძირითად საქმედ აქცია გმირთა აღზრდა და თითოეული ადამიანის ერთან, დროშასთან დაკავშირება. ასევე, დადგა სახალხო ნაციონალისტების ან ფსევდო მეცნიერული რასიზმის, ეროვნული ზეადმატებულობით გამოწვეული ქსენოფობიური სენტიმენტების დრო. განცალკევებული ხალხის ერთად შეკვრის ყველაზე ეფექტიანი გზა, მტრის წინააღმდეგ გაერთიანება იყო და ეს პროცესები მსოფლიო ომით დასრულდა. თვალსაჩინოა, თუ რაოდენ დიდი საშინაო პოლიტიკური ინტერესი ჰქონდა მთავრობას,

საკუთარ მოქალაქეებში ნაციონალიზმი გაელვავებინა. ყველაზე კარგად ნაციონალიზმის გაღვივებას კი კონფლიქტები იწვევენ, ბუნებრივია, რომ სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეებთანგამოიყენებდნენ კომუნიკაციის მზარდ და ძლიერ მექანიზმებს, დაწყებითი სკოლის ჩათვლით, რათა გაეგრძელებინათ „ერის“ ხატი, მემკვიდრეობა დაისინი ქვეყანასთან და დროშასთან დაეკავშირებინათ. ამისთვის ეროვნებასა და ტრადიციებსიგონებდნენ (ჰობსბაუმი,2012).

2.6 ეთნიკური სეპარატიზმი.

ეთნიკური სეპარატიზმის მოძრაობების დიდი უმრავლესობა წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ. ეთნიკური სეპარატიზმი რეალობაში ძლიერ ემსგავსება კლასიკურ ეთნიკურ ნაციონალიზმს, მაგრამ ეთნიკური ნაციონალიზმისგან განსხვავებით, პროცესი შემჭიდროვებული ან შებრუნებულია, რადგან ნაცვლად იმასა, რომ, როგორც ეთნიკურ ნაციონალიზმს ახასითებს, მოხდეს ეთნოსის და მისი მემკვიდრეობის პოლიტიზაცია, რომელსაც მოსდევს ინტელიგენციის მიერ განხორციელებული ენობრივ-დიალექტური მობილიზაცია, ეთნიკური სეპარატიზმის შემთხვევაში, ხშირად ვაწყდებით ამ პროცესების ერთდროულ მიმდინარეობას. მაგ. ქურთების შემთხვევაში, ქურთული ენის მოდერნიზაცია და ქურთული დამწერლობის სტანდარტიზაცია იყო ნაციონალისტური პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი განშტოება.

ენობრივ-დიალექტური მობილიზაციის მიზანს, ეთნიკური სეპარატიზმის დროს, ეთნიკური წარსულის მობილიზაცია, გასაჯაროვებაწარმოადგენს, რაც საჭიროა მომავალი მიზნების განსახორციელებლად. კერძოდ,პოლიტიზებული საერთო კულტურიდან ეთნიკური თვითშეგნების, ერთობის ჩამოსაყალიბებლად.

სეპარატისტული ეთნონაციონალისტური მოძრაობების მიზანიავტონომიის მოპოვება და იმ სახელმწიფოდან გამოყოფაა, რომლის საზღვრები კოლონიური სისტემის ნაწილია. პოსტკოლონიური სახელწმიფოს არამყარი ლეგიტიმაცია აჯანყების მიზეზად გვევლინება, ასევე აჯანყების კატალიზატორს წარმოადგენს ეკონომიკური უკმაყოფილება, როდესაც ახალი სახელმწიფო ვერ ასრულებს დაპირებებს, ანდა უპირატესობას ანიჭებს ზოგიერთ ეთნიკურ ერთობას თუ კატეგორიას.

ვებერი მითითებდა, რომ სეპარატისტული ეთნიკური იდენტობის პროვოცირებისთვის ერთი განსხვავებული კულტურული ელემენტის ქონაც კი საკმარისია. ვებერის თანახმად, ეთნოსის იდენტიფიკაციის საფუძველი შეიძლება გახდეს განსხვავებული ენის, ჩაცმულობის, რელიგიის, სამზარეულოსა ან ნებისმიერი განმასხვავებელი ნიშნის არსებობა თუკი ამისთვის შესაფერისი სოციალურ-პოლიტიკური კონტექსტი არსებობს. სოციალურ პოლიტიკურ კონტექსტზე საუბრისა მაქს ვებერი უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური ინტერესის არსებობას გულისხმობდა (Weber, 1978, pp. 385-399).

სეპარატისტული ნაციონალიზმის აფეთქება, აგრეთვე, დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის დაშლასთან. აბსურდი იქნება იმის უარყოფა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია რეგიონული და საერთაშორისო სისტემის კოლაფსი. საბჭოთა კავშირი მულტიეთნიკურ იმპერიას წარმოადგენდა და საბჭოთა იდენტობის შექმნის მცდელობით, იმპერიაში შემავალი ეთნიკური ჯგუფების გაერთიანებას ისახავდა მიზნად. საბჭოთა იდენტობის მშენებლობა საბჭოთა პოლიტიკის წამყვან პოზიციებს იკავებდა და ძალზე რთული ბუნების იყო: „სხვადასხვა რეგიონების ადგილობრივი თავისებურებები, რომელთაც საფუძვლები ისტორიაში ეძებნებოდათ და ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობდა და მიზანმიმართულად აყალიბებდა ან ახშობდა სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების ლოკალურ იდენტობებს, იდენტობის მშენებლობისა და იდენტობის შენარჩუნების პროცესს ძალზედ კომპლექსურ ხასიათს ანიჭებდა” (მაცაბერიძე, 2009, გვ.89). საბჭოთა იდენტობის შექმნის მიზნით, კომუნისტურმა რეჟიმმა დაიწყო ეთნოლინგვისტური, ტერიტორიული ეროვნული ადმინისტრაციული ერთობების შექმნა; ერების შექმნა, სადაც ისინი აქამდე არ არსებობდნენ ან არ მოიაზრებოდნენ. ეთნიკური ნიშნით თეატრების, ფილმების, გამოცემების, მწერალთა კავშირების შექმნა და ა. შ., რაც სხვადასხვა ეთნიკური ერთობების მშენებლობის და იდენტობის ფორმირების ხერხემალი იყო. მსგავსი პოლიტიკა ხელს უწყობდა ადგილობრივი ეთნოპოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტების შექმნას, რომლებიც ეთნიკური დაპირისპირებების სუბიექტები ხდებოდნენ. ლოკალური ელიტების განმტკიცებამ სათანადო ნიადაგი მოამზადა ეთნოკონფლიქტების დასაწყებად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. კონფლიქტი მიმართული იყო „დამორჩილებული ხალხის” (ჰობსბაუმი, 2012) მხრიდან

დომინანტი ეთნოსის და მისი მმართველი ელიტის წინააღმდეგ. ამ პროცესების ხელმძღვანელებად გვევლინებიან ელიტა, ინტელიგენცია, რომელიც მთელი ძალით ცდილობს, დაანახოს სახალხო მოძრაობას მისი იდენტობის ჭეშმარიტი ბუნება. ელიტის მხრიდან აპელირება ხდება წარსულზე და რომ ეთნიკურ წარსულთან დაბრუნებით ერთობა მოიპოვებს შემეცნებით ჩარჩოს, რუკას და ადგილმდებარეობას ჯერ კიდევ გაურკვეველი მისწრაფებებისათვის. „ამგვარად, ყველა ამ ენობრივ-ლინგვისტური ეთნიკური ნაციონალიზმის მამოძრავებელი ძალა საკუთარი ერთობის ხელახალი აღმოჩენაა, მაშინაც კი, როცა ის მეტწილად საკუთარი „მე“-ს გამოგონებას გულისხმობს” (სმითი, 2012, გვ.176).

ინტელექტუალები არა მხოლოდ აცოცხლებენ წეს-ჩვეულებებს და ენებს, არამედ ხელახლა აღმოაჩენენ ისტორიას, რომლის საფუძველზე იგონებენ წეს-ჩვეულებებს და ამ ახალ აღმოჩენებს ეროვნულ ელფერს სძენენ. ეპოსის მოგონებით ხდება მასების მობილიზაცია, მასების „დიალექტიზაცია“ და მისი დახმარებით უნიკალური იდენტობის გამოგონება (სმითი, 2008).

საბჭოთა კავშირის არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე „ნაცივიზაციის“ პროცესი მიმდინარეობდა, რომელიც ხელს უწყობდა და ახალისებდა ეროვნული იდენტობების შექმნას. საბჭოთა კავშირმა შეუქმნა მთელ რიგ ხალხებს დამწერლობები და წაახალისა მათი გამოყენება. მასობრივი განათლებისა და რესპუბლიკური სახელმწიფო სტრუქტურების შექმნათანმდევი სიმბოლოებით-დროშა, ჰიმნი, გერბი, კონსტიტუცია სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს წაახალისებდა. საბჭოთა ლინგვისტური პოლიტიკის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ენა იყო დომინანტური, დაწყებით კლასებში განათლების მიღება ხორციელდებოდა ნაციონალური უმცირესობების სატიტულო ენაზე. საბჭოთა ეთნიკური და ლინგვისტური პოლიტიკა მიმართული იყო უმცირესობების მხრიდან უკმაყოფილების თავიდან ასარიდებლად, სინადვილეში კი, ეთნიკური კონფლიქტების პროვოცირება და განმტკიცება გამოიწვია.

ეთნიკური უმცირესობების უფლებების განმტკიცება გამოიწვია სატიტულო ჯგუფებისათვის კონსტიტუციური და პოლიტიკური პრივილეგიების მინიჭებამ. რესპუბლიკების ჯგუფის სამშობლოდ იდენტიფიცირებამ, რის შემდეგაც სატიტულო

ჯგუფები ქმნიდნენ ისტორიას, ქმნიდნენ ელიტას, რომელსაც ჰქონდა უფლება, საკუთარი პოლიტიკაეწარმოებინა, რომელიც განმტკიცებული და ინსტიტუციონალიზებული იყო კონსტიტუციით და მჭიდროდ დაკავშირებული ტერიტორიასთან (მაცაბერიძე, 2009)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გამაერთიანებელი იდეოლოგიაც დაიშალა და ინდივიდებმა ცნობიერად თუ არაცნობიერად დაიწყეს ახალი იდენტობის ძიება. ისინი დადგნენ არჩევანის წინაშე: ან იმ რესპუბლიკის ლოკალური იდენტობის ათვისება, სადაც ცხოვრობდნენ ან საკუთარიეთნიკური იდენტობის ათვისების გზით ფუნდამენტური გამოცალკევება.

მოსახლეობა ეწინააღმდეგებოდა იმ რესპუბლიკების იდენტობის ათვისებას, სადაც ცხოვრობდნენ, წინააღმდეგობის გამოხატვა სასტიკ ფორმებში გადადიოდა. „პოსტკომუნისტურ საზოგადოებებში ეთნიკური ან ეროვნული იდენტობა უწინარესად არის უდანაშაულო ერთობის განმსაზღვრელი და ‚ჩვენს‘ სირთულეებში დამნაშავე მხარის იდენტიფიცირების საშუალება” (ჰობსბაუმი, 2012 წ, გვ. 237).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ეროვნული მოძრაობები ლინგვისტური მოთხოვნების გარშემო ჩამოყალიბდნენ, რამაც ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტი გამოიწვია: ეთნიკური ჯგუფების ლინგვისტური მოთხოვნები ხშირად სახელმწიფოსთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. უმრავლესობის მცდელობას, საკუთარი სატიტულო ენა ახლად წარმოქმნილი რესპუბლიკის ოფიციალურ ენად გამოეცხადებინა, უპირისპირდებოდნენ უმცირესობები, რომლებსაც საკუთარი ტერიტორიის გამოყოფა უნდოდათ, რაც ცენტრალური ხელისუფლებისა და პერიფერიული ეთნიკური ჯგუფების დაპირისპირების მიზეზი ხდებოდა (მაცაბერიძე, 2009)

სატიტულო ჯგუფების მიერ პოლიტიკური, იდეოლოგიური ორგანიზაციების შექმნამ საკუთარი პრეტენზიების გამოსახატავად, კიდევ უფრო შეუწყო ხელი ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობებისაგან გამიჯვნის პროცესს. საბოლოო ჯამში, საბჭოთა კავშირის ეროვნულმა პოლიტიკამ კავკასია, კონფლიქტებისა და სეპარატიზმის ადგილად აქცია (ჯონსი, 2013).

2.5. ნაციონალიზმის შესახებ არსებული მითები დამცდარი შეხედულებები

დღესთვის ნაციონალიზმის შესახებ დაწერილია უმარავი ნაშრომი, სადაც სხვადასხვა პრინციპის საფუძველზე გამოყოფენ ნაციონალიზმის რამდენმე ტიპს და შექმნილია შესაბამისი კლასიფიკაციები (დავითაშვილი 2003). თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ეს ფენომენი სრულად არის შესაწავლილი. ნაციონალიზმთან დაკავშირებული კვლევები, ბრუბეიკერის (1999) შეფასებით, ხასითდება ღრმა ამბივალენტურობითა და ქრონიკული ორაზოვნებით. ერთი მხრივ, ნაციონალიზმი ასოცირდება მილიტარიზმთან, ომთან, ირაციონალიზმთან, შოვინიზმთან, შეუწყნარებლობასა და ჰომოგენიზაციასთან, ავტორიტარიზმთან, ქსენოფობიასთან, ეთნოცენტრიზმთან, ეთნიკურ წმენდასთან. არსებობს შეხედულებები, რომელიც ნაციონალიზმს მეოცე საუკუნის პოლიტიკურ კრახად მოიაზრებს; მეორე მხრივ, ეროვნება და ნაციონალიზმი დაკავშირებულია დემოკრატიასთან, თვითგამორკვევასთან, პოლიტიკურ ლეგიტიმურობასთან, კულტურის გადარჩენასთან, სოციალურ ინტეგრაციასთან, მოქალაქეობასთან, პოლიტიკური თავისუფლების მოპოვებასთან (Brubaker, 1999). ბრუბეიკერის განმარტებით, ამგვარი ამბივალენტობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აფასებს ხალხი ნაციონალიზმს და როგორ ესმის ეს ფენომენი.

ზემოთ განხილ თეორიულ მასალაში ნაჩვენებია ნაციონალიზმის შესწავლის შედეგად წარმოშობილი კონცეფციები, თუმცა როჯერ ბრუბეიკერი აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმის ცნების ამბივალენტური ხასიათიდან გამომდინარე, არსებობს საფრთხე ნაციონალიზმთან დაკავშირებული არასაწორი შეხედულებების, მითების და მცდარი პოსტულატების გაჩენისა. იგი გამოყოფს იმ მითებსა და ილუზიებს, რომელიც უკვაშირდება ნაციონალიზმს.

პირველი არასწორი მიდგომა გულისხმობს ნაციონალიზმის განხილვას, როგორც ეროვნული თვითგამორკვევის, სახელმწიფოებრიობის მოპოვებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის საშუალებად, ნაციონალიზმის წარმოჩენა სახელმწიფოებრიობის არქიტექტორად, ბრუბეიკერის აზრით, არასწორია, რადგან ყურადღების გამახვილება ეროვნულ თვითგამორკვევასა და პოლიტიკური საზღვრების დადგენაზე, იწვევს ნაციონალიზმის ცვალებადი პოლიტიკური ხასიათის იგნორირებას. თეორია

ყურადღების მიღმა ტოვებს ნაციონალიზმის იმ ფორმებს, რომლებიც პოლიტიკური რეორგანიზაციის შედეგად ფორმირებულ სახლმწიფოებში გაჩნდნენ. ბრუბეიკერის აზრით, ნაციონალიზმი არის არა მხოლოდ მიზეზი იმპერიების დაშლისა და ეროვნული სახლმწიფოების შექმნისა, არამედ ამ პროცესების შედეგიც, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპაში დამოუკიდებელ, ეროვნულ სახელმწიფოებში სხვადასხვა სახის ნაციონალიზმის არსებობა, რომელებიც კომუნისტური რეჟიმის დამხობის შემდგომ წარმოქმნილ სახელმწიფოებში გაჩნდა.

მეორე შეხედულება, რომელიც ბრუბეიკერის აზრით მცდარია, ეხება აღმოსავლეთ ევროპისთვის დამახასიათებელი ნაციონალიზმის ირგვლივ არსებულ შეხედულებებს. ეს შეხედულებები, მისის აზრით, ორიენტალისტურია, რადგან აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე არსებული ნაციონალიზმი, დასავლეთ ევროპული ნაციონალიზმისგან განსხვავებით, განიხილება, როგორც ფეთქებადი, საშიში, სადაც ნებისმიერი დამაბულობა შეიძლება ეთნიკური და ეროვნული კონფლიქტების მიზეზი გახდეს. ბრუბეიკერი აღნიშნავს, რომ რეგიონში გამოვლენილი ძალადობის ფაქტები წარმოჩენილია გაზვიადებული სახით ჟურნალიტიკებისა და მეცნიერების მიერ, რომლებიც ყურადღებას ძალადობის ისეთ გამოვლინებებზე ახდენენ, რაც ტიპურ, დამახასიათებელ მოვლენას არ წარმოადგენს რეგიონისთვის, მაშინ როდესაც ასეთი ტიპური, ქრონიკული ხასიათის ფაქტები შესაბამისი ინტერესის მიღმა რჩება, რაც მიღებული ინფორმაციის არაობიექტურობას განაპირობებს. ბრუბეიკერის აზრით, მოლოდინები, რომელიც არსებობს ამ რეგიონში ეთნიკური და ნაციონალისტური დაპისრიპირების თაობაზე, გადაჭარბებულია, ასევე ადგილი აქვს ძალადობის მასშტაბების გაზვიადებას დამათი გამოვლენის ფორმების ნაციონალიზმთან დაკავშირებას. გაზვიადებულია ასევე შეხედულება ეროვნული და ეთნიკური იდენტობების აქტუალობისა და მნიშვნელობის შესახებ. ტელევიზების საშუალებით მოხდა ეროვნული პოლიტიკის გაზვიადება, განასაკუთებით მაშინ, როცა საქმე ეხება ეროვნული მობილიზაციის შეფასებას.

ავტორის შეფასებით, ნაციონალიზმის ხედვის კიდევ ერთ ორიენტალისტურ მიდგომას წარმოადგენს თეორია, რომლის საფუძველზეც ორი სახის ნაციონალიზმი არსებობს. სამოქალაქო, რომელიც თავისი პრინციპით სამოქალაქო საზოგადოებას ეფუძნება და

დასავლეთ ევროპულ ფენომენს წარმოადგენ და ეთნიკური ნაციონალიზმი, რომელი ეთნიკურ კრიტერიუმებს, ნათესაობას, საერთო ისტორიას და ტრადიციებს ემყარება და დამახასიათებელია აღმოსავლეთ ევროპისთვის. ბრუბეიკერის აზრით, ეს მიდგომა დასავლეთ ევროპულ ნაციონალიზმს განიხილავს, როგორც დადებით მოვლენას, ხოლო აღმოსავლეთ ევროპულ ნაციონალიზმს, როგორც ურაცოფით მოვლენას. ამ დიქოტომიის გამოყენება ხდება პოლიტიურ დისკურსებში, როცა ცდილობენ, ხაზი გაუსვან ეროვნული სახელმწიფოს ნაციონალისტური პოლიტიკის ლეგიტიმურობას ეთნიკურ ნაციონალიზმთან მიმართებაში.

შემდეგი თეორია, რომელსაც ბრუბეიკერი განიხილავს, გულისხმობს, რომ ეროვნული იდენტობა და ეროვნული კონფლიქტები აღმოსავლეთ ევროპის ისტორიულ მახასიათებელს წარმოადგენს, რომელიც კომუნისტური რეჟიმის მიერ ითრგუნებოდა მისი ანტინაციონალისტური პოლიტიკიდან გამომდინარე, მაგრამ კომუნიზმის კრახმა დათრგუნული ნაციონალიზმის ორმაგი ძალით ამოფრქვევა გამოიწვია.

ბრუბეიკერი თვლის, რომ ევროპასა და საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ნაციონალიზმის დათრგუნვა ხორციელდება კომუნისტური რეჟიმის მიერ და ეს ფაქტია, მაგრამ არსებული მიდგომა, რომელის საფუძველზე ითრგუნებოდა არა მხოლოდ ნაციონალიზმი, არამედ ეროვნული იდენტობა, არასწორია, კომუნისტური რეჟიმი იყო ანტინაციონალისტური, მაგრამ არა ანტიეროვნული.

ბრუბეიკერი აღნიშნავს, რომ საბჭოთა პოლიტიკა წახალისებდა ერებს და ეთნიკურ უმცირესობებს, როგორც ფუნდამენტურ სოციალურ კატეგორიას, საბჭოთა მიდგომა ქმინდა ისეთ პოლიტიკურ ველს, რომელიც ნაციონალიზმის გაღვივებას იწვევდა. ეს პოლიტიკა პრაქტიკაში ხორციელდებოდა ორი მეთოდის გამოყენებით.

პირველი მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა ტერიტორია ორმოცდაათ ერთეულზე მეტ ეროვნულ ერთეულად დაიყო, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ, როგორც სამშობლო ამ ტერიტორიაზე მცხოვრები კონკრეტული ეთნიკური უმცირესობებისთვის. ეთნიკური კუთვნილების მიხედვით დაყოფილ ადმინისტრაციულ ერთეულებს ჰქონდათ საკუთარი კონსტიტუცია, ადმინისტრაციული და საკანონმდებლო ორგანო, კულტურული და სამეცნიერო დაწესებულებები.

მეორე მეთოდი, რომელმაც ეროვნული თვითშეგნებისა და ნაციონალიზმის გაღვივება გამოიწვია, იყო საბჭოთა მოქალაქეების დაყოფა ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე. ეთნიკური კუთვნილება გახდა სტატუსი, რომელსაც მოქალაქე იღებდა დაბადებისთანავე. მოქალაქეების პირად საბუთებში, ოფიციალურ დოკუმენტაციაში და ანკეტებში იყო მითებული ეთნიკური წარმომავლობა, რომელიც ხდებოდა სხვადასხვა სოციალური პრივილეგიებით სარგებლობის მიზეზი, მაგალითად, უმაღლეს სასწავლებელში მიღების და პრესტიჟულისამსახურებრივი კარიერის განმსაზღვრელი.

შემდეგი თეორია, რომელიც, ბრუბეკერის აზრით, არასწორ მოსაზრებებს შეიცავს, ეხება ნაციონალიზმის წარმოჩენას, როგორც პოლიტიკური ელიტების მიერ გაღვივებული პროცესისა. პოლიტიკური ელიტების როლი ეოვნული პრეტენზიების გამოხატვისა და ადამიანების ეროვნული მოსაზრებებით მობილიზებისთვის დიდია, თუმცა, ბრუბეკერის აზრით, პოლიტიკური ელიტების როლი გაზვიადებულია, პოლიტიკური ელიტების მხრიდან ნაციონალისტურ პოლიტიკურ სტატეგიაზე ფსონის დადებას სჭირდება შესაბამისი დრო, მომენტის შერჩევა, როცა მსგავსი პოლიტიკა შეიძლება აღმოჩნდეს მომგებიანი.

ნაციონალიზმთან დაკავშირებული თეორიული მიდგომების განხილვის შემდეგ. თემის მომდევნო თავში ეპირიული მონაცემების საფუძველზე, მიღებული მიგნებების გასაანალიზებლად განვიხილავ ნაციონალიზმის ყოველდღიურ რეპრეზენტაციასთან დაკავშირებულ ცნებებს: ბანალურ და ცხელ ნაციონალიზმს, კულტურის ინტიმურობას და ტრადიციების გამოგონებას.

თავი III.

3.1. ბანალური ნაციონალიზმი და ეროვნული იდენტობა

მაიკლ ბილიგმა, 1995 წელს გამოცემულ წიგნში, შემოიტანა ბანალური ნაციონალიზმის ცნება, რომელიც იდენტობის და გეოპოლიტიკის კვლევებში გამოიყენება. ტერმინი გულისხმობს ერის ყოველდღიურ რეპრეზენტაციებს, რომელიც ინდივიდებს შორის ეროვნული მიკუთვნებულობის საერთო, გაზიარებულ შეგრძნებას ქმნის.

ბილიგის (1995) მიხედვით, ნაციონალიზმი ისეთი იდეოლოგიაა, რომელიც

ერსბუნებრივ ერთობად წარმოგვიჩენს, ისე, თითქოს ვერ წარმოგვიდგენია მსოფლიო ერების გარეშე. ჩვეულებრივ ითვლება, რომ ადამიანი გარკვეული ეროვნების, ეროვნული იდენტობის მატარებელი უნდა იყოს, რომლის ფლობა ბუნებრივ მოვლენად ითვლება. ნაციონალიზმის შესახებ ეს ცოდნა, გახსენებასთან ერთად, მის დავიწყებასთანაც არის დაკავშირებული. ერნესტ რენანის თქმით, დავიწყება ერების შექმნის პროცესში მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს (Billig, 1995, გვ. 37).

ყველა ერს აქვს თავისი ისტორია და კოლექტიური მეხსიერება. ეს ცოდნა ამავდროულად კოლექტიურ დავიწყებასაც გულისხმობს, ერი ივიწყებს იმ ძალადობას, რომელმაც შექმნა თვითონ ერი, ან როდესაც თავის ანტიკურობას აღნიშნავს, ივიწყებს მის ხანმოკლეობას. როგორც კი სახელმწიფო ყალიბდება, მისი არსებობა დამოკიდებული ხდება კოლექტიურ „ამნეზიაზე.“ ამ შემთხვევაში, არა მხოლოდ წარსულის დავიწყება ხდება, არამედ აწმყო მოვლენებისაც. ერ-სახელმწიფოში ეროვნული იდენტობა აქტუალურია, რამდენადაც იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში არის „ჩაშენებული,“ რაც მუდმივად გვახსენებს ჩვენს წარმომავლობას. თუმცა, ეს პროცესი უფრო ქვეცნობიერია, ვიდრე ცნობიერი. ამის მაგალითია საზოგადოებრივი შენობების წინ დაკიდებული ათასობით ეროვნული დროშა, რომლებსა მოქალაქეებმა ისე შეაჩვიეს თვალი, რომ იშვიათად თუ ამჩნევენ ეროვნულობის ამ სიმბოლოებს.

რენანის მიხედვით, ამ „ამნეზიაში“ ინტელექტუალებსაც მიუძღვით წვლილი. მაგალითად, ისტორიკოსები უფრო მეტად წარსულის იმ ფაქტებზე ამახვილებენ ყურადღებას, რაც იდეოლოგიური თვალსაზრისით გამოსადეგი და მოსახერხებელია, ხოლო დანარჩენ ფაქტებს თვალს არიდებენ. სოციოლოგები კი იმ ბანალურ შემთხვევებს უკეთებენ იგნორირებას, სადაც ეროვნულობა გაუცნობიერებლად არის „გამოფენილი“ (Billig, 1995, გვ. 38).

ბილიგის თანახმად, ზემოაღნიშნული დროშები ძველად უფრო პრაგმატული კუთხით გამოიყენებოდა, როგორც რაღაცის სიგნალი, დღესდღეობით კი იგი ძირითადად სიმბოლოს (სახელმწიფოებრიობის) ფუნქციას ასრულებს. დროშის პრაგმატული თუ სიმბოლური დატვირთვაიმიტაც განსხვავდება, რომ სიგნალის შემთხვევაში მისი ეფექტურობა მიმღების გაცნობიერებულ გაგებაზე, ცოდნაზეა დამოკიდებული, როგორც

სიმბოლომ კი, არაა აუცილებელი, პირდაპირი ემოციური ზეგავლენა მოახდინოს. ეს დროშები ეროვნულობის ბანალურ, დაუცხრომელ, შეუხელებელ შემახსენებლებს წარმოადგენენ. დროშების გარდა, აგრეთვე ფულის მონეტებსა და ბანკნოტებზე გამოსახული ეროვნული სიმბოლოებიც შეუმჩნეველნი რჩებიან ყოველდღიურ მიმოქცევაში (1995, გვ. 41).

ბილიგს, ბანალურ ნაციონალიზმთან ერთად, შემოაქვს „მგზნებარე, მხურვალე“ ნაციონალიზმის ცნებაც (1995, გვ. 43). ზოგადად, ნაციონალიზმი ორგვარად არის დანახული: როგორც ძალა, რომელიც ქმნის სახელმწიფოს და როგორც ძალა, რომელიც სახელმწიფოების სტაბილურობას უქმნის საფრთხეს. ამ შემთხვევაში, ნაციონალიზმი წარმოდგენილია, როგორც განვითარების ფაზა, რომელიც უკვე გამოვლილი აქვთ განვითარებულ საზოგადოებას და სახელმწიფოს. მიჩნეულია, რომ ეროვნულობის იდეის მიმართ ინტერესის აღძვრა ხდება ინტელექტუალების მიერ, შემდგომ კი, როდესაც ეს იდეა სახელმწიფოშიგანსხეულდება, ხდება მისი მნიშვნელობის შემცირება. (Billig, 1995, გვ. 44). ნაციონალიზმი სრულად არ ქრება, არამედ ყოველდღიური ცხოვრების შეუმჩნეველი ნაწილი ხდება. მისი გამოღვიძება და დაბრუნება ხდება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს და არსებულ წესრიგს საფრთხე ემუქრება.

გიდენსი ნაციონალიზმს ფსიქოლოგიურ ფენომენად განიხილავს, ეროვნული გრძნობები, სენტიმენტები აქტიურდება მაშინ, როდესაც არსებული კანონზომიერება საფრთხის ქვეშ დგება ყოველდღიური რუტინის დარღვევით. შესაბამისად, ეს ეროვნული სენტიმენტები, რომლებიც ჩვეულებრივ არ არიან ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი, გარკვეული რადიკალური სოციალური ცვლილებების დროს აქტიურდებიან, ეროვნულ სიმბოლოებს ახალ ემოციურ დატვირთვას სძენენ და ექსტრემალურ სოციალურ მოძრაობებში აისახებიან (Billig, 1995, გვ. 44).

ბილიგისაუბრობს სხვადასხვა ეროვნულ დღესასწაულებზეც. ამ დროს ხდება ადამიანების ეროვნული იდენტობის, პატრიოტული გრძნობების გააქტიურება, რომელიც მთელი წლის მანძილზე მივიწყებას იყო მიცემული. ჩანს, რომ ეროვნული იდენტობა სახელმწიფოს ყოფის, ბანალური ყოველდღიურობის ნაწილია.

3.2. კულტურის ინტიმურობა: სოციალური პოეტიკა ერ-სახელმწიფოში

ანთროპოლოგ მაიკლ ჰერცფელდის წიგნი - „კულტურის ინტიმურობა: სოციალური პოეტიკა ერ-სახელმწიფოში“ პირველად 1997 წელს გამოვიდა. ჰერცფელდმა შემოგვთავაზა „კულტურის ინტიმურობის“ ცნება, რომელმაც სწრაფად დაიმკვიდრა ადგილი ანთროპოლოგიურ ლექსიკონში და გამოიყენება ერ-სახელმწიფოს, ნაციონალიზმის და იდენტობების ფორმირების შესწავლისას.

ჰერცფელდის თანახმად (Herzfeld, 2005), ბოლო წლების განმავლობაში, მკვლევარების ინტერესი მიიპყრო საჯარო მოხელეებისა და მოქალაქეთა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ. ჰერცფელდი ცდილობს გაიგოს, თუ რა სარგებელს ნახულობენ სოციალური აქტორები ოფიციალური, ფორმალური იდიომების, იდიომატური გამოთქმების გამოყენებით, ხელახალი ფორმულირებითა და გადაკეთებით (ახალი მნიშვნელობის მიცემით), ხშირად პირადი მიზნების განხორციელების პროცესში, და ეს ქმედებები (რომელიც ხშირად სახელმწიფო ხელისუფლებასთან წინააღმდეგობაშია და სამართლის ნორმების დარღვევას გულისხმობს) რეალურად როგორ ქმნიან, აყალიბებენ სახელმწიფოს, ისევე როგორც ეროვნულ და სხვა იდენტობათა უზარმაზარ დიაპაზონს.

ავტორის მიხედვით, სახელმწიფოს იდეოლოგია და ყოველდღიური საზოგადოებრივი ცხოვრების რიტორიკა საკმაოდ გვანან ერთმანეთს. სოციალური აქტორები იყენებენ „კანონს“ საკუთარი ქმედებების ლეგიტიმაციისთვის, სახელმწიფო კი იყენებს სოციალური აქტორებისთვის მნიშვნელოვან ნათესაობრივ, ოჯახურ „ენას“, რომ დასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილებების მნიშვნელობა. სახელმწიფოს მხრიდან საკუთარი ინტერსებზე ორიენტირებული ქმედებების ლეგიტიმაციისთვის გამოყენებული, ნათესაობრივი, ოჯახური „ენა“ სახელმწიფოს გადაწყვეტილებებს უშუალობასა და პირდაპირობას მატებს.

ჰერცფელდს (Herzfeld, 2005, გვ. 3) შემოაქვს კულტურის ინტიმურობის ცნება - კონკრეტული კულტურის მახასიათებლები, რომელიც მხოლოდ ამ კულტურის მატარებელი აქტორებისთვის არის ცნობილი, გაზიარებულია მხოლოდ ამ კულტურის წარმომადგენლებს შეუძლიათ მათი უსიტყვოდ გაგება. კულტურის ინტიმურობა იწვევს ერთდროულად სიამაყისა და სირცხვილის გრძნობას ამ კულტურის მატარებლებში -

სიამაყის გრძნობას თავისსავე კულტურის წარმომადგენლების გარემოცვაში, ხოლო სირცხვილის გრძნობას - სხვასთან, უცხოსთან, რომელიც ვერ გაიგებს მას. კულტურის ინტიმურობა ვლინდება საზოგადოებრივ ცხოვრებაში სხვადასხვა ფორმით, იქნება ეს ბერძენთა მერკანტილური ცბიერება, ებრაელთა პირდაპირობა და ა.შ., რაც წარმოადგენს მოქალაქეთა დაუმორჩილებელი სიამაყის გრძნობას ფორმალური ან ოფიციალური მორალის, ზნეობის წინაშე. ამ სტერეოტიპებს საზოგადოების წევრები ცხადად გამოხატავენ საკუთარი კოლექტიურობის მეშვეობით.

ავტორის მიხედვით (2005, გვ. 5), სახელმწიფოს ფუნქციონირება დამოკიდებულია კულტურის ინტიმურობის სხვადასხვა ფორმებთან მის თანაარსებობაზე. ადამიანები აღიქვამენ ბიუროკრატის ზოგიერთ ფორმალურ მექანიზმს, როგორც ჩვეულ, ყოველდღიურ მოვლენას. ეს იწვევს სკეპტიციზმს ოფიციალური განაცხადის, მოთხოვნებისა და მოტივების მიმართ. უფრო მეტიც, მოქალაქეთა უმეტესობის აზრით, სახელმწიფო დაკომპლექტებულია ხარბი, გაუმაძღარი ბიუროკრატებით და შესაბამისად, კანონისადმი ზედმეტად დიდი მორჩილება უბრალოდ სისულელედ მიაჩნიათ. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ერთობის ოფიციალური დისკურსებისგან სრულიად დაშორებულია მსგავსი შეხედულებები, მათ მაინც შევხვდებით ყველგან, ქვეყნის მოსახლეობაში და საჯარო მოხელეებს შორისაც კი.

სირცხვილი და „უხალისო“ თვითაღიარება წარმოადგენს კულტურის ინტიმურობის ძირითად მარკერებს (Herzfeld, 2005, გვ. 6). ეს არ არის მხოლოდ ინდივიდუალური გრძნობები, არამედ ინტიმურობის კოლექტიურ გამოხატულებას წარმოადგენს. კულტურის ინტიმურობა დაკავშირებულია დაწერილ და დაუწერელ წესებთან, რომლებსაც ადამიანები კულტურულ-სპეციფიკურად არღვევენ. სხვას, რომელსაც არ გააჩნია იმ ქვეყნისთვის დამახასიათებელი კულტურის ინტიმურობა, არ არის სოციალიზებული ამ კულტურაში, ამას ვერ გაიგებს.

ამა თუ იმ კულტურისთვის დამახასიათებელი იდეოლოგია მისაღებია ადამიანებისთვის ნაწილობრივ იმიტომ, რომ მათ იციან, რომ საჯარო პირებიც კი ყოველთვის არ მიყვებიან პატიოსნად მის მკაცრ პრინციპებს და იყენებენ ამ პრინციპებს, ისევე როგორც დანარჩენი მოქალაქეები, როგორც საკუთარი ინტერესების მიღწევის

საშუალებას.

ჰერცფელდის მიხედვით, მოქალაქეები ჩართულნი არიან ეროვნული იდენტობის მნიშვნელობის ჩამოყალიბებაში, ხშირად ისეთი გზით, რომელიც ეწინააღმდეგება ოფიციალურ იდეოლოგიას; აგრეთვე, პოლიტიკოსები, საჯარო მოხელეები და ინტელიგენციაც, რომლებიც ასევე „ჩვეულებრივი ადამიანები“ არიან, განსხვავებული ინდივიდები, რომლებიც სხვადასხვა საქმიანობას ეწევიან. ბიუროკრატები და პოლიტიკოსებიც, სხვა მოქალაქეთა მსგავსად, სახელმწიფოს მხრიდან იმავე ზემოქმედებას და შეზღუდვებს განიცდიან. მაგრამ ავტორის მიხედვით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ბიუროკრატები, რომლებიც აკრიტიკებენ სისტემას, რათა თავიდან აიცილონ პასუხისმგებლობა ან მართლაც რეალურად შეშფოთებულნი არიან თავიანთი უსუსურობით, მონაწილეობენ სახელმწიფოს იმავე რეიფიკაციის პროცესში, რაშიც მათით უკმაყოფილო ადამიანები. მოქალაქეთა მსგავსად, ეს ოფიციალური პირებიც უწყობენ ხელს სახელმწიფოს შესახებ სტანდარტიზებული შეხედულებების ჩამოყალიბებას და განიცდიან რეიფიკაციის მუდმივი პროცესის მიერ გამოწვეულ ზემოქმედებას.

ავტორი იყენებს დისემიის ცნებას. აქ იგულისხმება ის უხერხულობა, დაძაბულობა, როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ოფიციალური და არაოფიციალური დისკურსები. ოფიციალური თვითპრეზენტაციის დროს ინდივიდი ყოველთვის ცდილობს, ტრადიციები, ჩვეულებები საუკეთესო მხრიდან წარმოაჩინოს, უარყოფითი კი - დამალოს. ეს კარგად გამოიხატება უცხოელებთან ურთიერთობის დროს. დისემიის ცნება დაკავშირებულია დიგლოსიასთან, რაც გულისხმობს ერთი ენის ორი ტერიტორიული დიალექტის ან მისი ორი ისტორიული ვარიანტის არსებობას, ერთი მხრივ, ფორმალური, ხშირად ძველი იდიომების, რომლებიც უფრო მეტად ოფიციალური მიზნებისთვის გამოიყენება, მეორე მხრივ კი, ყოველდღიური ცხოვრების ჩვეულებრივი მეტყველების. დიგლოსიისგან განსხვავებით, დისემია თავის თავში მოიცავს ოფიციალურ/ელიტურ და ჩვეულებრივ/ხალხურ თვითპრეზენტაციას, პერფორმანსს შორის განსხვავებას, არამხოლოდ ენის, არამედ ქესტების, მუსიკის, არქიტექტურის, გარემოს, ეკონომიკის, ღირებულებების მეშვეობით. ქვეყნის შიგნით რეგიონულ დონეზე სწრაფვამ შესაძლოა წარმოშვას დისემიის სხვა

მსგავსი ფორმები. ამ შემთხვევაში, შიდა ინფორმაცია, ცოდნა შესაძლოა წარმოდგენილი იყოს, როგორც ინტიმურობისა და უსაფრთხოების მაჩვენებელი ნიშანი. მაგალითად, სიცილიელები ეწინააღმდეგებიან კრიმინალური ფასეულობების, როგორც სიცილიურის და მანკიერის, დაგმობის ეროვნულ დისკურსს, და ცდილობენ მათ წარმოდგენას, როგორც ადგილობრივების საპასუხო რეაქციას კორუმპირებული იტალიური სახელმწიფოს ბატონობაზე.

ავტორის მიხედვით, ერი-სახელმწიფო მიდრეკილია საკუთარი თავის დაცვისა და უკვდავყოფისკენ. მიუხედავად იმისა, რომ ის ახდენს მოდერნიზებას, ტექნოლოგიური და სოციალური ცვლილებების განხორციელებას, ის მაინც ცდილობს, არ შეიცვალოს თვითონ კულტურა და შესაძლოა ამ პროცესში სხვებსაც მოახვიოს თავზე. უცვლელი კულტურული იდეალების ერთგულებას საკმაოდ მოულოდნელი და უნებლიე შედეგი აქვს: ეს არამხოლოდ აძლიერებს სიტყვის თავისუფლების გარკვეულ ფორმებს, არამედ, ასევე, აძლევს არსებობის საშუალებას და შესაძლოა ხელს უწყობს კიდევ ნორმების დარღვევას ყოველდღიურ რეალობაში.

ჰერცფელდი იყენებს ვიქტორ ტერნერის ტერმინს „სოციალური დრამა“ - რაც გულისხმობს არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების მოცვას წარსულის მოვლენებით. წარმოვიდგინოთ დიდი თეატრი, სადაც საზოგადო მოღვაწეების ქმედებები საზრდოობს დიდებული წარსულითა და რელიგიური მითებით. სოციალური პოეტიკის თანახმად, ადამიანები მისტირიან წარსულის ნანგრევებს, აჩრდილებს სხვადასხვა არსებული მიზეზების გამო. ყველა სახის სოციალური პერფორმანსი ახდენს ადამიანთა რეიფიკაციას კულტურულად კოდირებულ როლებსა და იდენტობებში და შესაბამისად, კულტურული იდენტობის ფორმირება ხდება სოციალური პერფორმანსის მეშვეობით.

სოციალური პოეტიკის ერთ-ერთ ყველაზე ჩვეულ თემას წარმოადგენს სტერეოტიპების გამოყენება სოციალურ ინტერაქციაში. ვინ იყენებს ამ სტერეოტიპებს? რა ვითარებაში? რა მნიშვნელობას მიაწერენ მას ადამიანები? ავტორის მიხედვით, ერი-სახელმწიფოს განხილვა შესაძლებელია კულტურის ინტიმურობის - თვითობის კოლექტიური და ინდივიდუალური პერფორმანსის ანალიზის მეშვეობით.

3.3. ტრადიციის გამოგონება

ცნობილმა ბრიტანელმა მეცნიერმა ერიკ ჰობსბაუმმა თავის წიგნში „ტრადიციის გამოგონება“, შემოგვთავაზა ტრადიციების, ადათ-წესების ახლებური ხედვა. ბევრი ტრადიცია, რომელსაც უძველესი წარმოშობის მქონედ ვთვლიდით, შესაძლოა სულაც არ იყოს საუკუნეებგამოვლილი და ბოლო პერიოდის ვითარებიდან გამომდინარე იყოს გამოგონილი. ავტორს მსგავსი გამოგონების მაგალითად მოჰყავს უელსელთა და შოტლანდიელთა ეროვნული კულტურა, ბრიტანეთის სამეფო კარის რიტუალების შემუშავება მე-19 და მე-20 საუკუნეში და ა. შ.

ჰობსბაუმის მიხედვით (1983), ტერმინ „გამოგონილ ტრადიციებში“ იგულისხმება „ტრადიციები“, როგორც გამოგონილი, კონსტრუირებული და ფორმალურად ინსტიტუციონალიზებულია, ასევე ისინი, რომელთა წარმოქმნის მიკვლევა ძნელდება, მაგრამ ყალიბდებოდნენ დროის მცირე პერიოდში. ყველა ტრადიცია არ ქცეულა მუდმივად, მაგრამ საინტერესოა არა მათი სიცოცხლისუნარიანობა, არამედ მათი წარმოშობა და ჩამოყალიბება.

„გამოგონილი ტრადიცია“ არის რიტუალური და სიმბოლური ხასიათის საზოგადოებრივი პრაქტიკების ერთობლიობა. მისი მიზანია გარკვეული ფასეულობების და ქცევის ნორმების შემოღება, ხოლო მიზნის მისაღწევი საშუალებაა მათი გამეორება, რაც გულისხმობს დროის ერთიდაიგივე პერიოდში გამეორებას. ყოველთვის ცდილობენ, რომ ასეთი პრაქტიკები დააფუძნონ შესაბამის ისტორიულ პერიოდთან კავშირში.

გამოგონილ ტრადიციათა კავშირი ისტორიულ წარსულთან, უმეტესად, ფიქტიურია. ეს ტრადიციები წარმოადგენენ პასუხს ახალვითარებაზე ძველი სიტუაციების ფორმით, ან ისინი ქმნიან წარსულს აუცილებელი გამეორების გზით. ავტორის მიხედვით, „ტრადიციის“ ასეთი სახით გაგება უნდა განსხვავდებოდეს სიტყვისგან „ადათი“, რომელიც გამეფებულია ე. წ. ტრადიციულ საზოგადოებებში. „ტრადიციის“ მიზანი და განმასხვავებელი ნიშანი არის უცვლელობა. წარსული, რომელზეც მათი მზერაა მიმართული, ადამიანებს ფიქსირებული პრაქტიკების დაღს ასვამს, თუნდაც გამეორების პრაქტიკა. ტრადიციული საზოგადოების „ადათები“ ორმაგი ფუნქციის

მატარებელია, ის არის აღმშრავიც და მარეგულირებელი რგოლიც. მაგრამ „ადათი“ არ შეიძლება იყოს რაღაც უცვლელი რამ, რადგან ტრადიციულ საზოგადოებაშიც არ არსებობს უცვლელი ცხოვრების წესები. განსხვავება „ტრადიციასა“ და „ადათს“ შორის კარგად ჩანს სასამართლოს მაგალითზე, სადაც „ადათი“ ეს არის ის, რასაც მოსამართლეები ასრულებენ, ხოლო „ტრადიცია“ კი, ის პარიკები და მანტიები, რომლებიც მათ უნდა ჩაიცვან.

ჰობსბაუმის მიხედვით, ტრადიციის გამოგონება - ეს არის ფორმალიზაციის და რიტუალიზაციის პროცესი(1983, გვ. 4). მას აკავშირებენ წარსულთან, თუმცა ბევრი რამ მაინც უცნობია. უფრო ხშირად ტრადიცია ყალიბდებოდა საზოგადოების რადიკალურ გარდაქმნასთან ერთად, როცა სწრაფად იშლებოდა სოციალური ფორმები და იქმნებოდა ახალი, სადაც არსებული ტრადიციის შენარჩუნება შეუძლებელი იყო და დამახასიათებელია როგორც ტრადიციული, ისე მოდერნული საზოგადოებისთვის. ასეთი მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები ძირითადად დაიწყო ბოლო 200 წლის წინ. ზოგჯერ ძველი ტრადიციები ადვილად ერწყმიან ახალს. მაგალითად, შვეიცარიის ფედერალური სიმღერის ფესტივალი, რომელიც მსგავსებას ნახულობს ბაროკოს დროის დღესასწაულებთან, როცა სახელმწიფო და ეკლესია გაერთიანებულია უმაღლეს დონეზე. რელიგიური და პატრიოტული ელემენტები გაერთიანებულია გუნდურ სიმღერებში, სროლაში და გიმნასტების შეჯიბრებებში. ეროვნული მოძრაობების და სახელმწიფოების შექმნასთან ერთად, შეიქმნა ახალი სიმბოლოები და ელემენტები: სახელმწიფო ჰიმნები (პირველად ბრიტანეთში 1740 წელს), დროშები და ა. შ.

ჰობსბაუმის მიხედვით, გამოგონილი ტრადიციები შეიქმნა საწარმოო რევოლუციის შემდეგ პერიოდში და მათი რამოდენიმე ტიპი არსებობს (1983, გვ. 9): პირველი ტიპის ტრადიციები სიმბოლიზებული და ჩამოყალიბებული იყო სოციალურ კავშირებში, ჯგუფების წევრობაში, თემებში. მეორე ტიპის ტრადიციებს ქმნიდნენ ინსტიტუტები, სტატუსები, ურთიერთობები, ხელისუფლება აძლევდა „კანონიერ“ ძალას. მესამე ტიპის ტრადიციების მთავარი ამოცანა იყო სოციალიზაცია - ცნობიერებაში რწმენის ჩამოყალიბება, ფასეულობათა სისტემები და ქცევის წესები. პირველი ორი ტიპი ვერ იქნებოდა საერთო მთლიანად „ერისთვის“; მხოლოდ მესამე ტიპს შეეძლო საერთო სოციალიზაცია, შერწყმოდა თითოეული მოქალაქის, ერისთითოეული წევრის

ფასეულობებს.

თვალშისაცემია ერთი განსხვავება ძველ და გამოგონილ ტრადიციებს შორის. ძველი ტრადიციები იყო სპეციალიზებული და ძლიერ დამავალდებულებელი სოციალური პრაქტიკები, ხოლო გამოგონილი - არასპეციალიზებული და არ იძლეოდნენ იმის გაგებას, თუ რა არსია ჩადებული „პატრიოტიზმში“, „მოვალეობაში“, „ერთგულებაში“, „თამაშის წესების დაცვაში“ და ა. შ.

ავტორის მიხედვით, გამოგონილი ტრადიციები (ჰიმნი, დროშა, გერბი) აძლევდა ადამიანებს ღირსების იმ ემოციურ შეგრძნებას, რაც გარკვეული ერის თუსაზოგადობის კონკრეტული წრისადმი კუთვნილებით იყო გამოწვეული. მაგრამ გამოგონილმა ტრადიციებმა ვერ შეძლეს შეეცნოთ ის სივრცე, რომელიც გამოთავისუფლდა ძველი ტრადიციების და ადათების საუკუნოვანი დაცემის შემდეგ.

ემპირიული ნაწილი

თავი IV. აფხაზურიეროვნული იდენტობის ძირითადი მარკერები

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 1 ფოკუს ჯგუფი ოჩამჩირის რაიონში და 9 სიღმისეული ინტერვიუ. ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდნენ, სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელი აფხაზები. სამიზნე პოლულაციიდან რესპონდენტების შერჩევა მოხდა არაალბათური შერჩევის ტიპის „თოვლის გუნდა“ გამოყენებით. სიღმისეული ინტერვიუების რესპონდენტებს წარმოდგენდნენ, როგორც აფხაზები სოხუმის მინიციპალიტეტიდან (3), ასევე გალის რაიონში მცხოვრები ქართველები (6). სიღმისეული ინტერვიუს ნაირსახეობიდან გამოყენებულ იქნა „ცხოვრების ისტორია“. რესპონდენტები შეირჩნენ ალბათური შერჩევის ტიპით. ფოკუსის ჯგუფისა და სიღმისეული ინტერვიუების სიმცირის გამო, კვლევის ფარგლებში აუცილებელი გახდა გამეანალიზებინა სოციალუ ქსელ facebook-ზე არსებული ოთხი აფხაზური ჯგუფი.

კვლევის ფარგლებში გამოკითხულ აფხაზ რესპონდენტებს მიაჩნდათ, რომ აფხაზური ეროვნული იდენტობა ჩამოყალიბებულია აფხაზური ტრადიციების, წეს-ჩვეულებების საფუძველზე, აფხაზური იდენტობა, მათი შეფასებით, ფორმირებულია „აფსუარას“

პრინციპების თანახმად „აფსუარა“ ეს არის დაუწერელი ქცევის წესები და ნორმები, რომლის საფუძველზე ხდება იმის განსაზღვრა, თუ როგორ უნდა იქცეოდეს აფხაზი საზოგადოებასა და ოჯახში.

„აფსუარა“ განსაზღვრავს ასევე ქალის როლსა და ადგილს ოჯახში. მას ეფუძნება ისეთი ტრადიციებიც, როგორცაა სტუმარ-მასპინძლობა, ასაკით უფროსის უპირობო პატივისცემა და მორჩილება.

„აფსუარა არის ის, რაც აფხაზს აქცევს აფხაზად. აფხაზი ვერ იქნება ადამიანი, რომელიც არ იცავს აფსუარას და არ ცხოვრობს მის საფუძველზე, სწორედ აფსუარას დაცვამ გადაგვარჩინა და მოგვიყვანა დღემდე, ის განსაზღვრავს ჩვენს იდენტობას“ (მამრ, 37 წლის, ლექტორი).

აფხაზი რესპონდენტების აზრით, აფხაზური ეროვნული იდენტობა საუკუნეების მანძილზე ფორმირდებოდა და იმ სახეს იღებდა, რომელიც მას დღეს აქვს და რადგანაც აფხაზებმა მოახრებეს სამშობლოს განთავისუფლება, დამოუკიდებლობის მოპოვება, მათ იდენტობას საფრთხე აღარ ემუქრება და შეუძლია განვითარდეს და აისახოს კულტურაში, ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზი რესპონდენტები, როგორც სიღრმისეული ინტერვიუს ფარგლებში და ასევე ფოკუს ჯგუფის პროცესში, დარწმუნებულები საუბრობდნენ აფხაზური იდენტობის განვითარების და აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის ფარგლებში, აფხაზური იდენტობის დაცულობის შესახებ, იგივე პიროვნებები სოციალურ ქსელში დახურულ ჯგუფებსა და ფორუმებზე საუბრობენ იმ საფრთხეებზე, რომელიც, მათი აზრით, ემუქრება აფხაზურ იდენტობას, რადგან ის საუკუნეების განმავლობაშიც ითრგუნებოდა გარეშე მტრის მიერ და ამჟამადაც არ არის დაცული. ფორუმებზე და დახურულ ჯგუფებში აქტიურად განიხილება არსებული დემოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური პრობლემები, რომელიც აფხაზური იდენტობის, აფხაზი ერის არსებობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. თუ ფოკუს ჯგუფის და სიღრმისეული ინტერვიუების დროს, აფხაზი რესპონდენტები საუბრობდნენ, რომ აფხაზი ერის, თითოეული აფხაზის მოვალეობაა, აფხაზური იდენტობის შენარჩუნება და განვითარება და აფხაზის „სულერი მისიაა,“ რომ იცხოვროს ტრადიციებისა და

წინაპრების მიერ შექმნილი ადათ-წესების საფუძველზე, რასაც იმთავითვე აკეთებენ. სოციალურ ქსელებში, აფხაზები სრულიად განსხვავებულ მოსაზრებას გამოხატავენ. ისინი შეშფოთებულები არიან, რომ ახალი თაობა ივიწყებს აფხაზურ ტრადიციებსა და ადათებს და ცხოვრობს „შეუფერებელი,“ „გარყენილი,“ არაკავკასიური, არააფხაზური ცხოვრების წესით („Лучшие Посты Абхазского Фейсбука“, 2018)

აფხაზურ ტრადიციებში ყველაზე მნიშვნელოვანი უფროსის პატივისცემა და სტუმარ-მასპინძლობის წესია. ისინი აღნიშნავენ, რომ სტუმარ-მასპინძლობის წესი იმდენად წმინდაა აფხაზებისთვის, რომ შვილის მკვლელობისთვის უმასპინძლია აფხაზ მამას, ეს კავკასიელებისთვის დამახასიათებელი ტრადიცია სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია აფხაზური იდენტობის ფორმირებისთვის. აფხაზები ასევე საუბრობდნენ სისხლის აღების ტრადიციაზე. სისხლის აღების ტრადიციიდან გამომდინარე, მტრობა შეიძლებოდა წლობით გაგრძელებულიყო. როდესაც მტრობა ოჯახების დაღუპვის მიზეზი ხდებოდა, აფხაზი უხუცესების გადაწყვეტილებით, მტრობის მოსაშლელად დაპირსპირებული ოჯახიდან შვილის ან ძმის ნაცავალის შვილად აყვანა ხდებოდა.

ტრადიციებზე საუბრისას აფხაზი რესპონდენტები განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ დატირების რიტუალს, სადაც ქალებს და მამაკაცებს კონკრეტული როლები ჰქონდათ. მიცვალებულის სქესიდან და სოციალური სტატუსიდან გამომდინარე, ხდებოდა დატირების ტექსტების ფორმულირება, მეომარს განსხვავებული ტექსტებით დაიტირებდნენ, გლეხს - განსხვავებულად. კვლევაში მონაწილე აფხაზების აზრით, დატირების რიტუალის დროს ხდებოდა და ხდება იმ ღირებულებების წარმოჩენა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო აფხაზის ცხოვრებაში.

მათი შეფასებით, აფხაზების მეობის, აფხაზური იდენტობის ყველაზე ნათელი ასხვა აფხაზურ ფოლკლორსა და ზეპირსიტყვიერებაში შეგვიძლია ვნახოთ.

„აფხაზურ იდენტობას რომ ჩავწვდეთ, მისთვის და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიუანსები რომ გავიგოთ, აფხაზურ ფოლკლორს, ზეპირსიტყვიერებას უნდა ვიცნობდეთ. იქ ნახავთ აფსნის სულს. ის, რაც შეიძლება აბსოლუტურად გაუგებარი იყოს ევროპელისთვის, ან თუნდაც თქვენთვის. მაგ.: აფხაზური ქორწილი, როცა კვირის განვალობაში არ აქვს უფლებას იძეს, პატარძალი

ნახოს. აფხაზურ ზეპირსიტყვიერებაშია დაცული ამ ტრადიციის სიწმინდის ახსნა, მისი აუცილებლობის დასაბუთება, არააფხაზი ვერ გაიგებს და ვერ ჩაწვდა ამ ტრადიციის სიწმინდეს” (მამრ, 35 წლის, ჟურნალისტი).

აფხაზი რესპონდენტები საუბრობდნენ, რომ სპეციფიკური აფხაზური ტრადიციების შესახებ წერდნენ აფხაზი მწერლები, ისტორიკოსები, მეცნიერები. მწერლების მიერ ხდებოდა იმის ხაზგასმა და ჩვენებ, ათუ რატომ მნიშვნელობს ესა თუ ის ტრადიცია და რა საფრთხეს უქმნის ადამიანს, ერს მისი გაუთვალისწინებლობა. აფხაზების აზრით, განსაკუთრებით კარგად არის გადმოცემული მიხა ლაკრბას მიერ აფხაზური ტრადიციების როლი. მაგ.: იმ აფხაზური ტრადიციის მნიშვნელობა, რომლის თანხმად, რძალს, ოჯახის უფროსთან საუბრის უფლებაარ აქვს.

ყოველ კულტურას აქვს მახასიათებლები, რომელიც მხოლოდ ამ კულტურის მატარებელი სუბიექტებისთვის არის გასაგები. კულტურის ამ თვისების ასახსნელად შემოაქვს მაიკლ ჰერცვილდს კულტურული ინტიმურობის ცნება. სწორედ კულტურული ინტიმურობის ცნების საფუძველზე, შეგვიძლია გაავანალიზოთ აფხაზების დამოკიდებულება აფხაზურიკულტურის მიმართ. როგორც ზემოთ აღინიშნა, კულტურის ინტიმურობა იწვევს ერთდროულად სიმაყის და სირცხვილის განცდას. ეს არ არის მხოლოდ ინდივიდუალური გრძნობები, არამედ ინტიმურობის კოლექტიურ გამოხატულებას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, აფხაზები ამაცობდნენ იმით, რომ მათი კულტურა სპეციფიკურ და განსხვავებულ ტრადიციებზეა დამყარებული, რაც იძლევა საშუალებას, მკვეთრი საზღვარი იქნას გავლებული მათსა და „სხვებს” შორის.

აფხაზი რესპონდენტები ტრადიციებში განსაკუთრებულ ადგილს უთმობდნენ ასევე უხუცესთა კრებას. უხუცესები იღებდნენ და იღებენ, მათი აზრით, ყველა მნიშვნელოვან საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას. აფხაზების შეფასებით, ლიხნის უხუცესთა კრება ისტორიულად განსაზღვრავდა აფხაზეთის ცხოვრების რიტმს. რესპონდენტები მიიჩნევდნენ, რომ საპრეზიდენტო სახელმწიფოში ყველაზე გავლენიანი, ძალაუფლების მქონე პრეზიდენტი და მთავრობაა, მაგრამ ისინი უსმენენ და უთანხმებენ საკუთარ გადაწყვეტილებებს უხუცესთა კრებას.

თუმცა უხუცესთა კრების როლის წარმოჩენისას, სოციალურ ქსელების მომხმარებელი აფხაზები აბსოლუტურად განსხვავებულ ხედვას აფიქსირებენ და თვლიან, რომ ამ საზოგადოებრივმა, ტრადიციულმა ინსტიტუტმა ძალა დაკარგა, რადგან ხალხს აფხაზეთში არავინ უსმენს და ხალხის აზრი არავის აინტერესებს. აფხაზურ ჯგუფებში აქტიურად განიხილება აფხაზეთის მმართველ რგოლში დაწინაურებული აფხაზური ინტელიგენციის კორუმპირებულობის თემა, რომლებმაც ომის მერე არსებული სიტუაცია, მათი შეფასებით, მერკანტილური მიზნებისთვის გამოიყენეს და მხოლოდ მატერიალური მდომარეობის გაუმჯობესებაზე არიან ორიენტირებულნი. ამ პირობებში უხუცესთა აზრი მათთვის არავითარი ძალაუფლების მქონე არ არის. თუმცა, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ აფხაზების მმართველი ელიტის მხრიდან უხუცესთა კრებით აპილირება და საერთოდ უხუცეთა კრების გახსნა ხდება, როცა საკითხი ეხება საქართველოს. მაგ.: აფხაზეთში დაპატიმრებული ქართველის განთავისუფლების დროს, რასაც მღელვარება და პროტესტი მოყვა აფხაზურ საზოგადოებაში და გაიმართა აფხაზეთის მთავრობის საწინააღმდეგო აქციები. მთავრობის ადმინისტრაცია ამ გადაწყვეტილებას ასახსნელად აღნიშნავდა, რომ შეთანხმებული იყო უხუცესთა კრებასთან და მათი რჩევით მოხდა ქართველი პატიმრის განთავისუფლება სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან. მიუხედავად ამისა, სოციალური ქსელებში აფხაზები აღნიშნავდნენ, რომ მთავრობა ცრუობს და მხოლოდ მაშინ იხსენებს უხუცესთა კრებას, როცა სხვა თავის გასამართლებელი საბუთი არა აქვს.

სახელმწიფოს ფუნქციონირება დამოკიდებულია კულტურული ინტიმურობის ფორმებთან თანაარსებობაზე, უხუცესთა კრება წარმოადგენს აფხაზური კულტურული ინტიმურობის მაგალითს, რომელსაც სახელმწიფო იყენებს, რომ საკუთარი გადაწყვეტილებების ლეგიტიმურობა დაასაბუთოს.

„აფხაზური ტრადიციებიდან ამოიზარდა აფხაზური კულტურა. უძველესი, დიადი კულტურა, რომელიც სააკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა და აფხაზური ეროვნული იდენტობის საფუძველს წარმოადგენს. სწორედ უძველესი, საუკუნეების მანძილზე ფორმირებული კულტურა გახდა მიზეზი აფხაზური ნაციონალური პრეტენზიებისა, აფხაზებს გვეცხოვრა დამოუკიდებელ, სუვერენულ რესპუბლიკაში”(მამრ, 30 წლის, იურისტი).

აფხაზი რესპონდენტების მიერ წარმოდგენილი შეხედულებები აფხაზურ კულტურაზე წარმოადგენს „სოციალური დრამის“ მაგალითს- ვიქტორ ტარნერის ეს ტერმინი გულისხმობს არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების წარსული მოვლენებით მოცვას. ჰერცფელდის სოციალური პოეტიკის თანახმად კი, ადამიანები მისტირიან წარსულის ნანგრევებს, აჩრდილებს სხვადასხვა მიზეზების გამო და ამ სახის სოციალური პერფორმანსი ახდენს ადამიანთა რეიფიკაციას კულტურულად კოდირებულ როლებსა და იდენტობებში. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კულტურული იდენტობის ფორმირება ხდება სოციალური პერფორმანსის მეშვეობით.

კულტურის ძირითად მახასიათებლებად აფხაზი რესპონდენტები მიიჩნევენ ისტორიას, ენას და ტრადიციებს. აფხაზები სიამაყით იხსენდნენ აფხაზეთის ისტორიას, რომელმაც, მათი აზრით, დაადასტურა, რამდენად თვითმყოფადია აფხაზი ერი. ფოკუსს ჯგუფის მონაწილეები სიამაყით აღნიშნავენ, თუ რამდენი ტკივილის გადატანა მოუწია მათ ერს, რომ დაებრუნება დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ისტორიაზე საუბრისას რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმას, რომ ქართველები ყოველთვის ცდილობდნენ, მიეთვისებინათ მათი წარსული, წარმოეჩინათ აფხაზი ერის საკუთრება საკუთარ კულტურულ მიღწევად ან მიეჩქმალათ აფხაზური ისტორია, აფხაზმა ინტელექტულებმა - ისტორიკოსებმა, ფილოლოგებმა, ეთნოგრაფებმა, მწერლებმა ქართველებს ამის ნება არ მისცეს. აფხაზმა ისტორიკოსებმაღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს ქართველ, შოვენისტ ინტელექტუალებს.

აფხაზი რესპონდენტები ისტორიაზე საუბრისას ციტირებდნენ აფხაზ პოეტებს აფხაზურად და თარგმიდნენ იქვე რუსულად. თითოეული რესპონდენტი, ასაკისმიუხედავად, აფხაზეთის ისტორიულ ბედზე ერთნაირი ენთუზიაზმით საუბრობდა. ცდილობდნენეჩვენებინათ აფხაზური ისტორიის განსაკუთრებულობა და ხაზს უსვამდნენ, რომ შეუძლებელია ასეთი ისტორიის, წინაპრების ასეთი ღვაწლის უგულებელყოფა. მათი აზრით, ისტორიული მეხსიერება არის აფხაზეთის დამოუკიდებლობის განმსაზღვრელი.

„ჩვენმა წინაპრებმა ნათლად აჩვენეს, რომ ჩვენი სახელწმიფოებრიობა გარდაულია. იცით, უცნაურია ის კი არ არის, რომ ჩვენ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ვაშენებთ,

არამედ ის, რომ თქვენ ვერ გაიგეთ და არ გინდათ გაიგოთ ის ისტორიული აქსიომა, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა”(მამრ, 40 წლის, ისტორიკოსი) აფხაზეთის ისტორიასთან დაკავშირებით იგივე ხაზი გრძელდება სოციალურ ქსელში. ისეთ სოციალურ ქსელში, როგორცაა ფეისბუქი, არის სპეციალური ისტორიული გვერდები, სადაც ყოველდღიურად ხდება მასალების ატვირთვა აფხაზეთის, ადიგების, ყაბარდოელების, ჩერქეზების შესახებ, სადაც ძირითადად ხდება ამ ხალხების თავგანწივზე აპელირება. ამ დახურ ჯგუფებში უმეტესად 35-40 წელს გადაცილებული ადამიანები აქტიურობენ. მასალების ატვირთვა ხდება რუსულ ენაზე და შეიცავს ანტიქართლ პოზიციას. განსაკუთრებით ხდება აპელირება ქართველების როლზე კავკასია-რუსეთის ომის დროს, რომელსაც აფხაზეთში და მთლიანად დასავლეთ კავკასიაში მუჰაჯირობა მოჰყვა.

რაც შეეხება კონკრეტულად 1992-1993 წლების მოვლენებს აფხაზეთში, სოციალურ ქსელ ფეისბუქზე არის გვერდები, სადაც ხდება მასალების, ომის კადრების, მებრძოლების მოგონებების განთავსება ამ მოვლენების ირგვლივ. კომენტარებში აქტიური განხილვები მიმდინარეობს, რომ ამ ყველაფრის დავიწყება, პატიება არ შეიძლება. არიან განსაკუთრებული რადიკალიზმით გამორჩეული ადამიანები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ საქართველოსთან ყოველგვარი კონტაქტი გასაწყვეტია, რადგან ქართველები მტრები იყვნენ და მტრებად დარჩებიან, ხოლო აფხაზეთის ტერიტორიიდან ის ადამიანებია გასამევებელი, რომელთაც „ჩემი მიწის,” „ქართული მიწის” დისკურსი არ შეუწყვეტია.

აფხაზურ ენაზე საუბრისას, აფხაზ რესპონდენტებს მიანჩდათ, რომ აფხაზური ენა არის ის, რითაც უნდა ამაყობდეს ყველა აფხაზი. მსოფლიოში უძველესი, უმდიდრესი და ურთულესი ენა, რომელიც ორი დიალექტისაგან შედგება და ასევე განსახვავებენ ერთმანეთსგან ლიტერატურულ აფხაზურს, რომელიც აბჟუურ დიალექტზეა დაფუძნებული და საკომუნიკაციო ბზიფურ დიალექტს, რომელიც ასევე იყოფა სამ ნაწილად. აფხაზურ ენაში, რესპონდენტების შეფასებით, არის ყველა ბგერა, რომელიც შეიძლება ადამიანმა ბუნებაში მოისმინოს. მათი აზრით, აფხაზები სიცოცხლეს გაწირავენ საკუთარი ენის დასაცავად. არცერთი აფხაზი არ დაიხვეს უკან ისე, როგორც არ დაუხვევით უკან საშიშროების წინაშე მათ წინაპრებს ენის დასაცავად. აფხაზური ენის

დაცვა გახდა ერთ-ერთი საფუძველი ქართველ-აფხაზთა კონფლიქტისა, რადგან, როგორც ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, მათ ქართველები არ აძლევდნენ საშულებასსაკუთარ ენაზე ესწავლათ.

აფხაზურ ენაზე, როგორც აფხაზური იდენტობის ქვაკუთხედზე საუბრისას, აფხაზი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ აფხაზეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, აფხაზურ ენას განვითარების საშუალება მიეცა, რადგან ამჯერად არავინ ზღუდავს და უშლის ხელს აფხაზური ენის განვითარებას.

აფხაზი რესპონდენტები ასევე გამოთქვამდნენ ეჭვს, რომ აფხაზური ენის დამწერლობა გაცილებით ადრე შეიქმნა, მაგრამ ქართველები მალავენ ამ ფაქტს. მსგავს მოსაზრებებს გამოთქვამდნენ ახალგაზრდა აფხაზი რესპონდენტები. მათი შეფასებით, რუსული ცარიზმი და ქართველი ერი ერთად მოქმედებდა კავკასიელი მთიელებისა და აფხაზების წინააღმდეგ.

სოციალურ ქსელებში აფხაზები აფხაზური ენის მნიშვნელობაზე აქტიურად საუბრობენ, მაგრამ კვლევაში მონაწილე აფხაზებისგან განსხვავებით, აღნიშნავენ, რომ აფხაზური ენა არა თუ არ ვითარდება, არამედ დგას გაქრობის საშიშროების წინაშე, რაც მათი შეფასებით, აფხაზური საზოგადოების რუსეთთან ასიმილაციის პროცესით აიხსნება. ახალგაზრდების უმრავლესობა არ საუბრობს და არ სწავლობს აფხაზურად. სოციალურ ქსელებში აფხაზები აღმფოთებას არ მალავენ იმის გამო, რომ სკოლებში აფხაზური შესაბამის დონეზე არ ისწავლება. უნივერსიტეტში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობს. კონფერენციებიც კი რუსულ ენაზე იმართება. აფხაზეთში არსებულ ორ თეატრში წარმოდგენები ძირითადად რუსულ ენაზეა, რა თქმა უნდა, ზედმეტია საუბარი სახელმწიფო უწყებებზე, სადაც სამუშაო ენა რუსულია. დახურ ჯგუფებსა და ფორუმებზე მიმდინარეობს განხილვა იმისა, რომ ეს არის მიზინამიმართული რუსული პოლიტიკა, რომელიც ცდილობს, დროთა განმავლობაში აფხაზური ენა ჩაანაცვლოს რუსული ენით, ხოლო აფხაზეთის მთავრობას და საზოგადო მოღვაწეებს, ინტელექტუალებს, აფხაზები ღალატში ადანაშაულებენ, რადგან ისინი რეაგირებას არ ახდენენ მიმდინარე პროცესებზე. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზები სოციალურ ქსელებში რუსული ენის საწინააღმდეგო შეხედულებებს რუსულ ენაზე

წერენ.

კვლევაში მონაწილეები, აფხაზური იდენტობის ფორმირების პროცესზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ თითოეული აფხაზი უნდა ზრუნავდეს, გადარჩეს და არ გადაგვარდეს აფხაზური კულტურა, ეს აფხაზების „სულიერი მისაა.“ მათთვის მნიშვნელოვანი იყო ეროვნული იდენტობის ისეთი ფაქტორები როგორებიცაა სამშობლოს სიყვარული და ერთგულება, ტრადიციების დაცვა, აფხაზური მიწის, როგორც ღვითსგან გაღებულ მოწყალების, მაღლის კონცეფცია, რომელსაც გაფრთხილება და დაცვა სჭირდება მტრისგან, აფხაზეთის ისტორიის ფასდაუდებელი მნიშვნელობა და ა.შ. მსგავს ნიშნებზე აქცენტირება სმითს მიხედვით ეთნიკურ ნაციონალიზმს ახასიათებს. ხოლო, სამოქალაქო ფაქტორები, როგორც არის სახელმწიფოს მოქალაქეობა, სამართალი, ადამიანის უფლებების დაცვა, ეკონომიკური ფაქტორები, ფოკუს ჯგუფის მონაწილეებს არ უხსენებიათ.

„ჩვენი წინაპრების სისხლითაა ეს მიწა მორწყული, ისინი იცავდნენ ჩვენ მიწას, ენას, ღირებულებებს და თავისუფლებას, ჩვენ შევძელით მათი საქმის გაგრძელება, ეხლა ჩვენ ვიცავთ ჩვენს აფხაზებს, ყველაფრის მიუხედავად შევძელით მისი შენახუნება“ (მამრ, 37 წლის, ისტორიკოსი)

აფხაზური ნაციონალიზმი წარმოადგენს ეთნიკური ნაციონალიზმის მაგალითს, როგორც ამას განხილული თეორიული მასალა ადასტურებს, რადგან სწორედ ეთნიკურ მოდელს ახასიათებს ადგილობრივ კულტურაზე, წეს-ჩვეულებებზე აპელირება, რომელიც ერის იდეის კრისტალიზაციას ახდენს მისი წევრების ცნობიერებაში, მაშინაც კი, როცა მისი წევრები გაქრობის პირას არიან. არსებული დრამატული ამბები წარსულზე, რომელიც აწყმოსა და მომავლის მიზნებს ეხმიანება, გარდა ამისა, მითები ისეთ მოვლენებზე, როგორიცაა პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვება, თავისუფლების მოპოვება, სათავეს იღებენ რომელიმე ისტორიული მოვლენიდან, რათა შემდგომ ინტერპრეტირებული, გადამუშავებული ვარიანტით გამოჩნდნენ. ისტორიულ ფაქტებთან ამგვარი მიმართება, აკისრებს მითებს სოციალური თუ პოლიტიკური კონსოლიდაციის ფუნქციას, რაც განმსაზღვრელია ეთნიკური იდენტიფიკაციისთვის.

4.1. აფხაზური ეროვნული იდენტობის სიმბოლოები

თეორეტიკოსები თვლიან, რომ ეროვნული იდენტობა არის არის დასრულებული კატეგორია, არამედ პროცესი, რომელიც უკავშირდება მიმდინარე მოვლენებს და დროსთან ერთად იცვლება. ეროვნული იდენტობა იცვლება პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული ფაქტორების ზემოქმედებით. მაგრამ ის, რაც ერს ქმნის, როგორც მთლიანობას, არის ეროვნული იდენტობის განმსაზღვრელი ასპექტებისადმი კუთვნილების შეგრძნება. მსგავსი განმსაზღვრელი ფაქტორი, ჰაიდეგერის აზრით, ენასთან, რელიგიასთან ერთად, არის ეროვნული სიმბოლოები: დროშა, ჰიმნი, გერბი, ეროვნული გმირები, მითები, ეროვნული დღესასწაულები.

სწორედ ეროვნული იდენტობისადმი კუთვნილების ამ ფაქტორებზე საუბრობდნენ აფხაზი რესპონდენტები დიდი მოწიწებით. იხსენებდნენ დამოუკიდებელი აფხაზეთის დროშის ავტორს, როგორც გმირს. აღნიშნავდნენ, რომ აფხაზეთის დროშა ყველა აფხაზის ცხოვრებაში განსაკუთრებული სიმბოლოა, რადგან გამოხატავს აფხაზი ერის სულს. დროშის ფერი, მასზე გამოსახული სიმბოლოები, გამოხატავს აფხაზობის, აფხაზური იდენტობის არსს, ისევე როგორ ჰიმნი, გერბი.

„აფსნი ნიშნავს სულის სამყაროს, ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნის სულია. სული, რომელიც ყველგან უნდა იგრძნობოდეს, დროშაზე, გერბზე, ჰიმნში, დედის ნაწაში და აფხაზის ცხოვრებაში. ჩვენი იდენტობის, ჩვენი ნაციონალისტური გრძობების მიზეზი ეს სულია, რომლითაც გაჟღენთილია ჩვენი მიწა-აფსნი“ (დიმა, 45 წლის, ისტორიკოსი).

კვლევის მონაწილე ომის ვეტერანი აფხაზების თქმით, სწორედ „აფხაზობის“ მძაფრმა განცდამ „აფხაზობის“ დაცვის აუცილებლობამ წაიყვანა ისინი ომში. მათი შეფასებით, აფხაზური ნაციონალიზმი ჯერ ძალიან ახალგაზრდაა იმისთვის, რომ არ იყოს ხმამაღალი. მითუმტეს საჭიროა, ეს მუხტი არ დაეცეს და არცერთ აფხაზს არ გაუქრეს ან გაუნელდეს აფხაზური ეროვნული სული, რადგან ჯერ კიდევ არსებობს საშიშროება ქართველების მხრიდან, რომლებიც არ აღიარებენ აფხაზეთის დამოუკიდებლობას და ამ საფრთხისთვის აფხაზები უნდა იყვნენ მზად. აფხაზი რესპონდენტების აზრით,

ნაციონალიზმის ასეთი მძაფრი განცდა გამოწვეულია უახლოესი ისტორიით. კონკრეტულად, 1992-1993 წლის საომარი მოქმედებების ზეგავლენით, რომელიც, მათი შეფასებით, აფხაზების გმირობის ჯერ კიდევ მოუშუშებელი ტკივილის მაგალითია.

როგორც ენტონი სმითი აღნიშნავს, ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესში უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ომი. რაც ნათლად ჩანს წარმოდგენილ ემპირიულ მასალაში არსებული დისკურსებით ომის შესახებ.

ომი ქმნის არა მარტო სახელწმიფოს, არმედ ეთნიკურ ერთობებსაც. ზემოქმედებს ეთნიკური განწყობებისა და ეროვნული ცნობიერების მობილიზაციაზე. ჰობსბაუმის (2012, გვ.89) აზრით, ომი ერთობის ცხოვრებაში მითებისა და მოგონებების წყარო ხდება. სწორედ, ომის შესაფუძვნილი ტოვებს ყველაზე ღრმა კვალს კოლექტიურ მეხსიერებაში.

აფხაზი რესპონდენტები, აფხაზურ დროშაზე, ჰიმნზე, გერბზე და კონსტიტუციაზე საუბრისას, იხსენებდნენ იმ ადამიანებს, კონკრეტულ პიროვნებებს, რომლებმაც სიცოცხლე გაიღეს აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის. იხსენებდნენ პოლიტიკურ ლიდერებს, აფხაზ ინტელექტუალებს, რომლებმაც „გამოაღვიძეს აფხაზური ნაციონალიზმი და აფხაზური ღირსება,” ციტირებდნენ მათ და საუბრის პროცესში ხშირად აკეთებდნენ მათ ცხოვრებაზე აქცენტებს, როგორც მისაბამ მაგალითებზე.

„ვლადისლავ არძინბამ გააღვიძა ჩვენი მიძინებული იდენტობა. მან ტრადიციები, ჩვენი ენა, ისტორია თავიდან შეგვაყვარა და გამოგვიღვიძა დათრგუნული ეროვნულობა. ვლადისლავ არძინბამ თავის ერს შეწირა სიცოცხლე. ასეთი გმირების ქვეყანაა აფხაზეთი და თუ ფიქრობთ, რომ ნაციონალისტური ხედვები ხელს გვიშლის სხვაგვარი ტკივილები დავინახოთ, შეიძლება, მაგრამ სხვანაირად არ გამოვა, სხვანაირად არ შეიძლება, მოთხოვნილებები ყოველთვის იარსებს, მაგრამ მთავარი სურვილებია და ჩვენი სურვილია, ვიყოთ თავისუფლები და თუ ჩვენ და შემდეგმა თაობებმა თავის ნაციონალისტური გრძნობები არ გაანალიზა და პატივი არ სცა, განა შევძლებთ ვიყოთ თავისუფალნი?!” (მამრ, 37 წლის, ისტორიკოსი).

აფხაზები ხშირად ახსენებდნენ პოლიტიკურ ლიდერებსა და ინტელექტუალებს, რომლებმაც გამოაღვიძეს აფხაზური ნაციონალიზმი, თეორიულ მასალაში ნათლად

იკვეთება ინტელიგენციის განმსაზღვრელი როლი ეროვნული იდენტობისა და ნაციონალიზმის ფორმირებაში. მაგ.: ჰობსბაუმი ინტელიგენციას, მთავრობებს იდეოლოგიურ ინჟინრებს უწოდებს, რომლებიც იყენებდნენ კომუნიკაციის მზარდ და ძლიერ მექანიზმებს დაწყებითი სკოლის ჩათვლით, რათა გაეგრძელებინათ „ერის“ ხატება, მემკვიდრეობა და ეიძულებინათ ხალხი, დაკავშირებოდნენ ქვეყანას და დრომას. ამისთვის ტრადიციებს და ნაციონალიზმს იგონებდნენ. ჰობსბაუმის აზრით, სახელმწიფო რეჟიმები არიან ავტორები სხვადასხვა პოლიტიკური გამოგონებებისა.

ფოკუსს ჯგუფის დროს, აფხაზი რესპონდენტები ერთსულოვანი იყვნენ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემისას. მათ შორის ერთხელაც არდაფიქსირებულა განსხვავებული აზრი. ყველა კითხვაზე, რომელიც ტრადიციებს, აფხაზურ ადათ-წესებს ეხებოდა, რუდუნებით და პატივისცემით საუბრობდნენ. ამტკიცებდნენ, რომ აფხაზეთში არსებობს ეროვნული თანხმობა, რომ დაიცვან ენა; უზრუნველყონ არა მხოლოდ კუთურული დამოუკიდებლობა, არამედ პოლიტიკური სუვერენიტეტი, რადგან, მათი აზრით, მათ ეს დაიმსახურეს, აფხაზებმა გმირულად მოიპოვეს უფლება, იყვნენ თავისუფლები. კვლევის პროცესში თითოეული აფხაზი მონაწილე ცდილობდა, რაც შეიძლება მაღალფარდოვნად გამოეხატა თავის დამოკიდებულება აფხაზეთის მიწისადმი. მათი შეფასებით, აფხაზების ცხოვრების ფილოსოფიას აფხაზეთის დამოუკიდებლობა წარმოადგენს, ეს არის მათი ცხოვრების ქვაკუთხედი.

თეორია ცხადყოფს, რომ ეროვნულობის იდეის მიმართ ინტერესის აღძვრა ხდება ინტელექტუალების მიერ, შემდგომ კი, როდესაც ეს იდეა სახელმწიფოში განსხვავდება, ხდება მისი მიძინება, რის შესახებაც საუბრობს მაიკლ ბილიგი. თუმცა, ბილიგის მიხედვით, ნაციონალიზმი კი არ ქრება, არამედ ყოველდღიური ცხოვრების შეუმჩნეველი ნაწილი ხდება. მისი გამოღვიძება და დაბრუნება ხდება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს და არსებულ წესრიგს საფრთხე ემუქრება.

აფხაზური ნაციონალიზმი, მაიკლ ბილიგის თეორიის საფუძველზე რომ შევაფასოთ, „ცხელი“ ნაციონალიზმის ფორმაა. აფხაზი ერის ყოველდღიურ რეპრეზენტაციებში არ მომხდარა ნაციონალისტური სენტიმენტების დაცხრობა, მას ყოველდღიურ გამოვლინებებში აქვს მკვეთრად გამოკვეთილი ფორმა. ბილიგის

თეორიის მიხედვით, განხორციელებულ სახელმწიფოში ნაციონალური სენტიმენტები არის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი, არამედ გარკვეული რადიკალური სოციალური ცვლილებების დროს აქტიურდება; ეროვნულ სიმბოლოებს ახალ ემოციურ დატვირთვას ექსტრემალური სიტუაციები სძენენ. ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაში კი, ისინი წარმოადგენენ ნაციონალიზმი ბანალურ შემახსენებლებს. აფხაზები კი მუდმივი საფრთხის რეჟიმში ცხოვრობენ და სახელმწიფო ატრიბუტებზე საუბრისას, ყურადღებას ამახვილებენ საკითხის ემოციურ მხარეზე, მაგ.: დროში როლსა და მნიშვნელობაზე საუბრისას აფხაზეთის სახელმწიფოს ცხოვრებაში, მაგრამ რესპონდენტები არ საუბრობენ ფორმირებული სახელმწიფოს, შემგდარი სახელმწიფოს სხვა მნიშვნელოვან ცვლადებზე, მაგ.: ეკონომიკაზე, სოციალურ ინსტიტუტებზე და ა.შ., რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა სუვერენული ქვეყნის ცხოვრებაში. კვლევაში მონაწილე აფხაზებისგან განსხვავებით, სოციალურ ქსელებში არსებული დისკუსიებისას, აფხაზები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ სოციალურ, ეკონომიკურ, კრიმინოლოგიურ პრობლემებს. თუ აფხაზი რესპონდენტები კვლევის ფარგლებში აღნიშნავენ, რომ ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი სახელმწიფოს ფორმირებაში არის ერის განწყობა და სული, სოციალურ ქსელებში მიიჩნევენ, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა საფრთხის ქვეშ დგას მძიმე ეკონომიკური, დემოგრაფიული, სოციალური გარემოს გამო. სოციალურ ქსელებში შექმნილია სპეციალური ჯგუფები, სადაც საუბრობენ ეკონომიკის სტიმულირების გზებზე და რუსეთზე დამოკიდებულების პრობლემებზე. თუ ფოკუს ჯგუფის ფარგლებში და სიღრმისეული ინტერვიუების დროს აფხაზი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მთავარი თავისუფლება და დამოუკიდებლობაა, ხოლო სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს ისინი მოაგვარებენ, რომ დროთა განმავლობაში ისწავლიან, აფხაზეთი ჯერ „ახალგაზრდა“ სახელმწიფოა და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნაციონალისტურ გრძნობებს, ამიტომ ყოველგვარ გასაჭირს მოითმენენ, სოციალურ ქსელებში აღნიშნავენ, რომ ხალხი ვერ მოითმენს და ვერ აიტანს მსგავს მძიმე ეკონომიკურ, სოციალურ მდგომარეობას და საჭიროა ცვლილებები, საჭიროა რუსეთთან ურთერთობების გადახედვა და პრორუსული მთავრობის შეცვლა („Лучшие Посты Абхазского Фейсбука“ 2018)

4.2. აფხაზების დამოკიდებულება აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან.

აფხაზი რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ აფხაზების ეროვნული სენტიმენტების სიმძაფრე და მათი დიდი მნიშვნელობა არ უქმნის არცერთ სხვა ეთნიკური კუთვნილების ადამიანს პრობლემას აფხაზეთში „იციხვოს ღირსეულად.“ მათი შეფასებით, აფხაზეთი ყოველთვის მრავალეთნიკური იყო, რაც გეოგრაფიული მდებარეობით არის გამოწვეული. ამიტომ აფხაზეთში, სადაც ყველაზე მნიშვნელოვანი ტრადიცია სტუმარ-მსაპინძლობის ტრადიციაა, ვერ იქნება დარღვეული სხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების უფლებები.

დღეს-დღესობით აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების შესახებ კი, აღნიშნავენ, რომ „გალი რთული თემაა,“ რადგან აფხაზები პატივისცემით ექცევიან მხოლოდ მათ, ვინც აღაირებს მათ სახელწიფოებრივ სუვერენიტეტს.

„გალებმა კი არ იციან და ვერ გაიგეს, სად ცხოვრობენ, მათ ჩვენთან ინტეგრაციის სურვილი არ აქვთ და შესაბამისად, პრობლემები ექნებათ, წლები გავიდა და ვერ გაერკვნენ აფხაზეთის კანონმდებლობის არსში და როცა მათ პრობლემები ექმნებათ, ეს მათი პოზიციითა გამოწვეული და აფხაზების მიმართ განწყობით“ (მამრ, 37 წლის. ისტორიკოსი).

აფხაზი რესპონდენტების შეფასებით, ვისაც აფხაზეთში ცხოვრება არ უნდოდა, ყველა წავიდა და ვინც ეხლაც ვერ ეგუება აფხაზეთის დამოუკიდებლობას და ეჭვქვეშ აყენებს მის სტატუსს, ის აფხაზეთიდან უნდა წავიდეს. აქვე აღნიშნავენ, რომ ადამიანური თვალსაზრისით, მათ ქართველ მოსახლეობასთან კარგი ურთიერთობები აქვთ, რომ მეგობრობენ აფხაზები და დარჩენილი ქართველები, ენათესავებიან კიდევ.

აფხაზი რესპონდენტები გალის ქართულ მოსახლეობაზე საუბრისას მთელ პასუხისმგებლობას არსებულსიტუაციაზე, გალის მოსახლეობას აკისრებდნენ. აფხაზებმა ეთნიკურ უმცირესობებზე საუბრისას გაიხსენეს 1989 წლის მოვლენები საქართველოში, ქართული ეროვნული მოძრაობა და მისი ლიდერები.

„ჩვენი ნაციონალიზმი ფაშისტური არ არის, არ ვართ ჩვენ ულტრანაციონალისტები. ის, რომ ასე ვუფრობილდებით საკუთარ კულტურას, ენას, ჩვენს იდენტობას, ეს ბუნებრივია, ასეთი ისტორიის მერე. აი, ქართველები კი ულტრანაციონალისტები არიან. ეხლა აქვს ქართულ საზოგადოებას აფხაზებთან ძმური თანაცხოვრების სურვილი, მაშინ როცა ამბობდნენ, რომ ჩვენიმიწა, მიწა, სადაც ეხლა ვცხოვრობთ და ჩვენი წინაპრები ცხოვრობდნენ, მათი ისტორიული საკუთრებაა, რომ ჩვენ არ ვიყავით მათი თანასწორები - არც უფლებების, არ კულტურის თვალსაზრისით, ამიტომაც დადგა ის შედეგი, რაც დადგა, და ყოველთვის იმას მიიღებს საქართველო, რაც მიიღო, აგრესიას თუ არ შეეშვება” (მამრ, 37 წლის, ლექტორი).

აფხაზებმა ასევე გაამახვილეს ყურადღება საქართველოზე, როგორც კავკასიაში დომინანტობის მსურველ ქვეყანაზე, ისინი აღნიშნავდნენ, რომ კულტურული და იდეოლოგიური დომინანტობის სურვილი ქართველების გენეტიკური მახიათებელია.

სხვა ეთნიკურ უმცირესობებზე საუბრისას, სოციალურ ქსელებში აფხაზები მეტი აგრესიით გამოირჩევიან. გალის მოსახლეობაზე, გალში არსებულ ეკონომიკურ, სოციალურ პრობლემებზე დისკუსიები თითქმის არ მიმდინარეობს, მაგრამ გალის რაიონით მინიმალური დაინტერესების შემთხვევაშიც კი, აფხაზები მიუთითებენ: აფხაზური ენის ძალდატანებით სწავლების აუცილებლობაზე, ენგურის ხიდის დაკეტვის აუცილებლობაზე, ასევე არის ისტორიული დისკურსი იმ შესახებ, რომ გალის მოსახლეობა წარმოადგენს ეთნიკურ აფხაზებს, რომლებმაც სხვადასხვა დროს გადაიკეთეს გვარი სხვადასხვა მიზეზების გამო (ეკონომიკური, კარიერული მოსაზრებებით).

აფხაზეთში მცხოვრებ სომხებთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელებში აფხაზები გამოთქვამენ წუხილს მათი რაოდენობიდან და ეკონომიკაში მაქსიმალურად ჩართულობიდან გამომდინარე, თუმცა მათდამი გამოთქმული აგრესია არ შესაბამება გალის რაიონის მოსახლეობის მიმართ გამოთქმულ აგრესიას. მაგ.: სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვიდეო, სადაც აფხაზეთის სახალხო დამცველი საუბრობს გალის მოსახლეობაზე და აღნიშნავს, რომ აფხაზეთის სახელმწიფომ, საბოლოოდ, უნდა მიიღოს გადაწყვეტილება - ან ჩათვალოს გალის რაიონის მოსახლეობა საკუთარ

მოქალაქეებად, ან გაასახლოს გალის ტერიტორიიდან.

არსებული თეორიების თანახმად, ნაციონალიზმი ორგვარად არის დანახული, როგორც ძალა, რომელიც ქმნის სახელმწიფოს და როგორც ძალა, რომელიც სახელმწიფოს სტაბილურობას უქმნის საფრთხეს. აფხაზური ნაციონალიზმი, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან უთანხმოების მიზეზია.

4.3. რუსეთის გავლენა აფხაზური ეროვნული იდენტობის ფორმირების პროცესზე

აფხაზი რესპონდენტების მტკიცებით, რუსეთის სახელმწიფო და მისი პოლიტიკა აფხაზური ეროვნული იდენტობის განვითარებასთან კავშირში არ არის და გავლენა არ მოუხდენია იმ პროცესებზე, რომელთა საფუძველზე აფხაზური იდენტობის ფორმირებამოხდა. მათი აზრით, აფხაზური იდენტობა მაშინაც არსებობდა, როცა რუსეთი ჯერ კიდევ არ იყო ფორმირებული და ისტორიის სცენაზე გამოსული.

„ის, რომ რუსეთმა შექმნა აფხაზური ეროვნული იდენტობა, ეს ქართველების კიდევ ერთი ფანტაზიაა. ქართველები ამტკიცებენ, რომ ჩვენ ერთი ერი ვართ, როგორ შეიძლება ერთი ერი იყოს სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხი, აქ კულტურული თვალსაზრისით ერთიანობაზე საუბარიც სისულელეა, ეს ქართული იდეოლოგია აჯერებს საზოგადოებებს, რომ ჩვენ ქვეყნის და დამოუკიდებლობის სიყვარული რუსეთმა გვასწავლა. აფხაზი ყოველთვის ასეთი იყო და ასეთად დარჩება, რუსეთი ჩვენი მოძმე სახელმწიფოა და არა ჩვენი ხელოვნურად შემქმნელი” (მამრ, 67 წლის, მწერალი).

აფხაზმა რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს იმაზეც, რომ რუსეთთან ურთიერთობების გამო პრეტენზიები ქართველებს არ უნდა ჰქონდეთ, მაშინ როდესაც ქვეყანას, რომელსაც ქართველები ოკუპანტს უწოდებენ, თვითონ შემოუძღვნენ კავკასიაში. აფხაზების აზრით, რუსეთი კავკასიაში ქართველი ხალხის დახმარებით შემოვიდა და გაანადგურა აფხაზების მონათესავე მრავალი ტომი.

კვლევაში მონაწილე აფხაზების მტკიცებით, აფხაზური საზოგადოება არ დგას ასიმილაციის საფრთხის წინაშე, რადგან აფხაზურ ეროვნულ იდენტობას შესწევს ძალა, წინ აღუდგეს გლობალიზაციის პრობლემებს. აფხაზი რესპონდენტების აზრით, მსგავსი ტრადიციებით, ნათესაობით, ისტორიით შეკრული ერი, თუნდაც მცირერიცხოვანი იყოს ის, შეძლებს ასიმილაციის თავიდან აცილებას.

აღსანიშნავია, რომ სოციალურ ქსელებში აქტიური განხილვა მიმდინარეობს აფხაზური იდენტობის ფორმირების პროცესში რუსეთის როლზე. სოციალური ქსელის მომხმარებელი აფხაზები აცხადებენ, რომ რუსეთის მიზანია აფხაზური ტრადიციების გადაგვარება, აფხაზური საზოგადოების გარყვნა, რათა აფხაზური იდენტობა გაქრეს. ჯგუფებში და ფორუმებზე ამ საკითხებს აქტიურად განიხილავენ, მაგრამ განიხილავენ ერთიდაიგივე ადამიანები. პოსტები იმის შესახებ, რომ რუსეთის პოლიტიკა არ შეცვლილა ცარიზმის დროიდან მოყოლებული და იმპერიული ხასიათის დარჩა და აგრძელებს ერმოლოვის პოლიტიკას, ხშირია, მაგრამ საზოგადოების აქტივობა მსგავსი შინაარსის პოსტებზე დაბალია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური ქსელის მომხმარებლები, რომლებიც რუსეთთან მიმართებაში მსგავსი დამოკიდებულებით გამოირჩევიან, აგრესიულები არიან საქართველოსთან დამოკიდებულებაშიც და აღნიშნავენ, რომ, როგორც საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის დროს იჩაგრებოდა და იდევენებოდა აფხაზი, იგივე ხდება რუსების მიერ, მაგრამ უფრო ორგანიზებულად, ფარულად და ეკონომიკური დაბანდებების საშუალებით, რომელიც, სოციალური ქსელების მომხმარებლების აზრით, კერძო პირებისთვისაა განკუთვნილი და არა აფხაზეთის ეკონომიკის სუბსიდირებისთვის. ეს კერძო პირები კი ინტელიგენციის და ხელისუფლების წარმომადგენლები არიან, რომლებიც ლობირებენ საზოგადოების ლოიალურ განწყობას რუსეთის ფედერაციის მიმართ.

სოციალურ ქსელებში ინტენსიურად განიხილება ასიმილაციის საფრთხე, რომელსაც ფოკუსს ჯგუფისა და ინტერვიუების დროს „უმნიშვნელო“ უწოდეს რესპონდენტებმა. უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ჩვენი რესპონდენტები წერენ აქტიურად ასიმილაციის საფრთხეზე. მათი აზრით, ეს საფრთხე რუსეთიდან მოდის, რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული პოლიტიკიდან და არსებული დემოგრაფიული პრობლემებიდან გამომდინარე (აფხაზების მიერ სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული მონაცემებით,

აფხაზეთის მოსახლეობის მხოლოდ 33% შეადგენენ აფხაზები). ფოკუს ჯგუფის ფარგლებში, მონაწილეები ღნიშნავდნენ, რომ გლობალიზაცია მსოფლიო გამოწვევაა, და ამ გამოწვევას აფხაზები გაუძლებენ. იგივე პირები სოციალურ ქსელებში აღნიშნავენ, რომ აფხაზეთის ხელისუფლების პოლიტიკა დამლუპველია აფხაზებისთვის და მთავრობამ თავის საქმიანობის ძირითად მიმართულებად რეპატრაცია უნდა დაისახოს. მუჰაჯირობის დროს თურქეთში, სირიაში, საუდის არაბეთში, აფრიკაში გადასახლებულები, მშობლიურ მიწასუნდა დაუბრუნოს.

გოფმანის დრამატურგული პრინციპის საფუძველზე შეგვიძლია ავხსნათ ერთიდაიგივე აფხაზების მიერ ერთსადაიმავე საკითხზე განსხვავებული მოსაზრებების დაფიქსირება. ფოკუს-ჯგუფი გოფმანის თეორიის საფუძველზე შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც წინა პლანი ანუ ადგილი სადაც აფხაზებმა წარმოადგენის პრეფომანსის ის ნაწილი, რომელიც ჩვეულებრივ მოქმედებს საკმაოდ მყარად, განსაზღვრავს სიტუაციას მათთვის, ვინც უყურებს წარმოდგენას. წინა პლანი შედგება ექსპრესიული გაფორმების იმ ელემენტებისგან, რომელთა იდენტიფიცირებასაც ახდენს აუდიტორია შემსრულებელთან და მოელის, რომ ისინი მისი თანმხლები იქნება ამ გარემოში.

სოციალური ქსელი კი ასევე, გოფმანის თეორიის საფუძველზე შეგვიძლია გავანალიზოთ, როგორც უკანა პანი-კულისები. კულისები - არის ადგილი, სადაც შეიძლება გამოვლინდეს წინა პლანზე დაფარული ფაქტები ან არაფორმალური მოქმედებები. შემსრულებლები, რა თქმა უნდა, გულისხმობენ, რომ მათი აუდიტორიის წევრები არ გამოჩნდებიან კულისებში.

აფხაზი რესპონდენტების აზრით, მართალია აფხაზეთში უამრავი პრობლემა არსებობს, მაგრამ არსებული ეკონომიკური, სოციალური პრობლემები, განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები საქართველოს სახელმწიფოს მიერ გატარებული ოფიციალური პოლიტიკის ბრალია. აფხაზი რესპონდენტების აზრით, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური თბილისი აფხაზური ენის „გადარჩენას“ და აფხაზების რუსებისგან „განთავისუფლებას“ ცდილობს, რეალურად, საქართველო პოლიტიკა, აფხაზეთის განვითარებას უშლის ხელს.

აფხაზი რესპონდენტები არსებულ პრობლემებს მხოლოდ საქართველოს პოლიტიკას

მიაწერენ და აღნიშნავენ, რომ, მართალია, პრობლემები აქვთ, მაგრამ ეს პრობლემები ვერ გადაწონის თავისუფლების მოყვარე აფხაზი ხალხის სწრაფვას, იყენენდამოუკიდებლობის. ყველა აფხაზი რესპონდენტი თანხმდება იმაზე, რომ მათი კულტურა, ისტორია არის გარანტი აფხაზეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობისა. ისინი აღნიშნავენ, რომ ტრაგედიები, რომელიც აფხაზმა ერმა ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე გადაიტანა, არის დამამტკიცებელი არგუმენტი იმისა, რომ ეს ერი იმსახურებს, იყო სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ყოველ კითხვას რესპონდენტები პასუხობდნენ ტრადიციებზე, წარსულზე, მშობლიურ მიწა-წყალზე, სამშობლოზე აპელირებით; ახსენებდნენ გმირების სახელებს, მწერლებს, პოეტებს, რომლებითაც ასე ამაცობენ. კითხვაზე, თუ როგორ აისახება აფხაზური ნაციონალიზმი ყოველდღიურ ცხოვრებაში, აფხაზები ისევ ისტორიას უბრუნდებოდნენ და საუბრობდნენ იმაზე, რა ფასად აქვთ მათ შენარჩუნებული კულტურული იდენტობა და მიწა-წყალი, რომელიც ასაზრდოებს აფხაზურ ნაციონალიზმს.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების აზრით, მართალია, აფხაზეთში თაობებს შორის განსხვავებული ხედვებია რსებობს, მაგრამ ეს არ ეხება აფხაზურ იდენტობას, ეროვნულ კუთვნილებას. აფხაზების შეფასებით, ისინი შვილებს ისე ზრდიან, რომ მათ აქვთ გაცნობიერებული საკუთარი მოვალეობა ქვეყნისა და წინაპრების წინაშე. განსხვავება თაობებს შორის მდგომარეობს ხედვაში, აფხაზეთის დამოუკიდებლობის პრაქტიკაში განსახორცილებელი გზებისა და მეთოდების შესახებ. რესპონდენტების შეფასებით, ახალი თაობა იცნობს თანამედროვე პოლიტიკის სტრატეგიებს და შესაბამისად, მათ განსხვავებული ხედვები და პოზიციები აქვთ.

განსხვავებულია რიტორიკა სოციალურ ქსელებში, სადაც პრობლემების სათავეებად აფხაზეთის ხელისუფლებას, რუსეთის პოლიტიკას, აფხაზეთის ინტელიგენციას განიხილავენ. აფხაზები სოციალურ ქსელებში საუბრობენ აფხაზების წინააღმდეგ მიმართულ რასიზმზე, რისი მიზეზიც, მათი შეფასებით, აფხაზეთის არაღიარებაა. თვლიან, რომ პოლიტიკოსები და ელიტა მიზანმიმართულად არ მუშაობენ პრობლემების აღმოსაფხვრელად.

თაობებს შორის არსებულ ურთერთობებზე საუბრისას, განსაკუთრებული სისატიკით

გამოირჩევანსოციალური ქსელის მომხმარებლები და საჯაროდ ამხელენ „არასათანადოდ“ ჩაცმულ აფხაზ ახალგაზრდებს, განსაკუთრებით გოგონებს. მათი აზრით, აფხაზური ეროვნული იდენტობა უნდა იგრძნობოდეს ყველაფერში და ყველგან, ამიტომ ხშირად იწერება პოსტები „არასათანადო,“ „შეუფერებელი“ ჩაცმის სტილისა და ქცევების გამო. პოლემიკაში ხშირ შემთხვევაში 35 წლის ზემოთ ადამიანები მონაწილეობენ, სადაც ქალები განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩევიანდა საყვედურობენ აფხაზებს ქალის ხატის შეურაცხყოფასა და აფხაზური იდენტობის უპატივცემულობისთვის. არანაკლებ აგრესიულები არიან მამაკაცები. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი თემების განხილვის პროცესში, ახალგაზრდები თითქმის არ მონაწილეობენ.

როგორც ემპირიული მონაცემებიდან ჩანს, ფოკუს ჯგუფებისა და სიღმისეული ინტერვიუების დროს მიღებული მონაცემები განსხვავებულია სოციალური ქსელების დისკურსის ანალიზის საფუძველზე მიღებული მონაცემებისგან. რაც მთავარია, სოციალური ქსელების მომხმარებლები არიან და ისინი სოციალურ ქსელში იმისგან გასხვავებულ პოზიციას აფიქსირებენ, რაც გამოხატეს ფოკუს ჯგუფში დიკუსიის დროს თუ ინტერვიუს მსვლელობისას.

ამ ვითარების ასახსნელად შეგვიძლია გამოვიყენოთ გოფმანის დრამატურგიული მიდგომა. გოფმანის მიხედვით, სოციალური სინამდვილე იმპროვიზირებული თამაშებისა და სკეტჩების სერიაა. შესაბამისად, დრამატურგიული ანალიზისათვის სოციალური ინტერაქცია თეატრალური წარმოდგენის მსგავსია, ოღონდ ნამდვილი თეატრისგან განსხვავებით, აქ რაიმე დირექტივები არ არსებობს, ამიტომ მოქმედი პირები თვითონ წყვეტენ, ვინ რა როლს შეასრულებს, მაგრამ, ამასთანავე, ისინი ცდილობენ, სხვა მონაწილეებიც დაარწმუნონ იმაში, რომ მათ მიერ შესრულებული როლი ბუნებრივია. ამის აღსანიშნავად გოფმანმა სპეციალური ტერმინი „შთაბეჭდილებათა მართვა“ შემოიტანა (1959). ეს არის საშუალება იმისათვის, რომ ადამიანმა გააკონტროლოს ის, თუ რას ფიქრობენ სხვები მასზე. ინტერაქცია საკუთარი თავის სხვებისადმი წარდგინების, თვითპრეზენტაციის პროცესია, წარმოდგენათა მართვა კი - თვითპრეზენტაციის შედეგად სხვების შეხედულებათა კონტროლი. იმისათვის, რომ წარმოდგენა გაგრძელდეს, ადამიანები ხშირად ისე მოქმედებენ,

თითქოს მათ მიერ განხორციელებული როლი ბუნებრივი იყოს, ხოლო თუკი ვინმე „შეცდომას დაუშვებს” დაკისრებული როლის შესრულებისას, ცდილობენ, „ჩარჩოდან ამოვარდნილი ქმედება” (გოფმანის მიხედვით, out-of-frame activity) ისევე “ჩარჩოს” (“frame”) დაუბრუნონ. ამას გოფმანი „განზრახ არშემჩნევას“ ეძახის. იმისათვის, რომ მუდმივად სცენაზე ყოფნით არ დაიღალოს ადამიანი, სოციალურ სინამდვილეს მეორე მხარეც აქვს - კულისები, ერთგვარი დასასვენებელი ადგილი.

გოფმანი ამსხვრევს მითს იმის შესახებ, რომ ყოველდღიურობაინდივიდთა თავისუფალი მოქმედების სამყაროა. ავტორის მიხედვით ინდივიდებს კონკრეტული სიტუაციებთან და კონტექსტებთან დაკავშირებული მოლოდინები აქვთ. მოლოდინებს საკუთრად მიიჩნევენ, სინამდვილეში ეს მოლოდინები გარემოში არსებული წარმოდგენებისა და შეფასებების ინტერნალიზებული ფორმებია (Goffman, 1959).

გოფმანის „შთაბეჭდილებათა მართვის” საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ აფხაზი რესპონდენტები კვლევის პროცესში ცდილობდნენ, მკვლევარისთვის, რომელსაც ანტაგონისტურად განწყობილ საზოგადოებას მიაკუთვნებდნენ, აფხაზური იდენტობამათთვის სასურველი კუთხით წარმოეჩინათ. მათ მკვლევარს შესთავაზეს რიტორიკული პერფორმანსი, რომლითაც ცდილობდნენ დაემალათ ის პრობლემები, რომელთა წინაშე დგას თანამედროვე აფხაზური საზოგადოება.

თავი V. აფხაზეთში მცხოვრები ქართველი მოსახლეობის ნარატივები აფხაზური იდენტობის შესახებ.

კვლევის ფარგლებში აფხაზეთის ტერიტორიაზე ამჟამად მცხოვრებ ქართველებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების თანახმად, მათ მიაჩნიათ, რომ აფხაზების ეროვნული იდენტობა არის ხელოვნურად კონსტრუირებული საბჭოთა კავშირის მიერ. ქართველ რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ტრადიციები, ქცევის წესები, რაც აფხაზებისთვის არის დამახასიათებელი, არის უნივერსალური კავკასიაში მცხოვრებლებისთვის, ყველას აქვს თავისი სალაპარაკო ენა ან დიალექტი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველამ უნდა გამოთქვას პრეტენტზია სახელწიფოებრიობის შესახებ.

„ეროვნული იდენტობა? რომელი ეროვნული იდენტობა? ყველა ეთნიკურ უმცირესობას რომ მოუგონა საბჭოთა კავშირმა და გააჩინა მეხუთე კოლონები, ვითომ მოკავშირე რესპუბლიკებში?! აფხაზები არიან ეთნიკური უმცირესობა და ეხლაც ეთნიკურ უმცირესობად რჩებიან თავიანთ დამოუკიდებელ სახელმწიფოში. ენა, განსხვავებული, ტრადიციები ბევრს აქვს, ყველა სახელმწიფო უნდა გახდეს? მაშინ როგორი იქნება მსოფლიო წესრიგი? ერი-სახელმწიფო იმისთვის არსებობს, რომ სხვადასხვა ეთნიკური ერთობების თანაარსებობისთვის ინტეგრაციის საშუალებები შექმნას. მაგრამ ამათ დამოუკიდებლობა მოისურვეს, რაც გაუაზრებელი და გაუმართლებელი იყო” (მამრ, 37 წლის, ისტორიკოსი).

ქართველი რესპონდენტების თქმით, აფხაზებს აქვთ განსაკუთრებული ტრადიციები, რომლებიც უცხო ქვეყნის მოქალაქისთვის შეიძლება უცნაური ან გაუგებარია, მაგრამ გალის ტერიტორიაზე და მთელს აფხაზეთში მცხოვრები ადამიანებისთვის ეს ტრადიციები არ არის უცხო და მითუმეტეს, გაუგებარი. მათი შეფასებით, აფხაზური ტრადიციები, მეგრულ ტრადიციებთან შედარებით, უფრო მკაცრია და მამაკაცის დომინანტობას გულისხმობს, მაგრამ ძალიან ბევრი საერთო აქვს ქართულ და ჩრდილოკავკასიურ ტრადიციებთან და სხვანაირად შეუძლებელია, რადგან ერთ ტერიტორიაზე თანაარსებობენ.

„აფხაზები აცხადებენ, რომ ისინი ენათესავებიან ადიღებს, ჩერქეზებს, უბიხებს, ხოლო ქართველებთან ნაკლები საერთო აქვთ. ეს თეორია არაფრის მაჩვენებელი და დამამტკიცებელია. კავკასიელები, მთიელები ჰგვანან ერთმანეთს, აბა რა. მაგრამ ამ ყველაფერს ამბობენ იმისთვის, რომ ჩვენთან თუნდაც ტრადიციების დონის სიახლოვე, ნათესაობას აარიდონ თავი. ეს მიდგომა მსგავსი ტრადიციების, მენტალიტეტის მქონე ხალხების ხელოვნური გაყოფის მცდელობაა” (მამრ, 28წლის, მასწავლებელი).

კვლევაში მონაწილე ქართველები ხაზს უსვამდნენ, რომ ის ღირებულებები, რაც აქვთ აფხაზებს, მათთვისაც მნიშვნელოვანია. ამ ფაქტს ადასტურებს მეგრულ-აფხაზური შერეული ოჯახების რაოდენობა, რომელიც ომამდე ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ამჟამად, ომის მერეც, ჩვეულებრივად აღიქმება. ქართველი რესპონდენტების აზრით, „პოლიტიკური თამაშების მსხვერპლი” ეს ორი საზოგადოება ძალიან ჰგავს ერთმანეთს.

საუკუნეების განმავლობაში თანაცხოვრებამგანაპირობა საერთო ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბება. ქართველი რესპონდენტები აფხაზურ ტრადიციებზე საუბრისას განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდნენ უხუცესთა კრებაზე. აღნიშნავდნენ, რომ აფხაზეთში უხუცესთა კრება ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე ახდენდა გავლენას. თუმცა, რესპონდენტების მოსაზრებით, ამჟამინდელ სიტუაციაში, აფხაზეთში არათუ დარჩენილი ან დაბრუნებული ქართველების ინტერესების გათვალისწინება არ ხდება, არამედ თავად აფხაზეთისა. ამის გამო, უხუცესთა კრება, მათი შეფასებით, მხოლოდ ფორმალურად არსებულ ტრადიციულ ინსტიტუტს წარმოადგენს, რომელსაც აფხაზეთის პოლიტიკური ძალები ან იტელიგენცია საკუთარი გადაწყვეტილებებისადმი ლოიალობის მოსაპოვებლად იყენებს.

აფხაზურ ენაზე საუბრისას ქართველი რესპონდენტები სინანულით აღნიშნავდნენ, რომ მათ არ იციან აფხაზური ენა, თუმცა აქვე დასძენდნენ, რომ თვითონ აფხაზებმაც აღარ იციან აფხაზური ენა. მათი აზრით, რუსული პოლიტიკური დისკურსი გულისხმობს ისეთი ნარატივის დანერგვას, რომ აფხაზური ენა უძველესი, უმდიდრესი და ურთულესია და ამ ენის მატარებელი ხალხი აუცილებლად დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა იყოს. მაგრამ რეალობაში, აფხაზური ენა ისევე იდევნება აფხაზეთში, რუსების მიერ, როგორც ქართული. ამის დამადასტურებელ ფაქტს წარმოადგენს გალის მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ რუსული სკოლების არსებობა, სადაც ქართული და აფხაზური ენა ისწავლება, როგორც უცხო ენა.

„აფხაზური ენა მართლაც უმდიდრესი, ურთულესი და უძველესია, მაგრამ თუ ამ ენას არ გაუფრთხილდებით, ის ისევე გაქრება, როგორც უბიხური ენა გაქრა და გააქრო თავის დროზე რუსეთმა. აფხაზები, რომლებიც 1989 წელს მიტინგებზე სკანდირებდნენ, რომ ქართველები მშობლიურ ენაზე საუბარს ვუშლით, ეხლა თვითონ არ ლაპარაკობენ აფხაზურად. სკოლებში რუსულად სწავლობენ, როცა განათლება რუსულად გაქვს მიღებული, საჯარო და არასაჯარო დაწესებულებების სამუშაო ენას რუსული წარმოადგენს, სკოლის მასწავლებელიც კი მოსწრების ფურცელს თუ ნებისმიერი სახის დოკუმენტაციას რუსულ ენაზე წერს. გაუგებარია, აფხაზური რატომ არის სახელმწიფო ენა?“ (მდედ, 47 წლის, მასწავლებელი).

აფხაზური იდენტობის მარკერებზე საუბრისას, ენის და ტრადიციების გარდა, ქართველი რესპონდენტები, ყურადღებას ამახვილებდნენ ნართებზე. ქართველების შეფასებით, აფხაზები საკუთარ ისტორიულ წარსულს აფუძნებენ არა ისტორიულ ფაქტებზე, არამედ მითებსა და ლეგენდებზე. მათი აზრით ის, რასაც აფხაზები აფხაზეთის ისტორიას უწოდებენ, არის არა ისტორია, არამედ სპეციალურად მოგონილი ან ქართული ისტორიიდან მითვისებული, დამახინჯებული

კვლევაში მონაწილე ქართველების შეფასებით, აფხაზებს ისტორიასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. ცდილობენ, აფხაზებს შეუქმნან გადამეტებული წარმოდგენა საკუთარ წარსულ „დიდებაზე.“ მათი შეფასებით, აფხაზეთის ომის პროვიცირების სათავეში აფხაზი ისტორიკოსები დგანან, რადგან მათ შექმნეს ილუზია, რომ ასეთი წარსულის მქონე ერი ვერ იქნება სხვა ქვეყნის შემადგენელი ნაწილი.

„ამათ გააყალბეს საქართველოს ისტორია და მთელს აფხაზეთში ასწავლიან, რომ თურმე დავით აღმაშენებელი აფხაზეთის მეფე იყო და დიდგორში თურქების დამარცხების მერე ებრძოდა ქართველებს. ესენი ეხლა საერთოდ ნორმალურები არიან?! როგორ შეიძლება ნორმალურმა ადამიანმა ეს დაიჯეროს? ან რა წყაროებით ხელმძღვანელობენ, არ ვიცით. ალბათ, სპეციალურად იგონებენ, სხედან ადამიანები და იგონებენ განსაკუთრებულ ტრადიციებს, არარეალურ წარსულს და სჯერა ხალხს, გადახედეთ ისტორიის წიგნს და მიხვდებით, რას ასწავლიან, აფხაზეთის ისტორიის სახელმძღვანელო არის ნართების კრებული, ძილისწინ წასაკითხი ზღაპრები, თუმცა მხოლოდ აფხაზებისთვის“ (მამრ, 37 წლის, მასწავლებელი).

აფხაზურ ისტორიაზე საუბრისას, რესპონდენტები გაღიზიანებას არ მალავდნენ და ამბობდნენ, რომ აფხაზებმა შეურაცხვეს და ყოველდღიურად შეურაცხყოფენ საქართველოს ისტორიას.

„უმრავლესობა გაუნათლებელი და უწიგნურია, ამიტომაც ადვილად იმართებიან ე.წ. ინტელექტუალების მიერ. თუმცა, როცა წლების განმავლობაში გიჩიჩინებენ, რომ ასეთი და ასეთი ერის შვილი იყავი და შენი მიწა ოკუპირებული იყო ქართველების მიერ, უნდა

დაიჯერო, აბა რას იზამ? არ დაიჯერებ და არ დაგვედგომება ამ საზოგადოებაში, მოლალატედ შეგრაცხავენ საზოგადოებაში, სადაც მთვარია გმირი და ჯიგიტი იყო“ (მამრ, 57 წლის ინჟინერი).

ქართველ რესპონდენტებს ძალიან უჭირდათ აფხაზურ ნაციონალიზმზე საუბარი და აღნიშნავდნენ, რომ აფხაზეთში ადგილი აქვს არა აფხაზური ნაციონალიზმის რეპრეზენტაციებს, არამედ სახეზეა აფხაზური ეროვნული იდენტობის რუსული ვარიანტის გამოვლენის შემთხვევები. თუ აფხაზი რესპონდენტები, ყველა თემაზე საუბრისას, უბრუნდებოდნენ აფხაზურ ტრადიციებს, ისტორიას, მითებს და ცდილობდნენ, მათ საფუძველზე დაესაბუთებინათ აფხაზეთის დამოუკიდებლობის გარდაუვალობა, ქართველი რესპონდენტები აფხაზეთთან დაკავშირებით საუბრისას ლაპარაკობდნენ რუსეთის როლსა და საბჭოთა კავშირის მიერ ჩამოყალიბებული ინტელიგენციის მნიშვნელობაზე, რომელმაც, მათი შეფასებით, მოუგონა საზოგადოებას, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ომის დაწყების მომენტისთვის მოსახლეობის 17% შედგენდა ისტორია, მითები და შეხედულებები, რომ, თურმე, ქართველები ჩაგრავდნენ, დამწერობას უმაღლავდნენ და ა.შ.

„აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის სიმბოლოები. რა უნდა ვთქვათ მათზე? რა გავლენა აქვს მათ? არავითარი. დრომაც კი ქართველმა შეუქმნა სოფელ კვიტოულიდან. ისე ამათ თეორია აქვთ, რომ ჩვენ აფხაზები ვიყავით და ლევან მეორის დაპყრობის მერე გავმეგრედით. აფხაზური ნაციონალიზმი ვლინდება ასეთ გაუგებრობებში და ჩვენი უბედურება ის არის, რომ ჩვენ უნდა მოვაჩვენოთ თავი, რომ მათ ვეთანხმებით. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქ არ დაგვედგომება. მაგრამ მეორე პრობლემა ის არის, რომ მათ იციან, რომ ყველაფერ ამას თავისგადარჩენისთვის ვაკეთებთ და სინამდვილეში არ გვინტერესებს და მითუმეტეს, არ გვჯერა ამ ბოდვების და ამის გამო გვსჯიან, ყველა გზით და საშუალებით. თითქოს, გაგვაგულაგეს ან თვითონ ჩვენი ნებით წავედით გულაგში, მაგრამ საბჭოთა გულაგებში საბჭოეთის ყველაზე ნათელი, მოაზროვნე ფრთა იყრიდა თავს. აქ კი, ამაშიც არ გაგვიმართლა, რაც დრო გადის, ყველაფერს ვკარგავთ, სოციალური აქ არაფერია, გვექცევიან, როგორც მონებს, იქნებ ვიქცეოთ კიდეც მონებად“ (მამრ, 24 წლის, მასწავლებელი).

ყველაზე ახალგაზრდა ქართველი რესპონდენტის აზრით, აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველები არიან „გამარჯვების თასი“, „გამარჯვების სიმბოლო“ აფხაზეთისთვის. აფხაზები კი ვერ გამოდიან ომში მოპოვებული გამარჯვების ეიფორიიდან, არათუ ვერ გამოდიან ამ მდგომარეობიდან, არამედ ცდილობენ შეინარჩუნონ ომში გამარჯვებულის მუხტი და ახალ თაობასაც სწორედ ამ მუხტით ზრდიან.

„რაც უნდა დაგჭირდეს, თუნდაც დაკარგული დაბადების მოწმობის არქივში მოძებნა, გარდა იმისა, რომ შეგუებული ხარ, რომ ქრთამის გარეშე აქ არავინ არაფერს არ გააკეთებს, ასევე შეგუებული ხარ ფაქტს, რომ ქართველს გაგაწვალებენ, გაგაწამებენ, ბიუროკრატias დამატებული უვიცობა და ამას ზედ დამატებული შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება, ეს არის ქართველის ყოფა აფხაზეთის ტერიტორიაზე“ (მამრ, 28 წლის, მაწავლებელი).

ახალგაზრდა რესპონდენტის შეფასებით, ქართველები არ უნდა დაბრუნებულიყვნენ ასე სტიქიურად თავიანთ სახლებში, მისი აზრით, მათ ორი დიქტატურის რეპრესიების ქვეშ უწევთ ცხოვრება. ერთი მხრივ, რუსები და მათი წესები და, მეორე მხრივ, აფხაზები და მათი წესები.

ქართველი რესპონდენტების აზრით, აფხაზური ეროვნული იდენტობის გამოვლენის ფორმებზე თუ ვისაუბრებთ, აქცენტები მხოლოდ იმაზე უნდა გაკეთდეს, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მათ ქართველებთან.

„აფხაზური ნაციონალიზმი, თუ ასეთი რამის არსებობას ჰიპოთეზის დონეზე დაუშვებთ, არის იცით რა? აი, მაგალითად, 27 სექტემბერს გალელი მასწავლებლების მანქანებში ჩასმა და გამარჯვების აღსანიშნავ ღონისძიებაზე დასწრების ვალდებულება, და ამ მასწავლებლებს შორის რამდენმა დაკარგა ძმა, მამა ომში? უმეტესობას არ უომია, უბრალოდ ჩახოცეს. გალელებს არც გვიომია წესიერად, ვინ მოგვცა მაგის შესაძლებლობა, ომში პირველი გამოუშვეს მხედრიონი. ნარკომანებმა, დამნაშავეებმა ააწიოკეს და გადააბუგვინეს აფხაზეთი და ამ გამწარებულმა აფხაზებმა გადაგვიარეს ჩვენ და ჩახოცეს ხალხი. მათ შური იძიეს ჩვენზე და დღემდე შურისძიების რეჟიმში

ვართ. ჰოდა, დღეს იძულებულები ვართ, მათთან ერთად ვიზეიმოთ მათი გამარჯვების და ჩვენი მიცვალებულების დაღუპვის დღე, მაგრამ ვინ არის ამ ომში გამარჯვებული?!” (მამრ, 57 წლის, მასწვლებელი).

ქართველი რესპონდენტების შეფასებით, ის, რაც 1992-1993 წლებში მოხდა, არ არის დავიწყებული, პირიქით, რუსეთის იდეოლოგიური მანქანა ცდილობს, ყოვედლიურად იქნას ეს მოვლენები გააზრებული.

ქართველი რესპონდენტების აზრით, გალის მოსახლეობა აფხაზებისთვის წარმოადგენს მარტივად გამდიდრების საშუალებას. კორუმპირებული ჩინოვნიკების და ადგილობრივი საჯარო პირების, მილიციელების ერთადერთ ფუნქციას, მათი შეფასებით, ყველაფრიდან ქრთამის აღება წარმოადგენს, წინააღმდეგობის გაწევას კი, რესპონდენტების სიტყვებით, არავითარი აზრი არა აქვს.

კითხვაზე, თუ რა გავლენას ახდენს აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების ეროვნული იდენტობა მათ დამოკიდებულებაზე აფხაზებთან, რესპონდენტები პასუხობენ, რომ ქართულ მოსახლეობას აფხაზეთში არ ჰქონია მკვეთრად გამოკვეთილი ნაციონალური გამოვლინებები, რადგან აფხაზეთი იყო ეთნიკურად მრავალფეროვანი ტურისტული ზონა და აქ ადამიანების ძირითადი საქმიანობა ტურიზმთან იყო დაკავშირებული. ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად რუსულად მეტყველებდა და ქართველები, რომლებიც, მაგალითად, სოხუმში, გაგრაში, ოჩამჩირეში, ტყვარჩელში ცხოვრობდნენ, რუსულ სკოლებში უშვებდნენ შვილებს, რადგან რუსული ენა იყო დაწინაურების გარანტი აფხაზეთში და წარმოადგენდა ძირითადსაკომუნიკაციო ენას. ასევე, იყო შემთხვევები, როცა ქართველების მხრიდან ფიქსირდებოდა გვარების გადაკეთების ფაქტები აფხაზურ გვარებად. რესპონდენტების აზრით, ეს ხდებოდა იმის გამო, რომ აფხაზი პრივილეგირებული იყო აფხაზეთში, სამსახურის შოვნის კუთხით და ზოგადად, არსებობდა სხვადასხვა პრივილეგიები, რის გამოც აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა ეწერებოდა აფხაზად.

ზემოაღნიშნული ამტკიცებს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებქართველებს არ გააჩნდათმკვეთრად გამოკვეთილი ეროვნული სენტიმენტები.რაც აადვილებდა აფხაზეთის მრავალეთნიკურ მოსახლეობასთან კომუნიკაციას.

ქართველები აღნიშნავდნენ, რომ ის ბრალდებები, რაც აფხაზური საზოგადოებისგანისმის, თითქოს, ომის პროვოცირება ქართველების ულტრანაციონალისტური შეხედულებებით იყოს გამოწვეული, არის სიცრუე. ქართველების აზრით, პერიოდი, რომლითაც აფხაზები აპელირებენ, არის ეროვნული მოძრაობის ყველაზე მძაფრი და აქტიური მოქმედებისდრო. ის, რაც ქართველი ლიდერების მიერ ქართული საზოგადოების გაერთიანების და ერთი მიზნის ირგვლივ კონსოლიდაციისთვის იქმნებოდა, აფხაზების მიერ აღიქმებოდა, როგორც დიდი საფრთხე, რადგან სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი პოლიტიკური ლიდერები, ინტელექტუალური საზოგადოების ნაწილი ყველაფერს აკეთებდა, რომ საქართველოში იმ დროს ყველაზე პოპულარული ლოზუნგები წარმოეჩინა, როგორც აფხაზების და, ზოგადად, ეთნიკური უმცირესობების საწინააღმდეგო აქცია.

ქართველი რესპონდენტების აზრით, მათ აფხაზებთან მეგობრობა და პატივისცემა აკავშირებდათ, თუმცა ეს კავშირები პოლიტიკოსებმა, ისტორიკოსებმა და გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ სხვა მიმართულებებით წაიყვანა და ადამიანური ურთიერთობები პოლიტიკურ ჭრილში გადაისროლა, რის გამოც ომი ვერ იქნა თავიდან აცილებული.

„პოლიტიკოსებმა გადაგვიწყვიტეს ყველაფერი, ქართველებს გვეუბნებოდნენ, აფხაზი სეპარატისტები გვიტევენო, არადა, შეტევაზე ჩვენ გადავედით, მაგრამ საოცარი ის იყო, რომ ომში ჩაბმული ქართული საზოგადოება პოლიტიკოსებმა მიგვატოვეს, იარაღის ნაცვლად ლურსმნები გამოგვიგზავნა მთავრობამ. ომი გააჩაღეს და გაიქცნენ. აფხაზეთი ჩააბარეს რუსეთს, აფხაზური და ქართული საზოგადოებაც საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის და განმტკიცებისთვის რუსეთს მიგვყიდეს” (მამრ, 37 წლის, ისტორიკოსი).

ქართველ რესპონდენტებს შორის ყველაზე ახალგაზრდა რესპონდენტმა ისაუბრა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ქართველების როლზე ომის პროვოცირების პროცესში.

„მე რუსულად ვსწავლობ უნივერსიტეტში, ჩემი საკომუნიკაციო ენა არის რუსული და ეს ჩემთვის გასაგებია. მაგრამ აი, მამაჩემის საკომუნიკაციო ენა რატომ იყო რუსული, ეს

უკვე გაუგებარია. საქართველოს სახელმწიფო ენა ქართული იყო, რომელიც ქართველების დიდი მონდომებითა და თავგანწირვით დარჩა სახელმწიფო ენად, მიუხედავად საბჭოთა პოლიტიკისა. მაგრამ მამაჩემი, რომელიც სოხუმში მუშაობდა, პირად წერილებსაც კი რუსულად წერდა. რომ დავფიქრდეთ, ომის გარეშე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევის გარეშეც, ჩემს ცხოვრებაში სავარაუდოდ არაფერი შეიცვლებოდა, რადგან ვისწავლიდი ისევ რუსულად, საკომუნიკაციო ენაც იქნებოდა რუსული. საოცარი ის არის, რომ სკოლა, რომელიც მე დავამთავრე, 2008 წელს ქართულენოვანი იყო, მაგრამ მამაჩემი სოხუმში რომ დარჩენილიყო სამუშაოდ, მე დიდი ალბათობით სკოლასაც რუსულად დავამთავრებდი. ამით იმის თქმა მინდა, რომ გალში მოსახლეობის ფსიქოლოგია იყო ასე მოწყობილი - აფხაზთან აფხაზი იყო, რუსთან - რუსი, ქართველთან - ქართველი” (მამრ, 24 წლის, მასწავლებელი)

კვლევაში მონაწილე ახალგაზრდა რეპონდენტის მტკიცებით, გალის ტერიტორიაზე მცხოვრებმა ქართველებმა საკუთარი ეროვნული იდენტობის გაცნობიერება ომის მერე დაიწყეს. ომი გახდა მათთვის მოვლენა, რომელმაც აიძულა, გაეცნობიერებინა ეროვნული იდენტობისადმი კუთვნილება. მისი შეფასებით, ომის მერე დაიწყეს აფხაზეთში ქართველებმა ქართულად საუბარი. ხოლო დღეს არსებული აფხაზურ-რუსული რეპრესიული პოლიტიკა, კიდევ უფრო აღვივებს მათეროვნულ იდენტობას, რაც აფხაზებთან კომუნიკაციაში უშლით ხელს.

ომმა არამარტო აფხაზეთში, არამედ ქართველებშიც გამოიწვია „ცხელი” ნაციონალიზმის გამოღვიძება, რაც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთგვარი გზაა. ომი ეროვნული სენტიმენტების გაღვივებასა და მკვეთრად გამოხატული ნაციონალიზმის წარმოქმნაში მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება რაც დასტურდება თეორიულ ნაწილში განხილული სმთისა და ჰობსბაუმის შეხედულებებით.

არსებული მდგომარეობის შეფასებისას, ქართველი რეპონდენტები ამბობდნენ, რომშირად უფიქრიათ წასვლაზე. ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, ის უახლოეს მომავალში აუცილებლად დატოვებს აფხაზეთს. რადგან აფხაზეთში არათუ

ქართველების, არამედ აფხაზების ცხოვრებაც მძიმეა სოციალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. აფხაზების უფლებებიც ისევე ირღვევა, როგორც ქართველების, რაც რესპონდენტის შეფასებით, ცხოვრების პირობებს გაუსაძლის ხდის.

„აფხაზეთი ვერ გახდა შვეიცარია და ვერც ნიცა, არა იმიტომ, რომ ამის პოტენციალი არ აქვს, არამედ იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, რუსეთი ამას არასოდეს არ დაუშვებს, მას აწყობს არსებული განუკითხაობა აფხაზეთში, ეკონომიკური პრობლემები. ის მილიონები, რასაც დუმა უხდის აფხაზებს, რომ ხმარდება არა რეალურ ინვესტიციებს, არამედ პოლიტიკისებისა და საზოგადოების ნაწილს, რომელიც უზრუნველყოფს რუსეთის ძალაუფლების რეალიზებას აფხაზეთში, ქართველებზე უკეთ იციან ეს აფხაზებმა. როცა ჩვეულებრივ აფხაზთან საუბრობ, არ მალავენ საკუთარ ყოფას და ამბობენ, თუ რას გვიშვრება რუსეთი, მაგრამ ჩვეულებრივი ადამიანებისთვის გაუწევია ანგარიში ოდესმე ვინმეს? აფხაზს რომც უნდოდეს აფხაზეთის დაბრუნება საქართველოს სივრცეში და თუნდაც კონფედერაციის ფორმატით, ამის თქმას ვერ გაბედავს“ (მამრ, 28 წლის, მასწავლებელი).

კვლევაში მონაწილე ქართველების შეფასებით, საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიული პოლიტიკა აფხაზეთთან მიმართებაში არ გააჩნია.

მათი შეფასებით, ერთადერთი გზა იმისათვის, რომ აფხაზებმა საქართველო დაინახონ, როგორც ალტერნატივა არსებული რეალობისა, არის ეკონომიკური კეთილდღეობა და პოლიტიკური სტაბილურობა, რაც რესპონდენტების ხედვით, საქართველოში არ არსებობს.

ქართველი რესპონდენტების მოსაზრებას საქართველოს პოლიტიკის შესახებ აფხაზეთთან დაკავშირებით ეთანხმება გერმანელი ავტორი ულრიკე გრუსკა, რომელმაც ამ საკითხს მიუძღვნა ნაშრომი „სეპარატიზმი საქართველოში: კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების შესაძლებლობები და საზღვრები აფხაზეთის მაგალითზე“. გრუსკა აცხადებს, რომ საქართველოს სახელმწიფოს არ წარუდგენია უმცირესობებისთვის ერთ სახელმწიფოში თანაცხოვრების მიმზიდველი კონცეფციები, რომელიც უზრუნველყოფენ უმცირესობების პოლიტიკურ და კულტურულ თვითმყოფადობას.

ქართველი რესპონდენტები მთავარ ხელისშემშლელ ფაქტორად კონფლიქტებთან მიმართებაში მთელი კავკასიის მასშტაბით, ასახელებენ რუსეთს და ფიქრობენ, რომ მთელი დემოკრატიული მსოფლიოს გაერთიანებაა საჭირო რუსეთის წინააღმდეგ.

„დავიღალეთ ძალიან, ზოგჯერ ვფიქრობ, რომ სჯობს რუსეთმა მიაღწიოს თავისას და დაერქვას აფხაზეთს რუსეთი და ბოლოსდაბოლოს ამოვლენ ეს აფხაზები სირაქლემას პოზიციიდან და ჩვენც ან დავტოვებთ აფხაზეთს სამუდამოდ, ან მივიღებთ რუსეთის მოქალაქეობას. თან მრცხვენია ასეთი აზრების ისე, რომ მინდა ვიტყო. მაგრამ ძნელია, ყოველდღიურად გტკიოდეს. ჩვენ აქედან უნდა წავსულიყავით, ჩვენი მამების თაობა დამნაშავეა საკუთარი ქვეყნის წინაშე“ (მამრ, 24 წლის, მასწავლებელი).

ქართველ რესპონდენტებთან ჩატარებულის იდრმისეული ინტერვიუების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ გალის ტერიტორიაზე დღეს მცხოვრები ქართველები აფხაზურ ნაციონალიზმს რუსეთის მიერ ხელოვნურად კონსტრუირებულ ნაციონალიზმად მიიჩნევენ, რომლის გაღვივებას ქართველების წინააღმდეგ რუსული იდეოლოგია ყოველდღიურ ცხოვრებაში ცდილობს სხვადასხვა ბერკეტების გამოყენებით.

გერმანელი მკვლევარი გრუსკა მიიჩნევს, რომ აფხაზეთის კონფლიქტი, ძირითადად, „ქართველ და აფხაზ ნაციონალისტებს“ შორის დაპირისპირების შედეგია, მაგრამ ეს კონფლიქტის მხოლოდ ერთ-ერთი შედეგია. მთავარი როლი აფხაზეთის კონფლიქტში ითამაშა რუსეთის სურვილმა, შეენარჩუნებინა პოლიტიკური გავლენა. ამ მიზნით, მან გამოიყენა ეთნიკური დაპირისპირება საქართველოს სახელწიფოებრიობის წინააღმდეგ. გრუსკას აზრით, რუსეთი იმედოვნებს, რომ გადაუჭრელი ტერიტორიული კონფლიქტების დახმარებით დაასუსტებს საქართველოს და შეაჩერებს მის დასავლურ მისწრაფებებს.

დასკვნა

აღნიშნული ნაშრომის მიზანს წარმოადგენს იმის ჩვენება, თუ როგორ ვლინდება აფხაზური ნაციონალიზმი ყოველდღიურ ცხოვრებაში და რა გავლენა აქვს მისი გამოვლენის ფორმებს ქართულ-აფხაზურ ურთერთობებზე. აფხაზური ნაციონალიზმის შესახებ მიღებული მონაცემების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ტენდენციები.

აფხაზური ნაციონალიზმი წარმოადგენს „ცხელი“ ნაციონალიზმის ფორმას და აფხაზების ყოველდღიურ ცხოვრებაში მას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. მიუხედავად იმისა, რომ დაკმაყოფილდა აფხაზი ნაციონალისტების მისწრაფებები და აფხაზეთი საქართველოს სახელმწიფოს ჩამოშორდა, ნაციონალისტური სენტემენტები არ განელეზულა. პირიქით, ადგილი აქვს აფხაზური ნაციონალიზმის გაღვივება.

ნაციონალიზმის „ცხელი“ ფორმის არსებობაზე მეტყველებს აფხაზების დამოკიდებულება ეროვნულ სიმბოლოებთან: დროშასთან, ჰიმნთან, გერბთან. ასევე, მათი დამოკიდებულება ეროვნულ დღესასწაულებთან, გმირებთან, რომელიც მკვეთრად გამოხატული ემოციური ხასითვისა აქვს. როგორც გიდენსი აღნიშნავს, მსგავს დამოკიდებულებებს ადგილი აქვს იმ შემთხვევებში, როცა ეროვნულ იდენტობას საფრთხე ემუქრება.

აფხაზეთში მიმდინარე შიდა სოციალური პროცესები და ამ პროცესებში რუსეთის ფედერაციის ჩართულობა ეთნიკურ აფხაზეთში ეროვნული იდენტობის დაკარგვის შიშს იწვევს. შიშის მიზეზია, ასევე საქართველოს მიერ აფხაზეთის არ აღიარება, რაც დაცვითი მექანიზმების გააქტიურებას იწვევს, რის შედეგადაც აფხაზებს მკაფიოდ გამოხატული ეროვნული სენტემენტები აქვთ, რაც სავარაუდოდ განსხვავებული ჯგუფებისადმი მიმღებლობას უნდა ამცირებდეს.

აფხაზები ეროვნული ინდენტობის რეპრეზენტაციას ახდენენ ისტორიაზე, ტრადიციებზე აპელირებით. რაც აძლევს მათ საერთო სალაპარაკო მასალას, საზიარო შინაარსებს, რომლებსაც გადასცემენ მომდევნო თაობებს და რომლითაც განისაზღვრება აფხაზური ეროვნული იდენტობა. კოლექტიური წარსულის შესახებ წარმოდგენები ჯგუფის

შედულებას უწყობს ხელს.

რაც შეეხება, ყოველდღიურ ურთიერთობებს ქართველებსა და აფხაზებს შორის, მათ ამბივალენტური ხასიათი აქვთ. აფხაზების მკვეთრად გამოხატული ეროვნული სენტიმენტებით ითრგუნება ქართული ეროვნული სენტიმენტები, რაც ქართველებში ნაციონალიზმის გაღვივებას იწვევს. ერთერიტორიაზე კი მკვეთრად გამოხატული ანტაგონისტული ნაციონალისტური განწყობებიმუდმივი დამაბულობის მიზეზი ხდება.

ბიბლიოგრაფია

1. გამსახურდია, ვ. (2016). ქართული ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოდერნულ კონტექსტში. მოძიებულია 10 აპრილი, 2018.http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_fsiqologia/vladimer_gamsaxurdia.pdf
2. გელნერი, ე. (2003). ერები და ნაციონალიზმი. თბილისი. „ნეკერი“.
3. გოლცი, თ. (2014). საქართველო, ომისა და პოლიტიკური ქაოსის ქრონიკა პოსტსაბჭოთა კავკასიაში. თბილისი. „არტანუჯი“.
4. გოფმანი, ი. (2007). თვითპრეზენტაცია ყოველდღიურ ცხოვრებაში. თბილისი. „დიოგენე“.
5. თევზაძე, გ. (2010). დიდი იდენტობა. მოძიებულია 3 აპრილი, 2018. <https://burusi.wordpress.com/2010/09/16/gigi-tevzadze-8/>
6. იდენტობა და ნაციონალიზმი. (2009). პოლიტოლოგიის ინსტიტუტი თბილისი. „ლოგოს პრესი“.
7. სმიტი, ე. (2008). ნაციონალური იდენტობა. თბილისი. „ლოგოს პრესი“.
8. ქართული ეროვნული იდენტობა: კონფლიქტი და ინტეგრაცია, კვლევის ანგარიში, (2016). თბილისი. „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“.
9. შათირიშვილი, ზ. (2010). ნაციონალური იდენტობა და ნაციონალური ნარატივები. მოძიებულია 5 მაისი, 2018. http://social-democrats-georgia.blogspot.com/2010/06/blog-post_27.html
10. ჯონსი, ს. (2013). საქართველო პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ. თბილისი. „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“.
11. ჰობსბაუმი, ე. (2012). ერები და ნაციონალიზმი 1780 წლიდან პროგრამა, მითი, რეალობა. თბილისი. „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“.
12. Billig, Michael. (1995). remembering Banal Nationalism. Billig, Michael. Banal Nationalism, 37-46. London, SAGE Publications.
13. Brubaker, Rogers. (2012). Religion and nationalism: four approaches. Journal of the Association for the Study of Ethnicity and Nationalism, 18, 2-20.

14. Brubaker, Rogers. (1996). Nationalism reframed Nationhood and the national question in the New Europe, 13-55. Cambridge University Press.
15. Herzfeld, Michael. (2005). Introducing Cultural Intimacy. Herzfeld, Michael. Cultural Intimacy: Social Poetics in the Nation State, 1-38. Routledge. 2nd edition.
16. Hobsbawm, Eric and Ranger, Terence. (1983). Introduction: Inventing traditions. Hobsbawm Eric. The Invention of Tradition, 1-14. Great Britain, Cambridge University Press.